BLACK

# ალია

70 ~~თეთრი~~
60 თეთრი

N46 2976/ 27 მარტი 2014 წ PRESS ფასი 60 თ
ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი გამოდის 1995 წლიდან
WWW.ALIA.GE

## რომელი დეპუტატი ქალი ჩანს გია კრიალაშვილის ლიკვიდაციის ფარულ კადრებში?



## რა ხდება პარლამენტის „ნაციონალურ“ კულუარებში

რას უყვება „ალიას“ დეპუტატი



## „კობა სუბელიანს „ქეში“ მეშოკებით შემოჰქონდა“

რას ამბობენ სააკაშვილის ნათქვამზე გია ხუხაშვილი, პროკურატურა და კობა სუბელიანი...



## „ნაცმოძრაობის“ აკრძალვა საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია?



# „ნაციონალური“ „მაიდანის“ გასაიდუმლოებული გეგმა

პირველი პროვოკაციები ეკლესიების წინააღმდეგ მზადდება

# პროკურატურის ორი ვარიანტი მოწმე სააკაშვილის წინააღმდეგ



# ქვანიას საქმის ახალი დეტალები ვახო კომახიძისგან



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქვანიას ექსპერტს მთავარი ჯერ არ უთქვამს



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით, სამედიცინო ექსპერტმა ლევან ჩაჩუამ ზურაბ ქვანიას სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ იცოდა, თუმცა დასკვნაში ეს არ შეიტანა:

„ლევან ჩაჩუა ამბობს, ვიცოდი ქვანიას სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ, თუმცა, საბოლოო დასკვნაში არ შევიტანეო. რატომ არ შეიტანა, ამას ჯერ არ ამბობს. მოკლედ, ბევრი საინტერესო ნიუანსი გამოიკვეთა და კეთილი ინებოს ყოფილმა პრეზიდენტმა, გასცეს პასუხი კითხვებს, არა მხოლოდ ქვანიას, არამედ „იმედის“ დარბევის, ბიზნესის წართმევის, ხელოვნურად გაკოტრებისა და სხვა საქმეებზე“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. (ნიუპოსტი)

## სკოლების კვების ბლოკების შემოწმება გრძელდება



სურსათის ეროვნული სააგენტო სკოლების კვების ბლოკების სახელმწიფო კონტროლს აგრძელებს. სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, „დღეის მდგომარეობით ინსპექტირება ჩატარებულია 41-ში, ხოლო შემოწმების პროცესშია 112 სკოლა. მიმდინარე წელს სურსათის ეროვნული სააგენტო გეგმავს მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული სკოლების კვების ბლოკების შემოწმებას. ამ ეტაპისთვის შესამოწმებლად შეფასებულია 399 სკოლა.

სპეციალისტების განმარტებით, სახელმწიფო კონტროლის შედეგად კრიტიკული შეუსაბამობა, რომლის დროსაც საწარმოო პროცესი ჩერდება, არ გამოვლენილა.

არაკრიტიკული შეუსაბამობის არსებობის გამო თითქმის ყველა სკოლის კვების ბლოკს მიეცა რეკომენდაცია.

ძირითადი პრობლემები ცხელი წყლის არარსებობას უკავშირდება. უმეტეს შემთხვევაში, ბუფეტები სარემონტო მდგომარეობაშია, რომელთა გამოსასწორებლად ბიზნესოპერატორებს 2-3 თვე აქვთ. (ინტერპრესნიუსი)



# „ნაციონალური“ „მაიდანის“ გასაიდუმლოებული გეგმა

## პირველი პროვოკაციები ეკლესიების წინააღმდეგ მზადდება

25 მარტს სააკაშვილმა თავის სკანდალურ ინტერვიუში, ფაქტობრივად, დაადასტურა ის ინფორმაცია, რაც ამ ორიოდე დღის წინ „ალიასთან“ საუბარში გვითხრა ირმა ინაშვილმა.

„ნაციონალური მოძრაობის ლიდერები და აქტივისტები ამზადებენ თბილისში „მაიდანს“ და ეს არ არის მხოლოდ ჩემ მიერ გაცხადებული ინფორმაცია, ამისთვის საჯარო წყაროები მაქვს. „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე ლიდერმა, მე მგონი, ღიადაც განაცხადა ამ დღეებში, რომ ისინი აპირებენ საპროტესტო აქციებისთვის მობილიზაციას და ორგანიზებას საქართველოში და, რომ ქართულ „მაიდანსაც“ მოაწყობენ. მაქვს ინფორმაცია, რომ ამისთვის მიდის სერიოზული მზადება. სხვა საკითხია, რა გამოუვათ, ამაზე მერე ვისაუბროთ, მაგრამ, რომ არ ხუმრობენ და საკმაოდ სერიოზულად ემზადებიან, ფაქტია“.

ინტერვიუში ჟურნალისტმა გვითხრა, რომ კონკრეტულ დეტალებზე, გასაგები მიზეზების გამო ვერ გვესაუბრებოდა, მაგრამ სქემა გაგვაცნო, როგორ აპირებდნენ „ნაციონალები“ მოქმედებას და სავარაუდო თარიღიც დაგვისახელა. ექსპრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ ირმა ინაშვილი დაგვიკავშირდა და გვითხრა, რომ შესაძლოა, თარიღი გადმოწეულიყო და ამიტომ მან ფაქტების მეტი კონკრეტიზაცია გადაწყვიტა:

**„ალიას“ ესაუბრება მედიაკავშირ „ობიექტივის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი:**

– დროულად უნდა მივხედოთ ქვეყანაში არსებულ ვითარებას, რასაც გარედან ძაბავს სააკაშვილი, შიგნიდან კი – „ნაციონალური მოძრაობა“. შემიძლია დამატებითი ინფორმაცია მოგცეთ იმ სქემის ირგვლივ, რაც უკვე გამოაქვეყნეთ. ამ სქემაში არის მთავარი კომპონენტი, რაზე საუბრისგანაც თავი შევიკავე: ესაა ეკლესიის ფაქტორი და მის წინააღმდეგ მიმართული კამპანია, რომელსაც გააძლიერებენ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები და აქტივისტები. თქვენ იცით, რომ ამ 10 წლის მანძილზე ყოველთვის იყო ეკლესიასთან დაპირისპირება, მაგრამ ეს ახლა უკვე მიიღებს ძალიან აგრესიულ ხასიათს. შერჩეული იქნებიან კონკრეტული მეუფეები, რომელთა დისკრედიტაციაც მოხდება, მათ მიაკერებენ სხვადასხვა სახის იარლიყს და ამით შეეცდებიან, მრევლთანაც დაძაბონ სიტუაცია. ერთ-ერთი ჩემი წყაროს ინფორმაციით, ლაპარაკი იყო იმაზეც, რომ მათ განზრახული აქვთ, მოაწყონ, არც მეტი, არც ნაკლები, წირვების ჩაშლა, მიუხედავად იმისა, რომ ახლა მძიმე მარხვაა, მაგრამ ისინი ამასაც კი ფიქრობენ. მაქვს ასევე ინფორმაცია, სად აპირებენ ამ საპროტესტო კერების შექმნას ქალაქის მასშტაბით და რომელი ცენტრები ექნებათ შერჩეული.

**— მეტყვით?**

– ჩემი ინფორმაციით, ეს იქნება მეტრო რუსთაველი, რუსთაველის ძეგლი, კინოს სახლის მიმდებარე ტერიტორია, სადაც, მოგეხსენებათ 25 მარტსაც გამართეს აქცია „თავისუფალი ზონის“ აქტივისტებმა, კერძოდ, კაკაბაძეების ქუჩაზე და ეს იყო აქცია „ევრაზისტების“ წინააღმდეგ. ისინი შემთხვევით კი არ დადიან ამ ადგილებში, არამედ ისინი შიშს თრგუნავენ საკუთარ თავში და თან მარშრუტებსაც ამუშავებენ.

**— რატომ ეს ადგილები და არა სხვა?**

– თუ გაითვალისწინებთ თავად ადგილმდებარეობას, ქალაქი ამ ადგილით ტექნიკურად ორ ნაწილად იყოფა, რუსთაველის ძეგლიდან ფილარმონიამდე.

**— თავისუფლების მოედანს არ ეხებიან?**

– ვამბობ იმას, რაც ვიცი. სხვა ცენტრებზე არ ვიცი. ყველაფერი აგებული იქნება თეატრალიზებულ ელემენტებზე, სარკაზმზე, დაცინვაზე და ამ ტიპის პროვოკაციები იქნება გამოყენებული. მიმაჩნია, რომ ის ადამიანი, რომელმაც დარბაზში მოაწყო პროვოკაცია და აგვისტოს ომში დაღუპულ რუს გმირებს გაუმარჯოსო, განაცხადა, ეს ადამიანი იყო დასაკითხი, რომ გარკვეულიყო, საიდან მოუვიდა ეს თავში და როგორ მოიფიქრა მსგავსი რამის თქმა. ასეთი ტიპის პროვოკაციებს ბევრს მოაწყობენ, პლუს, როგორც გითხარით, თეატრალიზებული ელემენტებით. უბრალოდ, ძალიან მცირეს ამ ხელისუფლების, რომელიც სირაქლემას მდგომარეობაშია და თითქოს ამ სიტუაციას ვერ ხედავს, და არ იმჩნევს, თითქოს არაფერი არ ხდება. ძალიან კარგი იქნება, თუკი უფრო სერიოზულად გააანალიზებენ ჟურნალისტების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

**— წინა საუბრისას მითხარით, დოკუმენტაცია მაქვს და უშიშროება თუ დაინტერესდება, მივაწვდიო. ვინმე გამოგეხმაურათ?**

– არავინ დაინტერესებულა და ვამბობ, თუკი ვინმე დაინტერესდება, სიამოვნებით ვეტყვი ყველაფერს.

**— წეღან რომ ახსენეთ წირვის ჩაშლის მცდელობები, ამ ხალხს არ ეშინია, რომ მსგავსი ქმედებებისთვის მრევლი მათ „გადაუვლის“?**

– გეტყვით, როგორ აქვთ ეს დაგეგმილი: ფიქრობენ, რომ მრევლში ჩააყენონ მათივე აქტივისტები, ვითომ ისინიც მრევლის წევრები არიან, რომლებიც შიგნიდანაც შექმნიან დაძაბულობას; გათამაშდება სცენა, აგრესია ვითომ თავად მრევლიდან წამოვა და გარედანაც მიეშველებიან „თავისუფალი ზონა“ და სხვა არასამთავრობოები. ეს ძალიან სახიფათო სქემები და ცეცხლთან თამაშია, რასაც „ნაციონალები“ მიჩვეულები არიან, რადგანაც თავისი ინტერესებისთვის ქვეყანასაც გასწირავენ და საკუთარ დედებსაც, მთავარია, ხელისუფლება დაიბრუნონ. ვიმეორებ, ეს ყველაფერი მიზნად ისახავს პროვოკაციული კერების შექმნას და დაპირისპირებების ინსპირირებას, სხვადასხვა ადგილებზე, სხვადასხვა ფენებში, ეკლესიაში, ქუჩებში, ყველგან უნდა მოხდეს სხვადასხვა სახის აქციები. ამის პირდაპირი დავალება აქვთ მიცემული, რომ იყოს უკიდურესი აგრესიული ტონალობა, ძალიან გამომწვევი და ხალხი წამოაგონ პროვოკაციაზე. დამიჯერეთ, ესენი უკვე ვარჯიშობენ და მეცადინეობენ ამაში.

**— რომ გაილახებიან და თან ვგრძნობ, რომ ძალიან მაგრად, არაფერი?**

– საქმე ისაა, რომ ამ პროცესში ბევრი იდეალისტი ახალგაზრდა ჰყავთ ჩართული, რეგიონებიდან ჰყავთ სპეციალურად ჩამოყვანილი გულწრფელი ახალგაზრდები და ხაზს ვუსვამ, მატერიალურად ძალიან გაჭირვებულები, რომლებიც შეიძლება, იდეოლოგიურად ისე მომართონ, რომ ყველაფერზე წავიდნენ. ეს ხომ ამათი აპრობირებული მეთოდია? „ნაციონალები“ არწმუნებენ მათ, რომ ყველაფერი კარგადაა, რომ დასავლეთში გადატყდა ვითარება და, რომ მიშა დაბრუნდება. ამ დროს ყველას გასაგონრად ვამბობთ: ვერავინ ვერსად ვერ დაბრუნდება, არანაირი „მაიდანი“ საქართველოში არ გამოვა. ამ თემებზე რომ ვლაპარაკობთ, ვცდილობთ, პრევენცია მოვახდინოთ და ხელისუფლებას მივაწვდინოთ ხმა, და საზოგადოებას, თორემ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მათი გეგმების განხორციელება მოხდება, ჩვენ გვაქვს გზები და სტრატეგია, როგორ შეგვიძლია, შევაჩეროთ ეს პროცესი, ამიტომ „მაიდანი არ გამოვა“...

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

## გურამ დოჩანაშვილი იუბილარია

თანამედროვე ქართველი კლასიკოსი მწერალი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი შემოქმედი, გურამ დოჩანაშვილი იუბილარია. მისი ცხოვრება აღსავსეა როგორც სიხარულითა და წარმატებით, ისე ტკივილითა და სირთულეებით. ყველასთვის საყვარელ მის შემოქმედებაში, მთავარი თემებია სიყვარული, სიკეთე, შეუპოვარი ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ და თავისუფლებისკენ სწრაფვა. გურამ დოჩანაშვილის შემოქმედება თარგმნილია მრავალ ენაზე, მისი ნაწარმოებები საფუძვლად დაედო ცნობილ კინოფილმებსა და ტელესპექტაკლებს.

გურამ დოჩანაშვილი დაიბადა 1939 წლის 26 მარტს ქ. თბილისში. მწერლის მამა ექიმი იყო, დედა – დიასახლისი.

მომავალი მწერალი იზრდებოდა თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ზემელზე, სოლოლაკსა და ვერაზე. ბებიები და ბაბუა მზრუნველობას არ აკლებდნენ. პირველი სიყვარული უნივერსიტეტში, 1964 წელს ეწვია და იქორწინა კიდეც ნათელა სეფიაშვილზე.

მწერლის ცხოვრებაში განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი იყო 1966 წელი: 7 აპრილს დაიბადა მისი პირველი შვილი, ქეთო და გამოიცა პირველი წიგნი, „მთის გადაღმა“. 1968 წელს მიიღეს გურამ დოჩანაშვილი მწერალთა კავშირში, ამავე წლის 29 მაისს დაიბადა მისი უმცროსი ვაჟი, ირაკლი, რომელიც 1990 წელს ტრაგიკულად დაიღუპა. ეს მძიმე დღეები მას სასულიერო პირებმა და უახლოესმა მეგობრებმა გადაატანინეს, რამაც განსაკუთრებულად დააახლოვა უფალთან და ეკლესიასთან, უფალმა კი მალე ის გამოუგზავნა, ვინც მისი ცხოვრება კვლავ გააცოცხლა.

„ბაბუა გიჟია, იმიტომ რომ ჩემზე გიჟდება“, – ამბობს მისი შვილიშვილი, თინათინ ჭკუასელი.

გურამ დოჩანაშვილის პირველი მოთხრობები დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1961 წელს. მწერალი არის ლიტერატურული პრემია „საბას“ ლაურეატი ნომინაციაში – „ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“.

„ალია“ ულოცავს დიდ მწერალს იუბილეს. ჯანმრთელობას, მხნეობასა და შემოქმედებით წინსვლას უსურვებს.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## რას აგონებს ჯონ ქერის ღარიბაშვილის საჩუქარი?

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ჯონ ქერისგან წერილი მიიღო.

„ძვირფასო პრემიერ-მინისტრო! ჩემთვის ძალიან სასიხარულო იყო თქვენთან შეხვედრა ვაშინგტონში. მადლობელი ვარ, რომ მოგვეცა საზიარო ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შესაძლებლობა. იმედის თვალით შევყურებ ჩვენს ქვეყნებს შორის მჭიდრო პარტნიორობის განმტკიცებას მომდევნო თვეებსა და წლებში.

მადლობას მოგახსენებთ საჩუქრისთვის, უმშვენიერესი სკულპტურისთვის. თქვენი საჩუქრის სიმბოლური მნიშვნელობა გულისამაჩუყებელია. ის ყოველთვის მომაგონებს ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ მტკიცე კავშირებს“, – ნათქვამია ჯონ ქერის წერილში. (ინტერპრესნიუსი)

## თინა ხიდაშელი „მუმიას“ განცხადებებზე კომენტარს არ აკეთებს



დეპუტატი თინა ხიდაშელი ტელევიზიით მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ სააკაშვილმა „რუსთავი 2“-ის ეთერში იჭორავა.

„გუშინ, ერთი კაცი ერთი ტელევიზიის ფანჯარაში იჯდა და ჭორაობდა. ჭორაობაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, განსაკუთრებით მაშინ, როცა მუმიას მეძახის. ამ მუმიას განცხადებებზე კომენტარებს არ გავაკეთებ, ის აღარ არის საინტერესო, აღარ არის აქტუალური. ცდილობს, ქართულ პოლიტიკაში რაღაც მოთამაშედ დარჩეს, იმუქრება, მუშტებს გვაჩვენებს და ამით ძალიან სასაცილოა. ამაზე სერიოზულად რომ ვილაპარაკო, მეც მას უნდა დავემსგავსო“, – განუცხადა ჟურნალისტებს თინა ხიდაშელმა.

მიხეილ სააკაშვილმა სატელევიზიო გამოსვლაში ხელისუფლების ზოგიერთი წევრი წარსულის ზომბებსა და მუმიებს შეადარა. (ინტერპრესნიუსი)

## ცოტნე გამსახურდია ციხეში ხათუნა კალმახელიძესთან გრძელვადიან პაემანს ითხოვდა



პოლიტპატიმარი ცოტნე გამსახურდია პატიმრობაში ყოფნისას სასჯელაღსრულების ყოფილ მინისტრთან ხათუნა კალმახელიძესთან გრძელვადიან პაემანს ითხოვდა. როგორც გამსახურდიამ „კვირას“ ექსკლუზიურად გაუმხილა, კალმახელიძესთან ღამის გატარების თხოვნის შესახებ განცხადება მან რუსთავის მეორე დაწესებულების ადმინისტრაციასაც ჩააბარა.

„გთხოვთ მომცეთ ჩემს ნაშასთან – ხათუნა კალმახელიძესთან გრძელვადიანი პაემნის უფლება“. – ითხოვდა გამსახურდია.

ციხის ადმინისტრაციამ ცოტნე გამსახურდიას მოთხოვნის შემდეგ, მას იმის შესახებაც ჰკითხა, ვინ იყო მისთვის განცხადებაში აღნიშნული პირი. მან კი საპასუხოდ განუმარტა, რომ ხათუნა კალმახელიძე სასჯელაღსრულების მინისტრი და მისი „ნაშა“ იყო.

ფაქტის შესახებ თავად მინისტრმა კალმახელიძემაც შეიტყო. ცოტნე გამსახურდია კი ციხის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, რამდენიმე დღით კარცერში ჩასვეს.

„დამერწმუნეთ, ციხის პირობებში უარს ნამდვილად არ ვიტყოდი კალმახელიძეზე. ციხის ადმინისტრაციამ ჩაიბარა ეს განცხადება, რაში მაინტერესებს გაიგო, თუ ვერ გაიგო ეს ამბავი ხათუნამ. განცხადება რუსთავის მეორე დაწესებულებაში დავწერე 2011 ან 2012 წელს, ზუსტად არ მახსოვს“, – იხსენებს ყოფილი პოლიტპატიმარი. (კვირა.ჯი)

## ნიკა რურუა კულტურის სამინისტროს არაკომპეტენტურობაში სდებს ბრალს



საქართველოს კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა ინტერნეტგაზეთ „ივერის.ბიზ“-ში სტატიას აქვეყნებს, სადაც კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობას არაკომპეტენტურობასა და უპასუხისმგებლობაში ადანაშაულებს. რურუა პრემიერ-მინისტრს მოუწოდებს, კულტურის სამინისტროს მთელი ხელმძღვანელობა გადააყენოს.

„ორიოდ დღის წინ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე მარგიშვილმა საზოგადოებას ამცნო, რომ საქართველო, როგორც ქვეყანა, მონაწილეობას აღარ მიიღებს ვენეციის მომდევნო ბიენალეზე. ეს გადაწყვეტილება ახსნილი იყო ლოჯისტიკური შეუთანხმებლობით საგამოფენო სივრცის შესახებ მასპინძელ, ანუ იტალიის მხარესთან. თუ საქართველომ, მართლაცდა, აღარ მიიღო მონაწილეობა ამ მსოფლიო მნიშვნელობის არტ-ღონისძიებაში, მაშინ მთავრობის ხელმძღვანელს სრული უფლება აქვს, კულტურის სამინისტროს მთელი ხელმძღვანელობის გადაყენებისა, როგორც სრულიად უპასუხისმგებლო და არაკომპეტენტური ჩინოვნიკებისა“. – წერს ნიკა რურუა და ბიენალეში მონაწილეობის მნიშვნელობას განმარტავს.

აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ რურუას ამ განცხადებაში ერთი მნიშვნელოვანი უზუსტობაა, რადგან 2014 წელს იმართება არა არტ-ბიენალე, არამედ არქიტექტორთა XIV ბიენალე, რომელიც მართალია, არტ-ბიენალეს ბაზაზეა დაფუძნებული, მაგრამ მასში მხოლოდ არქიტექტორები მონაწილეობენ. როგორც არქიტექტორთა კავშირის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციიდან ირკვევა, ქართველი არქიტექტორები ბიენალეზე ყოველ წელს მონაწილეობდნენ არქიტექტორთა კავშირის სახელით და არა კულტურის სამინისტროს კურატორობის ქვეშ.

როგორც „კვირას“ საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარემ, დავით აბულაძემ განუცხადა, კულტურის სამინისტრომ, არქიტექტორთა ბიენალეზე მონაწილეობისთვის 72 000 ევრო გამოყო, თუმცა პროექტი არაგონივრულად დაიგეგმა.

სახსრები ამ პროექტის განსახორციელებლად კულტურის სამინისტროს მიერ მარინა მიზანდარის დროს გამოიყო. არქიტექტორთა ბიენალეც კულტურის სამინისტროს „დაფინანსების ნუსხაში“ კულტურის მინისტრის ყოფილი მოადგილის მარინე მიზანდარის ინიციატივით მოხვდა, რამაც საქართველოს არქიტექტორთა კავშირში უკმაყოფილება გამოიწვია.

არქიტექტორთა კავშირი წლევანდელ ბიენალეზე მონაწილეობას მიიღებს. (კვირა.ჯე)

## ვახტანგ ხმალაძეს ნინო ქადაგიძის უფრო სჯერა, ვიდრე მიხეილ სააკაშვილის



თუ „ეფბიაის“ დასკვნა გამოძიებას ხელს არ შეუშლის, მოხარული ვიქნებოდი, ეს დასკვნა გამოქვეყნებულიყო და მენახა, – განაცხადა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძემ ზურაბ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით ყოფილი პრეზიდენტის განცხადებების კომენტირებისას.

„რაც შეეხება რაღაც ფულის მოთხოვნას, რომელსაც თითქოს ნინო ქადაგიძე-ჟვანია სთხოვდა სააკაშვილს, ცოტა ეჭვი მეპარება ამაში, ძალიან რბილად რომ ვთქვათ. იმდენი რამ მომისმენია ყოფილი პრეზიდენტისგან, რომლის არათუ დაჯერება, ეჭვის შეტანაც კი სრულიად შეუძლებელი იყო. აქაც ეს განცხადება ჩემთვის სარწმუნო არ არის. მე უფრო დავუჯერებ ნინო ქადაგიძეს და თუ რამე მტკიცებულება აქვს ექსპრეზიდენტს, კეთილი ინებოს და წარმოადგინოს“, – აღნიშნა ხმალაძემ. (ინტერპრესნიუსი)

# პროკურატურის ორი ვარიანტი მოწმე სააკაშვილის წინააღმდეგ



დღეს, 27 მარტს, მიხეილ სააკაშვილი პროკურატურაში მოწმის სტატუსით არ გამოცხადდება. საკუთარი ფსიქიკის მძევალმა და გაფრენილმა გიჟმა მიხეილ სააკაშვილმა ეს უკვე „რუსთავი 2“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა.

ახლა სააკაშვილის ინტერვიუს გარჩევას არ დავიწყებთ, რადგანაც ეს ჰგავდა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ადამიანის ბოდვებს და თუ სააკაშვილი ასე ინტერვიუებით გააგრძელებს საზოგადოების ყურადღების მიპყრობას, ადამიანები მეტად აღმოაჩენენ, რომ ამ წლების მანძილზე ქვეყანას მართავდა მოდერნიზებული ბარონ მიუნჰაუზენი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მიუნჰაუზენი ამბობდა კეთილ ტყუილებს, სააკაშვილი კი ჰგავს ჯოჯოხეთიდან შესვენებაზე გამოქცეულ ეშმაკს, რომლის ნამდვილ სახესაც ნიღაბიც ვეღარ ფარავს.

სააკაშვილისგან მოსყიდულმა დაფინანსებულმა ლობისტებმაც კი ვეღარ შეძლეს დასავლეთის აზრის ფორმირება, დღეს აზრი მსოფლიოში ორად გაიყო და უმცირესობაში დარჩნენ ადამიანები, ვინც სააკაშვილს სისხლს სწმენდდნენ. დღეს, ფაქტობრივად, ყველა თანხმდება, რომ თუკი არსებობს კითხვები, მას უნდა გაეცეს პასუხი, მაგრამ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ამას პოლიტიკური დევნის ელფერი არ მიეცეს. ჰააგაში ვიზიტით მყოფ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს უცხოელმა კოლეგებმა მოუწოდეს, რომ სააკაშვილის პანიკას ყურადღება არ მიაქციოს, მთავარია, აქ გამოძიება წარიმართოს კანონის ფარგლებში.

საინტერესოა, რა პროცედურები უნდა დაიწყოს პროკურატურამ მას შემდეგ, რაც სააკაშვილი დაკითხვაზე არ გამოცხადდება, როგორც მოწმე, და რა ღონისძიებები გატარდება მის წინააღმდეგ?

**„ალიას“ კითხვებს საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორი, გია მეფარიშვილი პასუხობს.**

**— თუ არ გამოცხადდება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი პროკურატურაში, რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება რომ დადგეს?**

– რამდენადაც ცნობილი გახდა, მიხეილ სააკაშვილი გამოძახებულია პროკურატურაში მოწმედ. შესაბამისად, მასზე ვრცელდება მოწმისადმი განკუთვნილი უფლებები და მოვალეობები. რა ხდება მაშინ, როდესაც კონკრეტული პიროვნება არ ცხადდება გამოძიებასთან და არ აძლევს ჩვენებას? ამ კითხვაზეც პასუხს სცემს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. არსებობს ორი ძირითადი მიზეზი არგამოცხადების: პირველი – პატივსადები, ამაში შეიძლება შედიოდეს ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება და სხვა ისეთი გარემოებანი, როდესაც არ შეუძლია ფიზიკურად ჩამოვიდეს და მივიდეს გამომძიებელთან. რაც შეეხება მეორე მიზეზს არგამოცხადების, ითვლება არასაპატიოდ. ამას პროცესის მწარმოებელი ორგანო დაადგენს და პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია, არგამოცხადების მიზეზები ზუსტად განსაზღვროს: ჩაბარდა თუ არა უწყება, რა მოტივით არ გამოცხადდა მოწმე და რა განმარტება არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით. აქვე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში პიროვნება სოლიდური თანხით ჯარიმდება თუ ის არ გამოცხადდა, ხოლო განმეორებით დაძახების შემთხვევაში, ის იძულების წესით იქნება წარმოდგენილი დაკითხვის ადგილას.

**— რას გულისხმობს იძულებით წესი?**

– გამოდის შესაბამისი დადგენილება გამოძიების მიერ, შესასრულებლად ის გადაეგზავნება საპოლიციო დანაყოფს, რომელიც უზრუნველყოფს ამ პირის იძულების წესით მოყვანას დაკითხვის ადგილზე. ბატონი მიხეილ სააკაშვილი არის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ამიტომ მისი იძულებით წარმოდგენა შესაძლებელია, რამდენად შესრულებადია კანონის მიერ ეს მოხაზულობა? ამის შესრულება, ალბათ, გართულდება, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს გამოსავალს აღნიშნული სიტუაციიდან. არსებობს რამდენიმე საერთაშორისო კონვენცია, რომელიც ზუსტად აკეთებს რეგლამენტაციას, რა ხდება ასეთ შემთხვევაში. ასე რომ, ჯერ კიდევ არსებობს შესაძლებლობები, რათა სამართლებრივი პროცედურები ბოლომდე შესრულდეს. თუ არის შესაძლებლობა, კონკრეტულ გამომძიებელს შეუძლია თვითონ ჩავიდეს იქ, სადაც იმყოფება მიხეილ სააკაშვილი და იქ მოახდინოს მისი დაკითხვა ან სხვა ალტერნატიული ვარიანტი იქნას შესრულებული, კანონის დარღვევა ეს არ არის.

**— რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი გაჯიუტდა და ჩვენება არ მისცა?**

– ასეთ შემთხვევაში იწყებს მოქმედებას სისხლის სამართლის მატერიალური კანონი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გამო, ანუ სახეზე გვექნება დანაშაულის ჩადენა. შესაბამისად, დანაშაულის ჩადენისთვის გათვალისწინებულია კონკრეტული სანქციები, რომელიც არის სისხლის სამართლის მატერიალურ კოდექსში და საპროცესო კანონმდებლობაში. მაგრამ ეს საკითხის მეორე მხარეა. თუ ვინმე ფიქრობს, რომ არგამოცხადების შემთხვევაში სააკაშვილს ინტერპოლით ვინმე ძებნას დაუწყებს, ეს, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომაა. ინტერპოლი არ დაუწყებს ძებნას, ვიდრე კონკრეტული ბრალდებები არ იქნება წარდგენილი. ინტერპოლის წესდებაში კონკრეტულად არის ჩამოთვლილი, რა შემთხვევაში იღებს ინტერპოლი წარმოებაში წარდგინებას ცალკეული ქვეყნებისგან. ასე რომ, მე ვხედავ, ეს პროცედურა საკმაოდ დიდხანს გაიჭიმება დროში.

**— თქვენ თქვით, რომ პროკურატურაში მოწმის სახით სააკაშვილის არგამოცხადების შემთხვევაში მოხდება მისი იძულებით ადგილზე მიყვანა. იძულებაში რა იგულისხმება, ძალოვნები სპეცოპერაციას განახორციელებენ, მოიტაცებენ და მას საქართველოში ჩამოიყვანენ?**

– იძულება გულისხმობს, რომ ეს დავალება მიეცემა შესასრულებლად პოლიციის თანამშრომლებს, პოლიციის თანამშრომლები უნდა გამოცხადდნენ მოწმის ადგილსამყოფელზე, მას აძლევენ წინადადებას, რომ გამოცხადდეს დაკითხვის ადგილზე. თუკი მოქალაქე უარს

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ელენე თევდორაძეს მიხეილ სააკაშვილის აღარ სჯერა



უფლებადამცველი და ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრი, ელენე თევდორაძე აცხადებს, რომ ყოფილი პრეზიდენტი ბევრ ტყუილს ამბობს.

„იმდენ ტყუილს ლაპარაკობს სააკაშვილი, რომ მისი არც ერთი განცხადების აღარ მჯერა. რაც შეეხება ფულთან დაკავშირებულ განცხადებას, მე მქონდა ერთხელ საუბარი მასთან და საყვედური ვუთხარი, რატომ აღარ მიდიოდა ზურაბ ჟვანიას საფლავზე და რატომ აღარ ჰქონდა ოჯახთან კონტაქტი. მან კი აგდებულად მიპასუხა, – თავი დამანებე, მომბეზრდა, სულ ფულზე მელაპარაკებიანო“, – აღნიშნა თევდორაძემ. ის ვარაუდობს, რომ ზურაბ ჟვანია მოკლულია.

„გაზის ის რაოდენობა არ იყო მომაკვდინებელი. ამის გამო, ადამიანი არ გარდაიცვლებოდა. ამიტომ, მე ყოველთვის ვრწმუნდებოდი ჩემს ვარაუდში, რომ ზურა მოკლულია“, – განაცხადა ელენე თევდორაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ევროკავშირი საქართველოს სამართლიანობის აღდგენის კუთხით რეკომენდაციებს აძლევს



ევროკავშირი-საქართველოს კომიტეტის თანათავმჯდომარის, მილან ცაბრნოხის განცხადებით, ევროკავშირი დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებასა და უწყვეტ რეფორმებს.

„ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს, მოიქცეს ისე, არავის შეეპაროს ეჭვი, რომ რაიმე ქმედება შერჩევითი სამართლიდან გამომდინარეობს, პოლიტიკური რევანშიზმის მიზნით. რა თქმა უნდა, ჩვენ ვისაუბრეთ დევნილთა ძალიან მძიმე მდგომარეობაზე. მოხდა ისეთი რამ, რამაც საქართველოს ათი ათასობით მოქალაქეზე გავლენა მოახდინა. უამრავი ადამიანი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. ჩვენ ვსაუბრობთ, როგორ უნდა გაუმჯობესდეს ამ ადამიანების მდგომარეობა. რა თქმა უნდა, ევროპის კავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ ხაზი გავუსვით, რა მნიშვნელობას ასრულებს ევროკავშირის მისია ოკუპირებული ტერიტორიების სასაზღვრო ზოლზე. მისია ძალიან ეხმარება საქართველოს“, – განაცხადა მილან ცაბრნოხმა.

კომიტეტის რიგით მე-16 შეხვედრაზე მიღებულ რეკომენდაციებზე საუბრისას ცაბრნოხმა აღნიშნა, რომ დოკუმენტში აქცენტები გაკეთებულია რამდენიმე მნიშვნელოვან თემაზე, რომელიც საქართველოს ევროპულ მომავალსა და საქართველოსა და ევროკავშირის 29 წევრ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას დაეხმარება.

# პროკურატურის ორი ვარიანტი მოწმე სააკაშვილის წინააღმდეგ



*მესამე გვერდიდან*

იტყვის და არ გამოცხადდება დაკითხვის ადგილზე, მაშინ შესაძლებელია გამოიყენონ ფიზიკური იძულება. ეს გათვალისწინებულია პოლიციის კანონით.

**— მაგრამ რა ხდება მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა საქართველოს პოლიციამ ფიზიკური ზეწოლა გამოიყენოს ექსპრეზიდენტის მიმართ, რომელიც იმყოფება უცხოეთის სუვერენულ ქვეყანაში?**

– ამას საქართველოს პოლიცია ვერ გააკეთებს. აქ არის ერთი გამოსავალი, საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ, თხოვნით მიმართონ კონკრეტულ უწყებას და კონკრეტულ თანამდებობის პირს, რომელიც ევროპული კონვენციის ფარგლებში ვალდებულია, დააკმაყოფილოს საქართველოს მოთხოვნა და აიძულოს კონკრეტული პიროვნება, ჩამოვიდეს დაკითხვის ადგილზე. მაგალითად, თუ მიხეილ სააკაშვილი ევროპიდან შეერთებულ შტატებში გადავიდა, კერძოდ მექსიკაში, კანადაში და ა.შ. აქ სიტუაცია კიდევ უფრო გართულდება, რადგან ჩვენ არანაირი საერთაშორისო ხელშეკრულება და საერთაშორისო აქტი ევროპის მიღმა კონტინენტთან გაფორმებული არ გვაქვს. ასე რომ, ეს საკითხი ასე არ გადაწყდება, როგორც ჩანს და როგორც ეს ეჩვენება ზოგიერთ ჩემს კოლეგას. გაითვალისწინეთ, ინტერპოლი არ ეძებს მოწმეს, ის ეძებს მხოლოდ ბრალდებულს, ინტერპოლი არ გახლავთ სამართალდამცავი ორგანო, ის არის საკოორდინაციო ორგანო. ის ახდენს ინფორმაციის გაცემას და დამუშავებას, გამორიცხულია, რომ სუვერენულ ქვეყანაში ჩავიდნენ ჩვენი ძალოვნები და დააკავონ ბრალდებული. ეს უკვე აღარ ხდება, რა თქმა უნდა, არის გამონაკლისები, როდესაც ძლიერი ქვეყნები ამას ყურადღებას არ აქცევენ და სპეცსამსახურები სხვა ქვეყანაში იპარავენ ბრალდებულს, თუ არ ხდება მისი გადმოცემა და ჩაჰყავთ გამოძიების ადგილზე, ისინი არ ითვალისწინებენ საერთაშორისო სამართალს. არა მგონია, საქართველოს ჰქონდეს იმხელა შესაძლებლობა, მსგავსი ტიპის სპეცოპერაცია ჩაატაროს. შეძლონ სააკაშვილის მოტაცება საქართველოში ჩამოყვანის მიზნით. ამას ჩვენი ქვეყანა არც იკადრებს და არც ამის ფხა გვაქვს.

**— მსგავსი ტიპის სპეცოპერაცია რა შემთხვევაშია დაშვებული?**

– ასეთი ტიპის სპეცოპერაცია აგიხსნით, რა შემთხვევაშია დაშვებული: არგენტინაში მოხდა ასეთი შემთხვევა, როცა ისრაელის სპეცსამსახურებმა მოიტაცეს სამხედრო დამნაშავე. იყო ასეთი პიროვნება იოზეფ მენგელე, რომელიც ექსპერიმენტებს ატარებდა ებრაელებზე საკონცენტრაციო ბანაკებში (ის შევიდა ისტორიაში, როგორც „სიკვდილის ანგელოზი ოსვენციმიდან“ „ექიმი სიკვდილი“. მის მოღვაწეობას ათეულობით ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის უამრავი მოზარდისა და ჩვილის... მენგელე წლების განმავლობაში წარმატებით გაურბოდა ისრაელის დაზვერვას, „მოსადს“. ვინაიდან არგენტინის მთავრობამ მენგელე არ გადმოსცა ისრაელს და პროცესი დროში გაიჭიმა, მოსადმა ჩაატარა სპეცოპერაცია, მენგელეს გადააცვეს ტომარა და ასე ჩაიყვანეს თელ-ავივში. მაგრამ ეს გააკეთა ისრაელის დაზვერვამ, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია. ასე რომ, ვექვობ, მენგელეს მსგავსად ექსპრეზიდენტი საქართველოში ჩამოიყვანონ. რეზიუმეს სახით გეტყვით, რომ მოწმის ჩვენებაზე უარის თქმა არის დანაშაული, მართალია, მკაცრად დასჯადი არ არის, მაგრამ ითვალისწინებს სერიოზულ სანქციებს. თუ არ ვცდები, 3-დან 5 წლამდეა.

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ქუთაისის ბიუჯეტში ცვლილებებს ,,ნაციონალურმა მოძრაობამ“ მხარი არ დაუჭირა



ქუთაისის საკრებულოს დეპუტატებმა ქალაქის 2014 წლის ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანეს. ცვლილებების მიხედვით, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის 300.000 ლარი დაიხარჯება, ქუთაისის გაენათის ეპარქიისთვის – 23.000 ლარი, მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრისთვის – 25.000 ლარი, ხოლო ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრისთვის – 25.000 ლარი. ქალაქის სხვადასხვა უბანში საბავშვო-სათამაშო ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის 60.000 ლარი განისაზღვრა, სპორტული ტრენაჟორის მოწყობის მიზნით – 30.000 ლარი, მედიკამენტების უზრუნველყოფა 50.000 ლარით დაფინანსდება, კულტურული ღონისძიებები – 10.000 ლარით, შადრევნის ექსპლუატაციისთვის 16.000 ლარი გამოიყო, გზებისა და ხიდების რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის ხარჯები 200.000 ლარით განისაზღვრა, მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის პროგრამის ხარჯები – 130.000 ლარი.

ქუთაისის ვიცე-მერის მოვალეობის შემსრულებლის, ლევან კირკიტაძის განცხადებით, აღნიშნული თანხის ნაწილი საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროდან გამოიყო და ქალაქის სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს მოხმარდება.

„თანხის უმეტესობა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროდან მივიღეთ. ამ თანხით ქალაქისთვის საკეთილდღეო საქმე გაკეთდება. კერძოდ, დღეიდან სოციალურად დაუცველი 600 ოჯახი ელექტროენერგიის საფასურს არ გადაიხდის. ამასთანავე, მოხდება ქალაქში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება“, – განაცხადა ლევან კირკიტაძემ. ქუთაისის საკრებულოს „ნაციონალმა“ დეპუტატებმა ქალაქის 2014 წლის ბიუჯეტში შეტანილ ცვლილებებს მხარი არ დაუჭირეს. მათი განცხადებით, ქალაქის მერიაში დასაქმებული შტატგარეშე თანამშრომლების რაოდენობა შარშანდელთან შედარებით, 100 პროცენტით გაზრდილია. 2012 წელს შტატგარეშე თანამშრომლებისათვის ხელფასის სახით 324 000 ლარი იყო გამოყოფილი, ახლა კი ეს თანხა 687 700 ლარს შეადგენს. შტატგარეშე თანამშრომლების გაზრდა მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ წინ ადგილობრივი არჩევნებია. ის მკვდარი სულები, რომლებიც მერიაში არ დადიან, თუმცა ხელფასს მაინც იღებენ, არჩევნებზე გამოადგებათ“, – განაცხადა საკრებულოს „ნაციონალმა“ დეპუტატმა გია უკლებამ.

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი შოთა მურღულია „ნაციონალების“ ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ პირიქით, შტატები 40 პროცენტით შეამცირეს.

„ადგილობრივ არჩევნებამდე მასობრივი რეორგანიზაცია არ იგეგმება, რადგან მერიის შტატგარეშე თანამშრომლების მასობრივი გაშვება რომ დავიწყოთ, ისინი „ნაციონალურ მოძრაობაში“ გადაბარგდებიან“, – განაცხადა შოთა მურღულიამ. (ფრონტნიუსი)

## მხატვრები პერმანენტული აქციებით იმუქრებიან



თბილისში, ეროვნული გალერიის წინ, მხატვართა კავშირის ორგანიზებით, აქცია გაიმართა, რომლის მონაწილეებმაც ეკონომიკის სამინისტროს ქონების დაბრუნებისაკენ მოუწოდეს. მათი განცხადებით, ისინი ხელისუფლებისგან აბსოლუტურად იგნორირებულები არიან.

აქციის ორგანიზატორის, მხატვართა კავშირის თავმჯდომარის ცისანა მჭედლიძის განცხადებით, დღევანდელი შეკრებით სურდათ მთავრობისთვის დაენახვებინათ, რომ არსებობენ და ცოცხლობენ. მან პრობლემებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საგამოფენო სივრცე არ აქვთ. აღნიშნულთან დაკავშირებით მხატვრებს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა სურთ.

აქციის მონაწილეებს თან ჰქონდათ პლაკატები წარწერით: „ხელოვნება უკვდავია, მთავრობა წარმავალი“, „შეწყდეს ქართული ხელოვნების გენოციდი“, „მხატვრები ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაა?“, „დაგვიბრუნეთ წართმეული ქონება“.

როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება აქცია პერმანენტულ სახეს მიიღებს. (ინტერპრესნიუსი)

## თბილისში ფერმერთა საერთაშორისო კონგრესი გაიხსნება

„ოქსფამ დიდი ბრიტანეთი საქართველოში“ და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ ფერმერთა კონგრესს – „ოჯახური ფერმერული მეურნეობები და სასურსათო უსაფრთხოება კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე“ გამართავს.

ღონისძიება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რეგიონული პროექტის – „ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის სრულყოფა და მცირე ფერმერების მხარდაჭერა“ ფარგლებში ტარდება. ღონისძიების მიზანია, განიხილოს მცირე ფერმერთა/ქალ ფერმერთა პრობლემები სასურსათო უსაფრთხოების დაცვის ჭრილში კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე.

მცირე ფერმერთა პრობლემატიკა განიხილება სამ სამუშაო ჯგუფში. ესენია ოჯახური ფერმერული მეურნეობები, ბიომეურნეობის განვითარება და ფერმერთა კოოპერატივები. კლიმატის ცვლილებები და გენდერის თემატიკა საერთოა ყველა სამუშაო ჯგუფისთვის.

იმისთვის, რომ მომხდარიყო სრული დაფარვა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე, მიმდინარე წლის 12-დან 21 მარტამდე შესაბამისი რეგიონის „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებში“ შვიდი რეგიონული შეხვედრა ჩატარდა, რომლებზეც მთელი საქართველოდან ეროვნული კონგრესის 75 დელეგატი აირჩიეს. ისინი შეიმუშავებენ, მიიღებენ და საქართველოს მთავრობას გაუგზავნიან ერთობლივი მიმართვის ტექსტს.

ფერმერთა კონგრესი სასტუმროში „დიდუბე პლაზაში“ 28 მარტს, 10:00 საათზე დაიწყება. (ინტერპრესნიუსი)

## გლდანის ციხეში პატიმარი 25 დღეა შიმშილობს



გლდანის მე-8 დაწესებულებაში მყოფი პატიმრის, შოთა ჯოხაძის ადვოკატი აცხადებს, რომ შიმშილობის შესახებ სასჯელაღსრულების სამინისტრო, სახალხო დამცველი და პროკურატურა ინფორმირებულია, თუმცა „მათი მხრიდან რეაქცია ნულია“.

ნათია სირაძის განმარტებით, პატიმარი, რომლის საქმეზეც სასამართლომ სასჯელად 5-წლიანი პატიმრობა დაადგინა, ბრალის მოხსნას ითხოვს.

„ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ძარცვის მცდელობის ბრალდებით, აბსოლუტურად უკანონოდაა დაკავებული. მას ყოველგვარი მტკიცებულებისა და დასაბუთების გარეშე მიუსაჯეს 5 წელი – რამდენიმე ირიბ მოწმეზე დაყრდნობით, რომლებმაც „ამან თქვა, იმან თქვას“ საფუძველზე მისცეს ჩვენებები. შოთა ჯოხაძე უკვე 25-ე დღეა, მას შემდეგ შიმშილობს, რაც სასამართლომ განაჩენი გამოაცხადა. ახალგაზრდა კაცი სიკვდილის პირას არის მისული და კაციშვილს მისი მდგომარეობა არ აინტერესებს“, – განაცხადა ადვოკატმა.

სასჯელაღსრულების სამინისტროში აცხადებენ, რომ პატიმარი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და შიმშილობის პროცესი მათი მხრიდან კონტროლდება. (იტერპრესნიუსი)

## მოქალაქემ თაღლითური გზით ნახევარ მილიონ ლარზე მეტი თანხა მიითვისა

შსს-ს თანამშრომლებმა კიბერდანაშაული გახსნეს. 1989 წელს დაბადებული შოთა ჩ. დიდი ოდენობით ფულადი თანხის დაუფლების ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული, 2013 წლის ივნისიდან 2014 წლის იანვრამდე პერიოდულად სარგებლობდა საგადასახადო მომსახურების პროვაიდერის – სს „ნოვატექნოლოჯის“ ვებგვერდით www.paybox.ge. საბარათე ანგარიშის გადახდის პროგრამის საშუალებით, მის სახელზე არსებული სხვადასხვა საბანკო ანგარიშებიდან ონლაინ ტოტალიზატორებში საკუთარ ანგარიშებზე რიცხავდა ფულს.

შოთა ჩ. თანხის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მიზნით, სს „ნოვატექნოლოჯისთვის“ გაგზავნილ ინფორმაციაში, კომპიუტერული ტექნოლოგიების დახმარებით, თაღლითურად ცვლიდა თანხას. ის ხელოვნურად ამცირებდა საბანკო ანგარიშიდან ჩამოსაჭრელი თანხის ოდენობას, ხოლო სს „ნოვატექნოლოჯიდან“ უკანონოდ იღებდა დიდი ოდენობით ფულს.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებით შოთა ჩ. თაღლითურად დაეუფლა სს „ნოვატექნოლოჯის“ კუთვნილ 577 742,71 ლარს.

სამართალდამცველებმა მისი საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად კომპიუტერული ტექნიკა, მეხსიერების ბარათები და ბანკის პლასტიკური ბარათი ამოიღეს.

გამოძიება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის მოტყუებით დაუფლების ფაქტზე მიმდინარეობს, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. (იტერპრესნიუსი)

## „ნაციონალური მოძრაობა“ ზურაბ ჟვანიას საქმეზე ნდობის ჯგუფის შექმნას ითხოვს




„ნაციონალურმა მოძრაობამ“ განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობამ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ფაქტი კიდევ ერთხელ, უზნეოდ, საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენა.

„მიუხედავად იმისა, რომ ზედაპირზე დევს მთელი ამ ამაზრზრენი აჟიოტაჟის პოლიტიკური სარჩული და ივანიშვილ-ღარიბაშვილის ჩანაფიქრი, მიუხედავად ჩვენი არაერთგზის საჯარო მოთხოვნისა, რომ მომხდარიყო მასალების გასაჯაროება, როგორც ჩანს, ხელისუფლება ამისთვის მზად არ არის და იმისთვის, რომ დასრულდეს ზურაბ ჟვანიას საქმის გარშემო საზოგადოებაში არსებული სპეკულაცია, აუცილებლად მიგვაჩნია, შეიქმნას სპეციალური ნდობის ჯგუფი, სადაც შევლენ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები. ამ მიზნით სპეციალურად შექმნილ ჯგუფს სრულად გაეცნოს როგორც აქამდე არსებული, ისე ხელახალი გამოძიების ყველა მასალა; ამავე ჯგუფს გაეცნოს აქამდე არგასაჯაროებული, ამერიკის ფედერალური ბიუროს ყველა მასალა; ამავე ჯგუფს გაეცნოს გამოძიებაში არსებული სრული ვიდეომასალა და მიეცეთ საშუალება, შეხვდნენ საქმეზე დაკავებულ პირებს, რომ გამოირიცხოს მათზე ზეწოლა. ყველა საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის ექსჰუმაცია განხორციელდეს ამ ჯგუფის სრული ინფორმირებით, სრული ფიქსაციით ვიდეო და აუდიომატარებლებზე, რათა გამოირიცხოს ფიქსაციის შესაძლებლობები. ყველა ხელახალი ექსპერტიზა ჩატარდეს საერთაშორისოდ აღიარებული სააგენტოების მიერ, რათა გამოირიცხოს მთავრობის ზეწოლა. დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ სიმართლე დაასრულებს საჯარო სპეკულაციას და საზოგადოებას მისცემს საშუალებას, მეტი იმსჯელოს ზურაბ ჟვანიას უნიკალურ მემკვიდრეობაზე საქართველოს წინაშე, ბინძური ჭორების ნაცვლად“, – ნათქვამია განცხადებაში.

„ნაციონალური მოძრაობის“ მოთხოვნას პარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი გამოეხმაურა.

„ექსპრემიერ ზურაბ ჟვანიას საქმეზე ნდობის ჯგუფის შექმნა არასერიოზულია. გამოძიებას ნდობის ჯგუფები არ ატარებენ მაშინ, როდესაც საგამოძიებო პროცესი აქტიურ ფაზაშია. ნდობის ჯგუფებს ითხოვენ ხოლმე იმ დროს, როცა გამოძიება არ მიმდინარეობს და სისტემას ერთგვარად, შეძახება და ხელის შეწყობა სჭირდება. ამიტომ ეს ძალიან არასერიოზულია. დააგვიანდათ ნდობის ჯგუფები. დიდი ხანია, უკვე უნდა შეექმნათ ბევრ საქმესთან დაკავშირებით“, – განაცხადა ხიდაშელმა.

ნდობის ჯგუფის შექმნის ინიციატივას აბსურდულად აფასებს დეპუტატი გოგლა ჟვანია. „არასერიოზულად ვუყურებ ამ საკითხს. არსებობს გამოძიება, რომელიც მიმდინარეობს და დადებს დასკვნას. აბსურდია ახლა რაიმე ჯგუფის შექმნა. ამისთვის არსებობს კომპეტენტური ორგანო, პროკურატურა, რომელიც ამ საქმეს იძიებს“, – განაცხადა ჟვანიამ. (ფრონტნიუსი)

## საქართველო და უკრაინა ამჟამად ნატოში გაწევრიანების გზაზე არ დგანან



აშშ-ის პრეზიდენტის, ბარაკ ობამას განცხადებით, საქართველო და უკრაინა ამჟამად ნატოში გაწევრიანების გზაზე არ დგანან და ახლა არც ნატო-ს გაფართოების გეგმა არსებობს.

მისივე თქმით, აშშ-სა და ევროკავშირს სურთ, ალიანსის არაწევრი ქვეყნებიდან მხარდაჭერა გაუწიონ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც იზიარებენ დასავლეთის პრინციპებსა და იდეალებს. „ამიტომ ყველა ზომას მივმართავთ, რათა მხარი დავუჭიროთ უკრაინას – მის არჩევნებს, მის ეკონომიკას და გავაგრძელოთ რუსეთის იზოლაცია იმ ნაბიჯებზე საპასუხოდ, რომლებიც მან გადადგა“, – განაცხადა ბარაკ ობამამ ბრიუსელში ვიზიტისას. (ინტერპრესნიუსი)

# „კობა სუბელიანს „ქეში“ მეშოკებით შემოჰქონდა“

## რას ამბობენ სააკაშვილის ნათქვამზე გია ხუხაშვილი, პროკურატურა და კობა სუბელიანი...



მიხეილ სააკაშვილმა 25 მარტის ტელეინტერვიუში აგვისტოს ომი გაიხსენა და განაცხადა: „ენერგეტიკის იმჟამინდელი მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური აზერბაიჯანში გავუშვი საწვავის საკითხის მოსაგვარებლად, ხოლო კობა სუბელიანი უცხოეთში გავაგზავნე და ქეშად „მეშოკებით“ მოჰქონდა ფულიო. ექსპრეზიდენტის ამ განცხადებისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, ვინაიდან მისი გამოსვლის მთავარი საკითხი სააკაშვილის პროკურატურაში დაბარება გახდა. ერთადერთი, ვინც ამ თემაზე ყურადღება გაამახვილა, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ივანიშვილის ყოფილი მრჩეველი გია ხუხაშვილი იყო, რომელიც ამბობს, რომ სააკაშვილის ეს განცხადება დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

**„ალია“ გია ხუხაშვილს დაუკავშირდა:**

– ფაქტობრივად, ყოფილმა პრეზიდენტმა აღიარებითი ჩვენება მისცა, რომ მან კობა სუბელიანს დაავალა უცხოეთიდან ჩამოეტანა ქეშად თანხა. ქეშად ფულის მოძრაობა უცხოეთიდან სპეციფიკური საკითხია და ამის გამო მიიპყრო ამ აღიარებამ ჩემი ყურადღება. ჩვენ ვიცით, რომ სააკაშვილს ყოველთვის ჰქონდა და ახლაც აქვს კონფიდენციალური ანგარიშები, პარტიული სალარო. მან თქვა, რომ სუბელიანმა ჩემოდნებით ჩამოიტანა ფული საქართველოში. როგორც ჩანს, აქ პატარა ფულზე არ იყო საუბარი. შესაბამისად, პროკურატურამ უნდა დაკითხოს ახლა სუბელიანი და აუცილებლად მიიღოს მისგან ინფორმაცია, რა ფულზე საუბრობდა სააკაშვილი, რა ანგარიშებიდან მოიხსნა ეს თანხები? არ გამორიცხოთ, ჩვენ ახლა ვიდგეთ იმ ფაქტის წინაშე, რომ გავარკვიოთ სად ინახავს სააკაშვილი ფულს და რომელ კონფიდენციალურ ანგარიშზე. ხომ იძახის, ფული არა მაქვსო? არადა ჩვენ კარგად ვიცით, რომ მას ძალიან დიდი ფული აქვს. ახლა სუბელიანსაც კარგი შანსი ეძლევა, რომ საპროცესო გარიგებაში შევიდეს პროკურატურასთან, იქნებ აპატიონ ის დანაშაულები, რაც აქვს ჩადენილი მინისტრობის დროს და რაზეც ძიება მიმდინარეობს. სიმართლე გითხრათ, ისიც დასადგენია, აქეთ მოჰქონდათ ის ფული თუ ქვეყნიდან გაჰქონდათ. ფაქტია, რომ სუბელიანი მეშოკებით ფულებს დაარბენინებდა. ორი ვარიანტია, ან სააკაშვილს ეს წამოსცდა, ან შეცვალა მარშრუტი და პირიქით იყო, ქვეყნიდან გაჰქონდათ მეშოკებით ფული. მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ გარკვეული ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან, რომ ეს ფული ეხება პარტიულ ანგარიშებს. ამაზე არაერთხელ დაწერილა პრესაშიც. მე იმასაც არ გამოვრიცხავ, რაღაც განმარტებაც ჰქონდეთ „ნაციონალებს“, მაგრამ ვერ უშველით, ვინაიდან ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება ექსპრეზიდენტის ამ განცხადებიდან.

**— რატომ დასჭირდა ახლა სააკაშვილს სუბელიანის გვარის გაჟღერება? ომის დროს თითქმის ყველა მაღალჩინოსანი ჩართული იყო სხვადასხვა საქმიანობაში, თუმცა სააკაშვილმა მხოლოდ სუბელიანის გვარი ახსენა.**

– სააკაშვილი იმდენად ინფანტილურია თავისი ბუნებით, რომ არ მიკვირს მისგან მსგავსი განცხადებები. შესაძლოა, სააკაშვილი არც თვლის ამ ფაქტს დანაშაულად, არც მაშინ თვლიდა და არც ახლა. ვიცით, რომ მათთვის ჩემოდნებით სირბილი და პარტიული ფულის ქეშად ტარება ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ძალიან დიდ თანხებს „დააკატავებდნენ“ აქეთ-იქით, თუმცა სააკაშვილს ავიწყდება, რომ აღარ არის ქვეყნის პირველი პირი და ვითარება შეცვლილია ქვეყანაში. მე მაინც მგონია, რომ სააკაშვილმა ეს ფაქტი ისე ახსენა, არც დაფიქრებულა და თუ დააკვირდებით, ამისთვის არც არავის მიუქცევია ყურადღება. ის მთავარ თემაზე საუბრობდა, რომელიც მის დაკითხვას ეხება და იმის შესაფუთად წაიტლიკინასავით და დანაშაული რომ აღიარა, იმას ვერ მიხვდა.

მე ასეთი ინფორმაცია მაქვს, რომ ფული კი არ შემოჰქონდათ, ფული გაჰქონდათ ქეშად, სწორედ ტომრებით, როგორც სააკაშვილმა თქვა. იყო თავის დროს ინფორმაციები, რომ სახელმწიფო ანგარიშებიდან და ეროვნული ბანკიდან გაჰქონდათ ქეშად ფული. თუკი სააკაშვილს ეთერში არ წამოსცდენია სუბელიანის გვარი და ეს ფაქტი შეგნებულად გაახმაურა, მაინც ჩათვალეთ მან მარშრუტი შეცვალა და ქვეყნიდან თანხის გატანის ნაცვლად თქვა, რომ შემოჰქონდა მათ მხარდამჭერს ქეში ფული. სუბელიანი ახლა საინტერესო მოწმეა და ის აუცილებლად უნდა დაიკითხოს.

საქართველოდან გაჰქონდათ.

**— თქვენ ხართ ეკონომიკის ექსპერტი. როდესაც ქვეყანაში არის საომარი ვითარება, რა საჭიროა პირს დაავალო, ქეშად თანხის ჩამოტანა, რაშიც დრო იკარგება. ტრანზაქციის განხორციელებით ხომ ნახევარ საათში შეგიძლია, დადო კონკრეტულ ანგარიშზე ნებისმიერი თანხა? აგვისტოს ომის დღეებში ბანკები ჩვეულებრივად მუშაობდნენ.**

– აბსოლუტურად სწორი ბრძანდებით და სწორედ ეს შეკითხვაა მთავარი. პროკურატურა აუცილებლად უნდა დაინტერესდეს სააკაშვილის ამ განცხადებით, რადგან იმჟამინდელი პრეზიდენტი, რომელიც მაშინ ჰალსტუხს მიირთმევდა, ადასტურებს, რომ მის ხელქვეითებს დაარბენინებდა მეშოკებით ფულით ხელში, იმ ფულით, რომელიც არ არის აღრიცხული. უნდა დადგინდეს ამ თანხების „ა“ წერტილი რა იყო, „ბ“ წერტილი რა არის. მე, მაგალითად, მაქვს

**პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი თემურ დოლიძე „ალიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ 26 მარტის მდგომარეობით კობა სუბელიანი პროკურატურაში დაბარებული არ არის, თუმცა არ არის გამორიცხული, ის უახლოეს დღეებში დაკითხვაზე გამოიძახონ. დოლიძისთვის უცნობია, აღიძვრება თუ არა სისხლის სამართლის საქმე სააკაშვილის ამ განცხადებასთან დაკავშირებით.**

**ჩვენ „ფეისბუკის“ საშუალებით დავუკავშირდით კობა სუბელიანსაც და ვთხოვეთ, მხოლოდ ორ შეკითხვაზე ეპასუხა: აგვისტოს ომის დროს რომელი ქვეყნიდან შემოიტანა თანხა (თუკი ასეთი რამ მართლაც იყო) და რა ანგარიშიდან იქნა მოხსნილი; და მეორე, თუკი ამ საკითხზე პროკურატურას გაუჩნდება შეკითხვები, მზად არის თუ არა, უპასუხოს ბადაშვილის უწყებას? კობა სუბელიანი ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვებს გაეცნო, თუმცა პასუხის გაცემა არ ისურვა.**

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კობა ხარშილაძის და ჟვანიას ოჯახის წევრებს პასუხობს



„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დაცვის უფროსის, კობა ხარშილაძის დის, ხათუნა ხარშილაძის განცხადება გაავრცელა. ხათუნა ხარშილაძის განცხადებით, საუბარი იმაზე, რომ კობა ხარშილაძეს ანგარებით ან რაიმე სხვა ფორმით შეეძლო ზურაბ ჟვანიასთვის ევნო, დიდი უზნეობაა.

„კობა ზურას დაცვის უფროსის გარდა, მისი უახლოესი მეგობარიც იყო. კობას ზურა ძმასავით უყვარდა და საუბარი იმაზე, რომ მას ანგარებით ან რამე სხვა ფორმით შეეძლო ზურასთვის ევნო, ძალიან დიდი უზნეობაა! თუ დღეს კობას სახელს ტალახში სვრიან და რაღაც სიბინძურეებს აბრალებენ, მათ ნამუსზე იყოს, ვინც ამას აკეთებს. მეტი ამ თემაზე კომენტარს არასოდეს აღარ გავაკეთებ!“, – ნათქვამია ხათუნა ხარშილაძის განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## ანი ნადარეიშვილმა პროკურატურას ახსნა-განმარტება არ მისცა

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილი პროკურატურაში ახსნა-განმარტების მისაცემად იყო დაბარებული. საქმე შალვა თათუხაშვილის გარდაცვალებასთან და პროკურატურის თანამშრომლებთან დაკავშირებით მის მიერ გაკეთებულ განცხადებას ეხებოდა. ნადარეიშვილი უწყებაში გამოცხადდა, თუმცა ახსნა-განმარტება არ მიუცია.

„ახსნა-განმარტებას მთხოვდნენ, არ მივეცი, რადგან, როგორც უკვე განვაცხადე, ამ ცირკში მონაწილეობას არ ვიღებ. შალვა თათუხაშვილი გარდაიცვალა, საუბარია მის წამებაზე, მუქარაზე. გამომძიებლებმა გილაურმა და ძნელაშვილმა მიიყვანეს ეს ადამიანი ამ დონეზე, ამიტომ ჩვენ ვითხოვთ გამოძიებას. იქაც დავაფიქსირე, რომ ვითხოვ გამოძიებას და მზად ვარ, მოწმის სახით დავიკითხო და მივცე ინფორმაცია. არანაირი კითხვები არ იყო, შევედით თუ არა, ვიკითხეთ, იყო თუ არა გამოძიება დაწყებული. გენინსპექციის უფროსის მოადგილემ, ქალბატონმა მაგდა კაპანაძემ გვიპასუხა, რომ დანაშაულის ნიშნები მართალია არის ამაში, რასაც თქვენ აცხადებთ, მაგრამ ჩვენ გამოძიებას არ დავიწყებთო“, – აღნიშნა ანი ნადარეიშვილმა.

მისივე თქმით, თავიდანვე უარი განაცხადა ახსნა-განმარტების მიცემაზე. როგორც ანი ნადარეიშვილმა აღნიშნა, მზად არის, მისცეს ჩვენება მოწმის სახით იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება დაიწყება. (ინტერპრესნიუსი)

# რისთვის შეიქმნა ადვოკატთა მეორე ასოციაცია?



ოცდაერთმა იურიდიულმა კომპანიამ ორგანიზაცია „საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია“ დააფუძნა. როგორც ასოციაციის თავმჯდომარემ ზვიად კორძაძემ განაცხადა, ორგანიზაცია 200-მდე ადვოკატს აერთიანებს. მისი თქმით, „ასოციაციის მიზანია კორპორაციული საადვოკატო მომსახურების მაღალი სტანდარტების დამკვიდრება, იურიდიული ფირმების ინტერესებისა და უფლებების დაცვა, ადვოკატების უფლებების დაცვა, ხელშეწყობა და განვითარება, იურიდიული მომსახურების ხარისხის ზრდა და ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლება. ამას გარდა, ნებისმიერ ადვოკატს შეუძლია შემოგვიერთდეს“, – განაცხადა ზვიად კორძაძემ.

**„ალია“ კომენტარისთვის ზვიად კორძაძეს დაუკავშირდა:**

– ჩვენ მიერ შექმნილი გაერთიანება უფრო კორპორაციული ერთობაა, როგორიც, როგორც წესი, ყველა ქვეყანაში არსებობს. როგორც იცით, ადვოკატის პროფესია ხორციელდება ადვოკატთა გაერთიანებებით და ხორციელდება იურიდიული ფირმების სახით. ჩვენ, გარდა იმისა, რომ ინდივიდუალური ადვოკატები ვართ, გვაქვს ჩვენი იურიდიული ფირმები, სადაც ხალხი გვყავს დასაქმებული და შიდა კორპორაციული ურთიერთობები გვაქვს, ამიტომ ამ კომპანიებმა გადავწყვიტეთ, რომ გავერთიანდეთ და ერთმანეთის კორპორაციული ინტერესები უკეთესად შევაჯეროთ, პროფესიული ეთიკა ერთად ჩამოვაყალიბოთ და პლუს ამას დავუმატოთ იმ ადვოკატების უფლებების დაცვა, ჩვენთან რომ არიან გაერთიანებულები. ანუ, ეს არ არის ასოციაციის ალტერნატიული ანალოგი, იქ ფიზიკური პირები არიან გაერთიანებულები და ჩვენ კი ვართ იურიდიული პირები.

ასოციაციის ხელმძღვანელიც იყო ჩვენთან მოსული და მოგვილოცა ყველას.

**— კი, მაგრამ თქვენ გიწერიათ, ყველა ადვოკატს შეუძლია, შემოგვიერთდესო და ეს რაღას ნიშნავს?**

– იმას, რომ ნებისმიერ ფიზიკურ პირს შეუძლია, შემოგვიერთდეს, მაგრამ განსხვავებით ადვოკატთა ასოციაციიდან, იქ თუ ადვოკატთა ასოციაციის წევრი არ ხარ, ისე ადვოკატი არ გქვია. იქ ეგ სავალდებულოა და ჩვენთან ნებაყოფლობითია, შეგიძლია, შემოგვიერთდე და შეგიძლია – არა. სურვილზეა დამყარებული. ასევე, „ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობაზეა გადასახდელი საწევრო, ჩვენთან საწევროს იხდიან, მაგალითად, მარტო იურიდიული პირები, ფიზიკური პირები – არა. ასევე, „ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა თუ შეუწყდა ადვოკატს, ის ადვოკატი ველარ იქნება და ჩვენ, წევრი თუ არ იქნება, მათ ისეც შეუძლიათ ადვოკატობა. ასევე, ის არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ჩვენ – არასამთავრობო ვართ.

**— ანუ, კონკურენციას არ უწევთ ერთმანეთს?**

– არანაირად. ასოციაციაში არის 4000 წევრი, მე 8 წელი ვიყავი მანდ აღმასრულებელი საბჭოს წევრი, ახლაც ეთიკის კომისიის წევრი ვარ და ეს არის სხვადასხვა ინტერესები.



**ამის შემდეგ კომენტარისთვის უკვე ვუკავშირდები ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელს ზაზა ხატიაშვილს:**

– ეს ჩვეულებრივი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც იზრუნებს კორპორაციულ სისტემაზე. აქ არანაირი კონკურენცია არ არის, გარწმუნებთ. მანდ ისეთი კარგი და წესიერი ხალხია შესული, გოჩა სვანიძე მანდ არის, ზვიადი მანდ არის, მანდ მოხდება პროფესიული სტანდარტების დახვეწა და ძალიან კარგია.

**— საეჭვოდ არ გეჩვენებათ, რომ ეს გაერთიანება შეიქმნა მაშინ, როცა თქვენს წინააღმდეგ საკმაოდ გამძაფრებული კამპანია მიმდინარეობს?**

– ეგეთი კამპანია ჩემს წინააღმდეგ არ არსებობს, მე ავიღე 80% ხმების, როცა ის 20% ვინც მე ხმა არ მომცა, არ არის ისეთი მნიშვნელოვანი რაოდენობა. მე ზუსტად ვიცი, რომ ამათი იდეა ორი წელია არსებობს და ამ ხნის მანძილზე სულ მიმდინარეობს ამაზე მუშაობა. ეგ ზუსტად ვიცი. ზვიად კორძაძე არასოდეს წავა „ადვოკატთა ასოციაციისა“ და მისი ხელმძღვანელის წინააღმდეგ.

**— კი, მაგრამ იქ ასეთი მუხლი რომ არის, ნებისმიერ ადვოკატს შეუძლია წევრობაო, არაფერი?**

– კი, ნებისმიერ ადვოკატს შეუძლია, შეუერთდეს და ეს ცუდია? ვიმეორებ, მანდ ისეთი ხალხია გაერთიანებული, ისინი არც ერთ ადვოკატს არ დააზარალებენ.

– მე ეჭვიანი ვარ და მგონია, რომ, როცა დაგარტყამენ, ბევრი ადვოკატი ჩამოგშორდება და მანდ შეაფარებენ თავს.

– მომისმინეთ, ადვოკატთა დაცვის გამო მიპირისპირდება ადვოკატთა მხოლოდ ერთი ჯგუფი, მაგრამ დადასტურდა, რომ ონიანი იყო პოლიტიკური ნიშნით დაკავებული, სასამართლომაც დაადასტურა და ეს დავიცავი. სანამ თავმჯდომარე ვარ, არ დავუშვებ, ადვოკატი უკანონოდ დააკავონ. ეს იყო ჩემი ცხოვრების დევიზი და ეს ასოციაცია დავაყენე ფეხზე. გავაძლიერე და ყველა ხედავს, რომ ძლიერი ორგანიზაცია შეიქმნა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს ახალი გაერთიანება მხოლოდ დამეხმარება და არა ხელს შემიშლის. ამათი მთავარი ფუნქციაა, ადვოკატის უფლება იყოს დაცული და მეც ეგ მინდა.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა „ნაციონალური მოძრაობის“ იდეა მოიწონა



არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები „ნდობის ჯგუფის“ შექმნას მიესალმებიან. ნაწილი თვლის, რომ მსგავსი ტიპის ჯგუფი მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებითა და საერთაშორისო ექსპერტებით უნდა დაკომპლექტდეს.

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მიესალმება იმას, რომ მაღალი ნდობის მქონე ჯგუფის მონიტორინგის ქვეშ მიმდინარეობდეს ამ ტიპის საქმის გამოძიება. ბუნებრივია, ის უკვალოდ არ ჩაივლის და ყოველთვის ექნება ინტერესი“, – აცხადებს „ეროვნულ დემოკრატიული“ პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა.

„ლეიბორისტული პარტია“ იდეას მიესალმება, მაგრამ პროცესში მონაწილეობას არ აპირებს.

„ჟვანიას საქმე გახდა პოლიტიკური მანიპულაციის საკითხი და ამ შემთხვევაში შესაძლებელია, მხოლოდ საერთაშორისო ეგიდით შექმნილი საგამოძიებო ჯგუფის მიერ ძირფესვიანად იქნეს გამოკვლეული ეს საქმე. ჩვენ მივესალმებით იდეას, მაგრამ „ლეიბორისტულ პარტიას“ არ გააჩნია ის უფლებამოსილება, რომ გამოძიებაში ჩაერთოს“, – განაცხადა გიორგი გუგავამ.

იგივე აზრისაა პარტია „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელი ფიქრია ჩიხრაძე.

„ნამდვილად მისაღები იქნებოდა ჩემთვის, რომ გარკვეული საკითხის მნიშვნელობიდან და რეზონანსულობიდან გამომდინარე, ამ საქმის გამოძიებაში მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივმა კომისიამ“, – აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე. (ნიუპოსტი)

## ბიზნესმენი მიხეილ ხუბუტია ეკა კვალიაშვილს 10 000 დოლარს გადაურიცხავს




„რუსეთში ქართველთა კავშირის“ პრეზიდენტი მიხეილ ხუბუტია ცნობილ ქართველ მომღერალ ეკა კვალიაშვილს 10 ათას დოლარს გადაურიცხავს. ამის შესახებ განცხადება ეკა ხოფერიას ტელეშოუში გაკეთდა.

როგორც ცნობილია, ექიმებმა მომღერალს მძიმე დიაგნოზი – ნეიროვირუსი დაუდგინეს. მედიკოსთა განმარტებით, დაავადება კვალიაშვილის სიცოცხლეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის. სრულყოფილი მკურნალობისთვის მისი საზღვარგარეთ გამგზავრებაა საჭირო. (ფრონტნიუსი)

ახალი ამბები...

## მიხეილ სააკაშვილმა ნინო ქადაგიძეს წყნეთის აგარაკი ერთ ლარად გადასცა

საქართველოს ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას ძმა, გოგლა ჟვანია ადასტურებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მიხეილ სააკაშვილმა ნინო ქადაგიძეს წყნეთის აგარაკი ერთ ლარად საკუთრებაში გადასცა.

„ეს სიმართლეა, დიახ, გადასცეს ნინოს საკუთრებაში“, – აღნიშნა გოგლა ჟვანიამ. რაც შეეხება ვარაუდს, რომ ნინო ქადაგიძემ 2005 წელს თბილისის მერიისგან ბინის შესაძენად თანხა მიიღო, გოგლა ჟვანია აცხადებს, რომ ამის შესახებ ინფორმირებული არ არის. (ნიუპოსტი)

## ბარაკ ობამას განცხადებას პარლამენტარები ეხმაურებიან



უმრავლესობის წევრის, ვიქტორ დოლიძის აზრით, საქართველო ყველა კუთხით ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს და ბარაკ ობამაც ნატო-სკენ მიმავალ გზაზე საქართველოს პირველი მხარდამჭერია.

„რა კონტექსტში თქვა ბარაკ ობამამ ეს განცხადება, ზუსტად არ ვიცი. თუმცა, უკვე გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში ვართ, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს ვალდებულებებს ვასრულებთ, „აისაფის“ ოპერაციას რომ თავი დავანებოთ, იგივე რეფორმების კუთხით. ამიტომ, მოსალოდნელია პროგრესი, რომელიც უნდა დაფიქსირდეს, ეს არის ყველა ვარიანტში ძალიან მნიშვნელოვანი. თუმცა, საიდან გამომდინარეობდა პრეზიდენტი ობამა ამაზე ჯერ კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი. ის, რომ დღეს მაპ-ს მოგვცემენ და ხვალ გავხდებით ნატოს წევრი, ამის ილუზია არავის არ აქვს. ასე რომ, ეს განცხადება უფრო სერიოზულადაა გასაანალიზებელი“. – აღნიშნა უმრავლესობის წევრმა ვიქტორ დოლიძემ.

„არც საქართველოს და არც უკრაინას არ გააჩნია მაპ-ი, ანუ გაწევრიანების სამოქმედო გეგმა, ანუ უახლოეს თვეებში საქართველო და უკრაინა ვერ გაწევრიანდებიან ნატოში, გამომდინარე იქიდან, რომ ფორმალური კანდიდატის სტატუსი არ აქვს არც ერთ ქვეყანას. აშშ-ს პოზიცია დეკლარირებულია არაერთგან – აშშ მხარს უჭერს საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭებას, – ეს არის ოფიციალური პოზიცია. აქედან გამომდინარე, როცა საქართველოს მიენიჭება მაპ-ი, ნატოში გაწევრიანება უფრო ახლო პერსპექტივა გახდება“, – განაცხადა უმცირესობის წევრმა, გიორგი კანდელაკმა და ამერიკის ატლანტიკური საბჭოს დირექტორის დეიმონ ვილსონის ფრაზის ციტირება მოახდინა: „სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება და გაგრძელება, ან მიხეილ სააკაშვილის შესაძლო დაპატიმრება ნამდვილად ცუდად აისახება საქართველოს ნატოში გაწევრიანების დაჩქარებაზე“.

„საქართველო აუცილებლად მიიღებს ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესის ამსახველ გადაწყვეტილებას ნატო-ს სამიტზე დიდ ბრიტანეთში და ამის თაობაზე მზაობა სრულიად ნატო-ში და მის ხელმძღვანელობაში არსებობს. საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანება ამ ეტაპზე არ იგეგმება, თუმცა, პროცესები დინამიურობით ვითარდება და საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა მოვლენების ეს განვითარება მაქსიმალურად, შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს საქართველოს სტაბილურობისა და გრძელვადიანი უსაფრთხოების განმტკიცების კონტექსტში“, – განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა.

თეთრი სახლის ლიდერმა განაცხადა, რომ საქართველო და უკრაინა ნატო-სკენ მიმავალ გზაზე არ დგანან და არც ნატო-ს გაფართოება იგეგმება. (ნიუპოსტი)

# „ნაცმოძრაობის“ აკრძალვა საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია?



„ალია“ წერდა, რომ საინიციატივო ჯგუფმა პარლამენტს „ნაცმოძრაობისთვის“ საკანონმდებლო დონეზე საქმიანობის დროებით აკრძალვის მოთხოვნით მიმართა, რაზეც უარი მიიღო და ეს უარი იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ, ვახტანგ ხმალაძემ არგუმენტებით დაასაბუთა. თუმცა იქვე მიუთითა, რომ პარლამენტისგან განსხვავებით, ამის გაკეთება საკონსტიტუციო სასამართლოს გზით არის შესაძლებელი.

**თუ რა პროცედურებია გასავლელი საკონსტიტუციოში, ამის გასარკვევად, „ალია“ ვახტანგ ხმალაძეს დაუკავშირდა:**

**— ბატონო ვახტანგ, რა უნდა გააკეთონ პროცედურულად საკანონმდებლო ინიციატივის ინიციატორებმა?**

– არის კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, არის კანონი კონსტიტუციური სამართალწარმოების შესახებ, სადაც ყველაფერი დაწვრილებითაა გაწერილი, რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, როცა მას სურს კონსტიტუციური სარჩელის შეტანა. უნდა იყოს არგუმენტები, სამართლებრივი საფუძვლები, რის გამო ითხოვენ რაღაცას, რომლის მერეც ამ საკითხზე იმსჯელებს სასამართლო. ეს საფუძველი თუ არის, უნდა დავწერო. ამის შემდეგ კი ეს საფუძველი უნდა დავასაბუთო.

**— რა ხდება მას შემდეგ, რაც დოკუმენტაცია წარედგინება სასამართლოს?**

– რამდენადაც მახსოვს, საკონსტიტუციო სასამართლოში არის ასეთი წესი – სარჩელის შეტანის შემდეგ, 3 თვის განმავლობაში სასამართლომ უნდა განიხილოს სარჩელის დასაშვებობის საკითხი. ანუ, იმ პირთა მიერ არის თუ არა სარჩელი შეტანილი, ვისაც ამის უფლება ჰქონდა, რადგან სხვადასხვა საკითხებზე სხვადასხვა ჯგუფი შეიძლება იყოს მოსარჩელე. საკითხი, რომელიც არის დასმული, არის თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი, ამის საფუძველზე სასამართლო აკეთებს დასკვნას, მიიღოს თუ არა სარჩელი წარმოებაში. თუ გადაწყვეტს, რომ არსებით განსახილველად მიიღოს სარჩელი, მერე ადგენს დროს მის განსახილველად.

**— თუ წარმოებაში მიიღებს, რა ვადებში იქნება გადაწყვეტილება მიღებული?**

– 9-თვიანი ვადაა ამისთვის მთლიანად განსაზღვრული.

**— თუ, ვთქვათ, დასაბუთებულია საფუძვლები, რომ „ნაცმოძრაობა“ უნდა აიკრძალოს, რა შეიძლება გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან უარის თქმის საფუძველი?**

– ამას გადაწყვეტს თავად საკონსტიტუციო სასამართლო მას შემდეგ, რაც შეისწავლის დოკუმენტაციას, როცა შევა საჩივარი.

**— შეიძლება გახდეს უარის თქმის ირიბი საფუძველი ის, რომ ეს სასამართლო სააკაშვილის დროს დაკომპლექტდა და როგორც ამბობენ, „ნაცმოძრაობის“ გავლენისგან ჯერაც არ განთავისუფლებულა?**

– მე ვერ ვიტყვი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში არიან „ნაციონალები“. ისინი დაინიშნენ „ნაციონალური მოძრაობის“ დროს, მათი ნაწილი აირჩა პარლამენტის მიერ, ნაწილი დანიშნა პრეზიდენტმა, ნაწილი – უზენაესმა სასამართლომ. ყველას, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, შეიძლება ჰქონდეს სიმპათია და ანტიპათია, მაგრამ კანონი და კონსტიტუცია მათ ავალდებულებს, რომ დაივიწყონ თავიანთი სიმპათიები და ანტიპათიები. როგორ მოიქცევიან, ეს სხვა საქმეა და მერე საზოგადოებას შეუძლია, იმსჯელოს სათანადოდ.

**— თუ მოხდა ისე, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა, ამის მერე გადაწყვეტილება პარლამენტს ეგზავნება განსახილველად, თუ გადაწყვეტილება საბოლოოა და ამით პროცესი დასრულდება?**

– თუ სასამართლომ ეს საკითხი განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება, იქიდან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, ეს უკვე პროცესის დასრულებას ნიშნავს. მაგრამ ესა თუ ის პარტია რა შემთხვევაში შეიძლება აიკრძალოს, კონსტიტუციით განსაზღვრულია სულ რამდენიმე შემთხვევაა: პოლიტიკური პარტიისა და არა პარტიის წევრის საქმიანობა, რომელიც მიმართულია ეთნიკური, რელიგიური ან ეროვნული შუღლის გაღვივებისაკენ, მიმართულია ქვეყნის ტერიტორიის მთლიანობის დარღვევისკენ, პარტიისა, რომელიც ქმნის შეიარაღებულ ფორმირებებს და ასეთი მძიმე შემთხვევებში აიკრძალება პარტიის საქმიანობა.

**ამიტომ, როცა საჩივარი შედის სასამართლოში, საფუძველი სამართლებრივად უნდა იყოს გამყარებული.**

**რას აპირებს საინიციატივო ჯგუფი ამ საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ, „ალია“ გელა სალუაშვილს დაუკავშირდა.**

**— ბატონო გელა, აპირებთ საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივრის შეტანას?**

– ჩვენი შემოთავაზება არ ითვალისწინებდა დამნაშავე პოლიტიკური რეჟიმების განმახორციელებელი პოლიტიკური პარტიების „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვას, რადგან ეს სასამართლოს პრეროგატივაა, ჩვენი საკანონმდებლო წინადადების განმარტებით ბარათში მითითებული გვაქვს, რომ „აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს „საქართველოს მოქალაქეთა კავშირისა“ და „„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური ელიტისა და ამ პოლიტგაერთიანებების რიგითი წევრების პოლიტიკური პასუხისმგებლობა“. ჩვენ არა ხსენებული პარტიების აკრძალვასა და ამ ფონზე მათი წევრებისთვის გარკვეული შეზღუდვების დაწესებას ვთავაზობთ, არამედ ხსენებული პოლიტიკური რეჟიმის დამნაშავედ გამოცხადებასა და ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთათვის პოლიტიკური უფლებების შეკვეცას მოვითხოვთ. ნუ ჰგონიათ, რომ ხელისუფლებაში მუდმივად იქნებიან, არც ის დაივიწყონ, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ მუხლებს, როგორიცაა თანამდებობის ბოროტად გამოყენება; თანამდებობრივი გულგრილობა და სხვა. თუმცა მან უკვე გვითხრა განხილვისას, რომ პოლიტიკური ნება არ არსებობს „ნაციონალური მოძრაობის“ ელიტის შეზღუდვისა და რეჟიმის გასამართლების.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რომელ საქმეებზე იკითხებიან ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნები?



თბილისის მერიის ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნების დაკითხვასთან დაკავშირებით საგამოძიებო სამსახური განცხადებას ავრცელებს.

„ბოლო პერიოდში, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისა და თბილისის მერიის თანამშრომლების მხრიდან გახშირდა სპეკულაციები პოლიტიკურ ზეწოლაზე, რასაც უკავშირებენ საგამოძიებო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობის პირების დაკითხვაზე დაბარებას.

საპარლამენტო არჩევნებში, „ნაციონალური მოძრაობის“ მარცხის შემდეგ, ქალაქ თბილისის მერიის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებში, შპს „ჰერმესში“, შპს „სინათლის ქალაქში“, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „თბილსერვის ჯგუფში“ შეიქმნა ფორმალური სამეთვალყურეო საბჭოები, სადაც დაასაქმეს და მაღალი ანაზღაურება დაუნიშნეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებსა და მათ ახლობლებს, რომლებსაც არც შესაბამისი კომპეტენცია და არც შესაბამისი განათლება გააჩნდათ კონკრეტულ სფეროებში. სამეთვალყურეო საბჭოებში დასაქმებულთა შორის არიან ლადო ვარძელაშვილი, კობა ხაბაზი, კოტე გაბაშვილი, მირზა დავითაია, ეკა ხერხეულიძე, გიორგი ასანიძე, გიგა ნასარიძე, ლევან თარხნიშვილი, ხათუნა ოჩიაური, გია როინიშვილი, რუსუდან კერვალიშვილი, მაკა მეტრეველი, ლაშა მაქაცარია და სხვა პიროვნებები.

გარდა ამისა, საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ხდება 2007 წლის 7 დეკემბერს შპს „სი-ტი პარკსა“ და ქ. თბილისის მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და მასში შეტანილი ცვლილებების კანონიერების შესწავლა.

საგამოძიებო სამსახური კიდევ ერთხელ მოუწოდებს ყველას, თავი შეიკავოს პოლიტიკური განცხადებებისა და ბრალდებებისგან, თითქოს პროცესი ემსახურება პოლიტიკურ დევნას. ხაზს ვუსვამთ, რომ მიმდინარეობს გამოძიება კონკრეტულ ფაქტებზე და გამოვრიცხავთ ამ პროცესში რაიმე პოლიტიკურ ნიშანს“, – ნათქვამია უწყების განცხადებაში, რომელსაც თბილისის მერიიდან გამოეხმაურნენ.

„ეს განცხადება იყო ნათელი დადასტურება, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, როგორც ჩვეულებრივი პოლიტიკური ორგანო, როგორც პოლიტიკოსი, აკეთებს ისეთ პოლიტიკურ შეფასებებს, რომლის გაკეთების უფლებაც საგამოძიებო სამსახურს ნამდვილად არ აქვს. ჩვენ უბრალოდ მივესალმებით, რომ მათ საკუთარი თავის დამალვას თავი გაანებეს და ღიად საუბრობენ, რომ ეს პოლიტიკური ზეწოლაა“, – აღნიშნა თბილისის მერის მოადგილე ირაკლი აბესაძემ.

მისივე განცხადებით, მაშინ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური უნდა დაინტერესდეს და შეისწავლოს ფეხბურთელი მინისტრების, ასევე სხვა პროფესიისა და სხვადასხვა სფეროში მომუშავე ადამიანების მუშაობის ეფექტურობა და კვალიფიკაცია, რაც არასერიოზულია. (ინტერპრესნიუსი)

## სამარშრუტოებში მგზავრთა ნაკადის დათვლა ჩიპების საშუალებით მოხდება



საკრებულოში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის სხდომაზე, სამარშრუტოს მძღოლებისთვის დღიური გეგმის გაზრდის გამომწვევ მიზეზებზე ისაუბრეს. №169-ე სამარშრუტო ტაქსის მძღოლებმა „თბილქარის“ მიერ დღიური გეგმის 32 ლარიდან 37 ლარამდე გაზრდა გააპროტესტეს, რის გამოც მათ ხელმძღვანელობამ საიჯარო ხელშეკრულება შეუჩერა და უმუშევრად დატოვა.

მძღოლების ინფორმაციით, ისინი ინდმეწარმეები არიან და კონკრეტული საიჯარო თანხა ხელშეკრულებაში გაწერილი არ აქვთ. ეს თანხა მგზავრთა ნაკადით, ასევე სეზონის მიხედვით თვითონ კომპანიის შეხედულებებითა და სხვა საშუალებებით რეგულირდება. მათი აზრით, დღიური გადასახადის გაზრდა უსამართლო გადაწყვეტილებაა, რადგან ისინი თვითონ იხდიან მანქანის შესანახ ხარჯებსაც და ხშირ შემთხვევაში წაგებაზე მუშაობენ.

სხდომაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ პრობლემის მოგვარებაში როგორც თბილისის მერია, ასევე საკრებულო უნდა ჩაერთოს, უნდა მოხდეს ჩიპების საშუალებით მგზავრთა ნაკადის დათვლა და ამ პროცესში მონაწილეობას როგორც „თბილისის მიკროავტობუსის“ თანამშრომლები, ასევე მერიის შესაბამისი სამსახურისა და თბილისის საკრებულოს წარმომადგენლები მიიღებენ.

საკრებულოს წევრები – კახა კუკავა და გულიკო ზუმბაძე პროფკავშირების შექმნის ინიციატივით გამოვიდნენ, რომელიც მსგავს სიტუაციებში მედიატორის ფუნქციას იკისრებს და პრობლემების ცივილიზებულად მოგვარებას შეუწყობს ხელს.

გულიკო ზუმბაძემ სატრანსპორტო სამსახურის წარმომადგენლებს ბოლო გაჩერებაზე სველი წერტილების მოწყობის მოთხოვნითაც მიმართა, რაზეც კომპანიის წარმომადგენლების მხრიდან დადებითი პასუხი მიიღო. (ინტერპრესნიუსი)



# რომელი დეპუტატი ქალი ჩანს გია კრიალაშვილის ლიკვიდაციის ფარულ კადრებში?

მუხროვანის სპეცოპერაციის დროს დაღუპული გია კრიალაშვილის დას მიაჩნია, რომ ტელევიზიით გაკეთებული მიხეილ სააკაშვილის განცხადება ერთგვარი აღიარებითი ჩვენების მიცემა იყო. როგორც ლია კრიალაშვილი აცხადებს, მიხეილ სააკაშვილმა განცხადებით დაადასტურა, რომ 2009 წელს სპეცოპერაციის ჩატარებაზე ნებართვა სწორედ მისი მხრიდან იყო გაცემული, მათ შორის ლიკვიდაციის საკითხზეც. ამიტომ სააკაშვილი უნდა დაიბარონ არა როგორც მოწმე, არამედ როგორც დამნაშავე.

**„ალია" კომენტარისთვის ლია კრიალაშვილს დაუკავშირდა:**

– სააკაშვილის ინტერვიუ არის აღიარებითი ჩვენება, რომ მან გასცა ბრძანება, გია, კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე ჩაეცხრილათ. მან თქვა, რომ ჰქონდა გაცემული ბრძანება და ჯარი მზად იყო, რომ მუხროვანში შევარდნილიყო, მერე კი ბომბდამშენებით ამოეჟუჟათ იქ მყოფი ხალხი. რომელი მამაცი და გმირი ეს ნაძირალა და მკვლელია, რომ დანაღმულ ოთახში შესულიყო მერაბიშვილთან ერთად და იქ ელაპარაკა? ამიტომ მივმართავ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელსაც დიდ პატივს ვცემ და მისი დიდი იმედი მაქვს და ბადაშვილს, რომ მიშას შეეცვალოს კვალიფიკაცია და დაბარებული იქნას არა მოწმის სტატუსით, არამედ დამნაშავის სტატუსით. საკმაოდ კარგად მუშაობს პროკურატურა, ძალიან კმაყოფილი ვარ და მჯერა, ბრალად წაუყენებენ.

**— როგორც ვიცი, თქვენ პროკურატურაში ბრძანდებოდით, წარადგინეთ დოკუმენტები, ფარული ჩანაწერებიც. რა ხდება ახლა, რა ეტაპზეა გამოძიება, საქმის კურსში ხართ?**

– პროკურატურასთან ხშირად მაქვს კავშირი, ყოველთვის მირეკავენ, მაყენებენ საქმის კურსში, რა ეტაპზეა გამოძიება, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებს ვერ ვიტყვი, თუმცა გარწმუნებთ, კმაყოფილი ვარ გამოძიების მიმდინარეობით. მათ უკვე აქვთ მტკიცებულება, რომ ეს იყო დადგმული სპექტაკლი და მერაბიშვილი-სააკაშვილის ბრძანებით მოხდა გიას ლიკვიდაცია.

**— ცოტა ხნის წინ თიანეთისკენ მიმავალი გზა იყო გადაკეტილი, თქვეს, რომ ექსპერტიზა ტარდებოდა იმ ტერიტორიაზე, სადაც თქვენი ძმა ჩაცხრილეს. ხომ არ იცით დეტალები, რამე იპოვეს?**

– არ ვიცი დეტალები, მაქვს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომ ტყვიები მოიძიეს. არ ვიცი, ზუსტად რას ეძებდნენ, მაგრამ იქ სროლის დროს რაიმე ნივთმტკიცება დარჩებოდა. ერთი კი ზუსტად ვიცი, ფარული ჩანაწერი, რომელიც პროკურატურას გადავეცი, გაიშიფრა და ექსპერტიზას გადაეგზავნა უკვე. ხომ იცით, ბევრ დეტალს არც მეტყვიან. მე რომ ვკითხე გამომძიებელს, მან მიპასუხა, ეგ ჩვენ ვიცითო.

**— სააკაშვილის გარდა, ვის დასჯას ითხოვთ კიდევ?**

– თარგამაძე, უგულავა, მარიკა ვერულაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი – ყველა უნდა დაისაჯოს. მე მაქვს კადრები, რომ ყველა ეს ადამიანი იქ იმყოფებოდა, როგორ ყვირის მარიკა ვერულაშვილი, „რუსთავი 2" მაინც გამოუშვით, რომ კადრები გადაიღოსო. ეს კადრები ხელში მიჭირავს. ვანო იგინება იქ, სად არიან კამერები, რომ გადაიღონო. რისი გადაღება უნდოდათ იქ? თავიანთი ბელადი რომ სიცილით შედიოდა? ვის სჯერა, რომ ეს ლაჩარი, რომელმაც გორის მიწა მოხნა, აჯანყებულ ბატალიონში სიცილით შევიდოდა? იმავე კადრებში ჩანს, როგორ აწამებენ ვილაცებს, იმათი გმინვა და კვნესაც ისმის. მარტო მე მაყენებენ ტკივილს ეგენი? არ აყენებენ ჟვანიას ოჯახს? დანარჩენებს? ხომ უნდა დასრულდეს ეს პროცესი.

**— დაბოლოს, რამდენ ხანში ელოდებით გამოძიების დასრულებას?**

– ვერ დაველოდები პროკურატურას, რადგან ვხედავ, იქ რამდენი გამოსაძიებელი საქმეა. იძიებენ ყველაფერს, ნუ გავლანძღავთ მათ, რადგან არ არიან ამის ღირსები. მალე დასრულდება მაგ მიუნჰაუზენის საქმეები. თავის ფავორიტ მერაბიშვილსაც ლანძღავს უკვე, უაზრო ფრაზებს ისვრისო.

მე პროცესის გაწელვისაც არ მეშინია, მთავარია, სრულყოფილად იქნას გამოძიებული. იმის შიშიც არ მაქვს, ერთ თვეში დასრულდება გამოძიება თუ 3 თვეში. მე თუ მკითხავთ, თარგამაძეს, სააკაშვილსა და უგულავას სამუდამო პატიმრობა ეკუთვნით. ჩემგან გადასცენ მაგ ნაძირალას, თუ ამნეზია დაემართა და არ ახსოვს, მუხროვანში როგორ აღმოჩნდა, მე გავახსენებ. სააკაშვილს მოჩვენებები აქვს და იქნებ ვინმე მადლიანმა კლინიკაშიც წაიყვანოს. ნუ ახსენებს ეგ გიჟი ჩემს ძმას, რადგან, როცა გია იბრძოდა, ეგ „გულაობდა" და როცა ომი იყო, თავისი ბინძური ცხვირით გორის მიწა მოხნა. ყველა ობიექტი თავად მიჰყიდა რუსეთს და ვინაა „გერეუშნიკი"? ჩემი ძმისშვილები თავაწეულები გამოვლენ ქუჩაში, რადგან გმირი მამა ჰყავთ, ხოლო მაგის შვილები ვერ ეღირსებიან მათი მამა ჩემი ძმასავით ტაშის გრიალით და ერის დატირებით გასვენდეს.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

*რედაქციისგან:* **საინტერესოა, ვისი დავალებით და რა მისიით იმყოფებოდა ვერულაშვილი სპეცოპერაციის ადგილას? ან იყო თუ არა იმ ადგილას? და თუ იმყოფებოდა, აქამდე რატომ არ გაუჩნდა არაფრის თქმის სურვილი, მითუმეტეს მას შემდგეგ, რაც „ნაციონალებს" გაემიჯნა და განაცხადა, რომ ვანო მერაბიშვილის გვერდით დგომა სირცხვილია? იმედია, ამ კითხვებს ახლა მაინც გასცემს პასუხს...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ მისი კარი საქართველოსთვის ღიაა



ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის მიერ მომზადებული დოკუმენტი უკვე შეთანხმებულია. კომიტეტის თანათავმჯდომარის, თინა ხიდაშელის განცხადებით, გასულ წელს ძალიან დიდი განსხვავება იყო ევროპარლამენტის წევრებსა და საქართველოს პარლამენტის მმართველი გუნდის წარმომადგენლებს შორის, რის გამოც რეკომენდაციების ტექსტის მიღება ვერ მოხერხდა.

„დღეს ეს სხვაობა არ არის. დღევანდელ სხდომაზე ძალიან კარგად ჩანს სხვაობა, რაც ბრიუსელში, სტრასბურგში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არის საქართველოს მიმართ, მათი განწყობა დადებითია. აქ არის რეკომენდაციები ევროკავშირისადმი დევნილების მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით. საუბარია, კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით, რომელიც უფრო დეკლარაციული ხასიათისაა და გამოხატულია პოზიცია ტერიტორიული მთლიანობის ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. მასში ასევე დამატებულია ბორდერიზაციის საკითხი, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა, რომელზეც ევროკავშირმა უნდა გაამახვილოს ყურადღება. დოკუმენტში, ასევე, საუბარია დემოკრატიული რეფორმების გატარებაზე, მათ შორის აღნიშნულია ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების გეგმაც. დოკუმენტის პირველი ნაწილი არის პოლიტიკური განაცხადი და რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, მასში დაფიქსირდა, რომ ევროპული ქვეყნებისთვის ევროკავშირი ღიაა, თუკი ისინი დემოკრატიულ დავალებებს შეასრულებენ. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა წინ", – განაცხადა თინა ხიდაშელმა. (ინტერპრესნიუსი)

## მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობაში მთავრობის წევრებიც მიიღებენ მონაწილეობას





მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში, მინისტრი დავით დარახველიძე პაატა ბურჭულაძეს შეხვდა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საგანგებოდ ამ პროექტის განსახორციელებლად ფონდი „ივერიისა" დაფუძნდა, რომელსაც სათავეში პაატა ბურჭულაძე უდგას.

შეხვედრისას პაატა ბურჭულაძემ მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტორს, რომ მთელი საქართველო ერთიანი ძალისხმევით აშენებს ტაძარს.

დევნილთა და განსახლების მინისტრ დავით დარახველიძის განცხადებით კი, ღვთისმშობლის ტაძრის მშენებლობაში საკუთარი წვლილის შეტანა, განსაკუთრებულ პატივთან ერთად, უდიდესი პასუხისმგებლობაცაა.

შეხვედრას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები და სამინისტროს თანამშრომლები ესწრებოდნენ, რომლებმაც ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვეს. (ინტერპრესნიუსი)

ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები...

## ციხეში მოკლული პატიმრის საქმე გახსნილია



მთავარმა პროკურატურამ გარდაცვლილი პატიმრის გიგა ფარტენაძის საქმე გახსნა. უწყების ინფორმაციით, 2014 წლის 26 მარტს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა შოთა შანიძე, ლევან მოისწრაფიშვილი და გიორგი სეხნიაშვილი. მათ ბრალად ედებათ გიგა ფარტენაძის ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება, რასაც მისი სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

გამოძიებით დადგენილია, რომ 2014 წლის 4 მარტს, დაახლოებით 02:20 საათზე, სად-ის №14 დაწესებულების მეექვსე სარეჟიმო კორპუსის №322 საკანში განთავსებულ მსჯავრდადებულებს – შოთა შანიძეს, ლევან მოისწრაფიშვილს, გიორგი სეხნიაშვილსა და გიგა ფარტენაძეს შორის არსებული სიტყვიერი შელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. შოთა შანიძემ, გიორგი სეხნიაშვილმა და ლევან მოისწრაფიშვილმა, გიგა ფარტენაძე იატაკზე წააქციეს, რა დროსაც მან გონება დაკარგა და წინააღმდეგობის გაწევა ველარ შეძლო. მიუხედავად ამისა, ისინი აგრძელებდნენ მის მიმართ სასტიკ ძალადობას, კერძოდ გულმკერდის, კისრისა და სახის არეში ხელებითა და ფეხებით სცემდნენ და ბეტონის იატაკზე არტყმევინებდნენ თავს. აღნიშნული ქმედება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ იქნა აღკვეთილი, რა დროსაც გიგა ფარტენაძე გადაყვანილი იქნა №14 დაწესებულების სამედიცინო ნაწილში, სადაც გაწეული დახმარების მიუხედავად ის გონსმოუსვლელად გარდაიცვალა.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადგენილია, რომ გიგა ფარტენაძის გარდაცვალების მიზეზია ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის შედეგად განვითარებული თავის ტვინის მკვეთრად გამოხატული შეშუპება, ღეროს დისლოკაციით და ჩაჭედვით.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, მეექვსე ნაწილით, მეშვიდე ნაწილითა და მერვე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ათიდან ცამეტ წლამდე ვადით.

გარდაცვლილი პატიმრის ოჯახის წევრები პროკურატურის განცხადებას არ ეთანხმებიან. გარდაცვლილის დედის, მზია ნიქაბაძის განცხადებით, მისი შვილი ხელით ცემის შედეგად არ გარდაცვლილა, პატიმრებმა მას სავარჯიშო გირი ჩაარტყეს თავში. მზია ნიქაბაძის ინფორმაციით, საკანში კონფლიქტი ორჯერ მოხდა და პირველი კონფლიქტის შემდეგ პატიმრები უნდა განეცალკევებინათ. მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი პატიმარი იყო მკვლელი და ფსიქიკურად დაავადებული. ოჯახი იმასაც აპროტესტებს, რომ როგორც მკვლელობის, ისე საქმის გახსნის შესახებ ამბავი ტელევიზიით გაიგეს.

„სამი დღის წინ გამომძიებლის ნომერი გავიგე და დავუკავშირდი, მაინტერესებდა ექსპერტიზის პასუხი. გამომძიებელმა მითხრა, რომ ტანსაცმლის ექსპერტიზას ორი კვირა დასჭირდებოდა, რის შემდეგაც ბრალი წარედგინებოდათ დამნაშავეებს. სამი დღე გავიდა და ტელევიზიით გავიგე გამოძიების დასრულების შესახებ. რატომ უნდა გამეგო ჩემი შვილის მკვლელობის შესახებ პატიმრისგან და რატომ უნდა გამეგო საქმის გახსნის შესახებ ტელევიზიით?!", – აღნიშნა მზია ნიქაბაძემ.

ოჯახი მკვლელების მკაცრად დასჯას და ციხის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას ითხოვს. „ჩემს ძმას 16 წელი მიუსაჯეს იმის გამო, რომ თურქებს სცემა, მის მკვლელებს კი 10-დან 13 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. მე ვაპირებ, მთელ მსოფლიოს გავაგებინო, ვინ იყო ჩემი ძმა გიგა ფარტენაძე და როგორ მოკლეს ის. გიგას საქართველოში ისედაც იცნობენ, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი იყო. მოვითხოვ მკვლელების მკაცრად დასჯას და ციხის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის დაყენებას", – აღნიშნა გარდაცვლილი პატიმრის ძმამ, კობა ფარტენაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ბურჯანაძის მტკიცებით, ხელისუფლებას სააკაშვილის დაჭერა არ სურს



„დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერის, ნინო ბურჯანაძის შეფასებით, ხელისუფლებას სურვილი რომ ჰქონოდა, მიხეილ სააკაშვილი ახლა განსასჯელის სკამზე იჯდებოდა.

„გარწმუნებთ, კომპეტენტური კადრებისა და სურვილის შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილი ძალიან არგუმენტირებული ბრალდებებით იჯდებოდა განსასჯელის სკამზე და ვერც ერთ უცხოელ ექსპერტსა თუ პოლიტიკოსს ენა ვერ მოუბრუნდებოდა მის დასაცავად, მაგრამ ეს არ გაკეთდა და არ გაკეთდა აბსოლუტურად შეგნებულად – არ გაკეთდა იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, ვიღაცას ძალიან სერიოზულად აწყობდა სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის შენარჩუნება". „ქართული ოცნება" წელიწად-ნახევარია დაკავებულია იმით, რომ რეცხავს „ნაციონალურ მოძრაობას". იმედია, რომ ეს უნებლიედ ხდება, თუმცა ამდენი დამთხვევა სერიოზულ კითხვის ნიშნებს ბადებს", – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე აზრით, აღნიშნული ძალიან ძვირად დაუჯდებათ იმ ადამიანებს, ვინც სააკაშვილის გათეთრება და „გარეცხვა" დაუშვეს.

„ნაციონალურ მოძრაობას" ნამდვილად აქვს შანსი, ეს უსუსური ხელისუფლება მართლაც გაწიოს ხელისუფლებიდან და თავად დაიკავოს მისი ადგილი. ამის შანსი ყოველდღიურად იზრდება. უსუსურობას ვუწოდებ იმას, რომ წელიწად-ნახევრის განმავლობაში, იმის ნაცვლად, რომ „ნაციონალური მოძრაობა", როგორც დამნაშავე პოლიტიკური ძალა აკრძალულიყო, ციხეში ჩამჯდარიყვნენ ის ადამიანები, ვისაც კონკრეტული დანაშაულები აქვს წარდგენილი, ჩვენ დავინახეთ მხოლოდ ის, რომ სააკაშვილს მოწმის სახით დაკითხავენ. მხოლოდ იმიტომ, რომ მის მიმართ ბრალის წარდგენას საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან რეაქცია შეიძლება მოჰყვეს, ექსპერიმენტები უნდა ჩავატაროთ? სწორედაც, რომ ბრალი უნდა წარდგენილიყო იმ კონკრეტული ადამიანების მიმართ, რომლებსაც კონკრეტული დანაშაულები აქვთ ჩადენილი", – აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

„დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილზე ძებნის გამოცხადების თაობაზე პრემიერ-მინისტრის განცხადებასაც გამოეხმაურა და განმარტა, რომ აღნიშნული ყოფილი პრეზიდენტისთვის ბრალის წარდგენამდე და მის დამტკიცებამდე შეუძლებელია.

„შეიძლება პრემიერ-მინისტრი მის მრჩევლებს შეცდომაში შეჰყავს – ის არაა იურისტი, მაგრამ მინდა იცოდეს, რომ ნამდვილად ვერ გამოაცხადებენ ძებნას სააკაშვილზე, სანამ კონკრეტულ ბრალს არ წარუდგენენ და ამ ბრალს არ დაუმტკიცებენ. ძალიან მეეჭვება სადმე არსებობდეს ისეთი ნორმა, რომელიც მოწმის სახით გამოძახებული პირის ექსტრადიციას ითვალისწინებდეს. ამიტომ ეჭვი იმისა, რომ ესაა წინასაარჩევნო ნაბიჯი, ძალიან სერიოზულია. არ მინდა, ეს ეჭვი დავიჯერო, თუმცა, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ეჭვი, რომლებიც „ქართულ ოცნებასთან" დაკავშირებით იყო, მართლდება", – დასძინა ნინო ბურჯანაძემ. (ინტერპრესნიუსი)



# რა ხდება პარლამენტის „ნაციონალურ" კულუარებში

## რას უყვება „ალიას" დეპუტატი

**არ არის გამორიცხული, საქართველოს პარლამენტში სიტუაცია დაიძაბოს. როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დათო ლორთქიფანიძე აცხადებს „ალიასთან" საუბარში, „ნაციონალების" ატანა შეუძლებელია უფრო მეტად მას შემდეგ, რაც მათ მეორე „მაიდანის" მოწყობა დააანონსეს.**

– უბრალოდ, ყველაფერს აქვს საზღვარი და ჩვენს მოთმინებასაც... ვიცოდი, რომ ეს დღე დადგებოდა და „ნაციონალები" გათავხედდებოდნენ. ერთ მაგალითს გეტყვი: ბოლო დღეებში საქართველოში მიმდინარეობს ევროკავშირის საპარლამენტო კომიტეტის სხდომა, ისეთმა გაწონასწორებულმა კაცმა, როგორიც ერეკლე ტრიპოლსკია, თავი ველარ შეიკავა და „ნაციონალი" კანდელაკის გამოსვლის შემდეგ დარბაზი დატოვა. კანდელაკი რომ ჭკუაზე დაგარიგებს, იმ ქვეყანაში ცხოვრება მართლა აუტანელია. უკვე მეშინია, რომ პარლამენტის დარბაზში უსაზღვრო აგრესიამ არ ამოხეთქოს.

ეს ადამიანები გაჩერებას არ აპირებენ... აპელირებენ რაღაც სისულელეებზე, მომავალ ადგილობრივ არჩევნებზე, როგორც კი რომელიმე რეგიონში ვინმეს დააკავებენ, ყველაზე იძახიან, პოლიტიკურიაო. ამათ ისიც აცოფებთ, თუ ვინმეს დაკითხვაზე დაიბარებენ. აგერ, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა განცხადება, საქართველოში სასამართლო ჯერ კიდევ მყიფეაო... ვერ გავიგე, ეს „ნაციონალებისთვის" პოზიტივია? ეს ადამიანები 9 წლის განმავლობაში რაღაც რეფორმებს ატარებდნენ, ტრაბახობდნენ, ევროპული დონის პროკურატურა და სასამართლო შევქმენითო, ამ დროს საიდან აღმოჩნდა, რომ მყიფეა? ახლა ყველა მიხვდა, რომ რაც აქამდე ხდებოდა, ჰგავდა „პოტიომკინის სოფელს". მე ვუყურე სააკაშვილის ინტერვიუს და მის ხმაში ბზარიც შევნიშნე, აფორიაქებაც შევნიშნე. ამ ადამიანმა ახლა თავისი „სიმართლე" უნდა დაამტკიცოს სამართლებრივად. ეს სასამართლოც და პროკურატურაც არის მისი ნალოლიავები, თვითონ იყო იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარეც და მდივანიც. კარგი იქნება, თუ „ნაციონალები" პარლამენტში დამშვიდდებიან, თორემ იქ მართლა მოხდება რაღაცა.

**— ეგენი თქვენ უნდა დაამშვიდოთ, „კოლეგებმა".**

– სამართლის დამკვიდრებას ხელი უნდა შევუწყოთ ჩვენ, პარლამენტარებმა. თუ არ ვიაქტიურებთ ჩვენ, მაშინ იაქტიურებენ ესენი და აქტიურობენ კიდეც. ყოველ საღამოს სხედან ტელესტუდიებში და ლაპარაკობენ ერთსა და იმავეს, მათ ყოველ წუთს „მესიჯებით" აქვთ ურთიერთობა ერთმანეთთან. აბა, ტყუილად კი არ ჰყავთ აყვანილი ლობისტები? მათ ეუბნებიან, როგორ უნდა ისაუბრონ, რაზე გააკეთონ აქცენტები და ასე შემდეგ. 9 წლის განმავლობაში საქართველოდან მაგათ გატანილი აქვთ 12 მილიარდი დოლარი. თუ ვინმეს დაავიწყდა, მე არ დამვიწყებია, სააკაშვილს ათასნაირი ფონდები ჰქონდა შექმნილი, ზოგი თავდაცვის სამინისტროში, ზოგი – შინაგან საქმეთა სამინისტროში, პროკურატურაში... ამ ფონდებში ირიცხებოდა აურაცხელი თანხები და მერე, ერთ მშვენიერ დღეს ფონდების ლიკვიდაცია მოახდინეს და ფულიც გააქრეს. ახლა ჩემს „კოლეგას", როლანდ ახალაიას რომ წაუყენეს ბრალი, კომპანია „სანის" ანგარიშებზე ხალხს ფულს რომ არიცხვინებდა, შენ რა გგონია, ასეთი მხოლოდ ერთი კომპანია იყო? ასეთი იყო ასობით, სადაც ფული ირიცხებოდა და შემდეგ ხდებოდა „ატკატი". ამიტომაა, ესენი რომ ყელყელაობენ, ბევრი ფული აქვთ და ფიქრობენ, პოლიტიკური მხარდაჭერის შემთხვევაში განახორციელებენ თავიანთ ბინძურ ზრახვებს.

**— დათო, მე უფრო მაინტერესებს, რას ამბობენ „ნაციონალები" პარლამენტში, ანუ კულუარებში, რადგან იქ უფრო ჩანს მათი ნამდვილი სახე და მათი ნამდვილი გეგმები.**

– ისინი დადიან სულ ერთად, ჯოგად, უკვე გრძნობენ, რომ შეიძლება ვიღაცას ნერვებმა უმტყუნოს. უმრავლესობის წევრებთან თითქმის არ კონტაქტობენ და მიჩმორებულების შთაბეჭდილებას ტოვებენ, მაგრამ, როგორც კი მედიის ყურადღების ქვეშ ხვდებიან, ეგრევე ცოცხლდებიან. ახლა საჭიროა ძალიან დიდი ყურადღება. სიტუაცია უფრო იძაბება, როცა „ნაციონალები" მეორე „მაიდანის" მოწყობით იმუქრებიან.

**— მიშამ უთხრა თავისიანებს, სანამ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელს არ მოვაწერთ, აქციების ჩატარება არ გაბედოთო.**

– ახლა კაი ბიჭის როლს თამაშობს... შენ გგონია, „ნაციონალები" მეორე „მაიდანს" მიშას გარეშე აანონსებენ? ყველა მათი განცხადება, რომელიც, ფაქტობრივად, მოწოდებაა ხელისუფლების დამხობისკენ, უნდა იქნას შესწავლილი და საჭიროა რეაგირება. ყველა საკითხის თვითდინებაზე მიშვება გამოიწვევს ძალიან დიდ უსიამოვნებებს. მე, როგორც პარლამენტის წევრი, ვაფრთხილებ ჩვენს სამართალდამცავებს, ახლა საჭიროა გაათმაგებული ყურადღება, ნება იბოძოს პატივცემულმა სახელმწიფომ და თავი დაიცვას ამ ნაძირალებისგან, თორემ „ნაციონალები" მართლა აპირებენ დიდი პროვოკაციის მოწყობას.

**— რას გულისხმობ?**

– ჩემი ინფორმაციით, ესენი აპირებენ რამდენიმე ათასი კაცის გამოყვანას ქუჩაში და მერე იქ პროვოკაციების მოწყობას. „ნაცები" ახლა ყველაფერზე წავლენ, გრძნობენ, რომ ადგილობრივ არჩევნებში მათ ბოგინს წერტილი დაესმება. „ნაციონალებს" იმდენი კრიმინალი ჰყავთ შეფარებული, ისინი სისხლისღვრაზეც წავლენ.

**— უმრავლესობაში რა განწყობაა, მაგალითად, „რესპუბლიკელები" ისევ გეუბნებიან, რომ „ნაციონალებს" უნდა გაუფრთხილდეთ?**

– ნება მომეცი, ამაზე კომენტარი არ გავაკეთო.

**— რა, დუმილი თანხმობის ნიშანია?**

– ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ... მე ვაფრთხილებ ყველას, მართალია, „ნაციონალები" დაფრთხნენ, რაც მიშა პროკურატურაში გამოიძახეს, მაგრამ ამავე დროს უფრო საშიშები გახდნენ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## 11-კილომეტრიანი საოკუპაციო ხაზი მოხსნილია



საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ზალკალიანის განცხადებით, მან ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეებისგან მოისმინა, რომ მდინარე ფსოუსთან, 11-კილომეტრიანი ე.წ. სასაზღვრო ზოლი მოხსნილია.

„მქონდა შეხვედრა თანათავმჯდომარეებთან. მათ აქვთ ინფორმაცია, რომ ეს ე.წ საზღვარი, ანუ ოკუპაციის ხაზი, რომელიც 11 კილომეტრით შემოიტანეს, უკვე გადაწეული და მოხსნილია", – განაცხადა ზალკალიანმა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხთა სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, ქეთევან ციხელაშვილი აცხადებს, რომ აფხაზური წყაროებით გავრცელებული ინფორმაციით, ეს პრობლემა მოიხსნა.

„ჩვენი დელეგაციის წარმომადგენლები პირველ ჯგუფში ერთ-ერთ მთავარ საკითხად აუცილებლად დასვამენ კითხვას, რა ხდება ამ 11-კილომეტრიან ზოლთან დაკავშირებით, გრძელდება თუ არა ისევ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევა და ამის თაობაზე დეტალურ პასუხს მოვითხოვთ", – განაცხადა ციხელაშვილმა.

რუსეთის ფედერაციამ სოჭის ოლიმპიადის წინ ე.წ. უსაფრთხოების ზონის შექმნის მიზნით აფხაზეთის სიღრმეში 11 კილომეტრით ე.წ. საზღვარი გადმოწია. (ფრონტნიუსი)

## ზაზა ხატიაშვილი სააკაშვილისა და ივანიშვილ-ღარიბაშვილის რეჟიმებს შორის სხვაობას ვერ ხედავს



ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილი აცხადებს, რომ არ შეიძლება, ხალხს „ნაციონალური მოძრაობა" ეჯავრებოდეს და „ქართული ოცნება" უყვარდეს, რადგან მათში სხვაობას ვერ ხედავს.

„ხელისუფლება შეეცადა, ჩემი რეპუტაციის შელახვას, როდესაც მე გავაკეთე განცხადება გოგა ონიანთან მიმართებაში, რომ ის არის პოლიტიკური ნიშნით დაკავებული. ვინაიდან გოგა ონიანი დაკავებული იყო, როგორც უკანონო დაკავების ორგანიზატორი, ხოლო ვინც დააკავა ისინი გვევლინებიან მოწმედ, არ შეიძლება იურისპრუდენციაში არსებობდეს ცნება – კანონიერი დაკავების უკანონო ორგანიზატორი. ეს არის პოლიტიკური ბრალდება. ადვოკატთა კორპუსი დამიპირისპირდა და დადასტურდა, რომ მე ვარ მართალი. დადასტურდა, რომ გოგა ონიანის პირადი ჩხრეკა და ბინის ჩხრეკა მოხდა უკანონოდ. რაღა უნდათ ამ ადვოკატებს, თუ ეს არ არის ჩემს წინააღმდეგ სახელმწიფოსგან აგორებული კამპანია?", – აღნიშნა ზაზა ხატიაშვილმა.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის თქმით, ის არც ერთ ხელისუფლებასთან ალიანსში არ ყოფილა.

„ადვოკატები გამოვიდნენ და თქვეს, რომ ზაზა ხატიაშვილი „ნაციონალების" დასაყრდენიაო, რადგან გოგა ონიანი დაიცვაო. თქვენ, მაგალითად, არ გეამაყებათ, რომ მე არც ერთ ხელისუფლებასთან ალიანსში არ ვიყავი? ყველას ვეუბნები, რომ თქვენ ხართ სამოქალაქო საზოგადოების მტრები. მითხარით ერთი განსხვავება სააკაშვილის რეჟიმსა და ბიძინა ივანიშვილისა და ღარიბაშვილის რეჟიმს შორის. პოლიტიკური ნიშნით დაკავებები იყო და პოლიტიკური ნიშნით დაკავებები არის", – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)



# ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრები მიხეილ სააკაშვილს პასუხობენ

ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ ტელევიზიით გაკეთებულ განცხადებებს ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრები გამოეხმაურნენ. გარდაცვლილი პრემიერის მეუღლის, ნინო ქადაგიძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ატეხილი აჟიოტაჟი სააკაშვილის პოლიტიკურ დევნილად წარმოჩინებას ემსახურება.

„ისინი ცდილობენ, არსებითი საკითხებიდან ყურადღება გადატანილი იქნას სკანდალურ საკითხებზე, რომლებიც ხელს შეუშლის გამოძიებას. აკეთებენ ამ საქმის პოლიტიზაციას, რომ გაიკეთონ მერე ფარი, რომ ამ პოლიტიკური დევნის მიღმა დარჩეს სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც არსებობს. ჩემი და სააკაშვილის შეხვედრებიდან ყველა მათგანი დაახლოებით იყო ერთი და იგივე შინაარსის. მუდმივად ვლაპარაკობდით გამოძიებაზე და მე შემიძლია, შევაჯამო ეს სიტყვები მიშას სიტყვებით. მიშამ მითხრა: მთხოვე, რაც გინდა, ოღონდ გამოძიებას თავი დაანებე. ეს არის მისი სიტყვები“, – განაცხადა ნინო ქადაგიძემ.

მან განმარტა, რომ სააკაშვილთან თანხაზე საუბარი სულ სხვა კონტექსტში ჰქონდა.

„ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც მე თანხაზე მქონდა საუბარი. ჩემი ერთ-ერთი ვერსია იყო, რომ რადგან დაცვის უფროსმა ამოიღო ჯიბიდან გასაღები, ღამე გახსნა მისი ორივე სეიფი, იქნებ, აქ იყო ადამიანური ანგარების მომენტიც და მკვლელობა მოხდა შეიძლება იმის გამოც, რომ ამ ადამიანმა იქიდან რაღაც მოიპარა. შეიძლებოდა, ეს თანხაც ყოფილიყო. მით უფრო, რომ ვიცოდი, ჩემი პირადი ნივთები, რომლებიც იყო სეიფებში, იყო დაკარგული. სულ ეს იყო. რაც შეეხება იმას, თითქოს ბადრი პატარკაციშვილმა მითხრა რაღაცა, ეს თამარ დეკანოსიძის – გარდაცვლილი ადამიანის მოწმედ მოყვანას ჰგავს ძალიან“, – განაცხადა ნინო ქადაგიძემ და დასძინა, რომ არ განეკუთვნება იმ ადამიანების კატეგორიას, რომლებიც თავისი ოჯახის ღირსებით ვაჭრობენ. აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი გარდაცვლილი პრემიერის ძმამ, გოგლა ჟვანიამაც გააკეთა.

„ზურას ორი სეიფი ჰქონდა – ვაშლიჯვარსა და კანცელარიაში. როცა ეს ამბავი მოხდა, ხარშილაძემ მისი ჯიბიდან ამოიღო გასაღები, ყოველგვარი თანმხლები პირის გარეშე გახსნა ორივე სეიფი და მოაცარიელა. შემდეგ ნინომ მოიკითხა ნივთები, რომელთა არსებობის შესახებაც იცოდა და ხარშილაძემ მხოლოდ ამის შემდეგ აღიარა და ნივთების რაღაც ნაწილი მოიტანა. აქედან გაჩნდა აზრი, რომ ეს შეიძლება, პირადი ანგარების მიზნით ჩაედინა“, – განაცხადა გოგლა ჟვანიამ.

ნინო ქადაგიძის თქმით, ახლა არსებობს თანხმობა, რომ დამოუკიდებელი ექსპერტიზა გაკეთდეს, თუმცა ეს ხანგრძლივი პროცესია.

„ბევრ რაღაცაზე მიდის ხელახალი ექსპერტიზა. ეს პროცესი არ არის მარტივი. უკვე რამდენჯერმე იყო მცდელობა, მე და გოგლა ჯერ კიდევ 2005 წლიდან მოვითხოვდით დამოუკიდებელ გამოძიებას. ახლა თითქოს გვაქვს თანხმობა, რომ დამოუკიდებელი ექსპერტიზა გაკეთდეს. ეს გულისხმობს ქვეყნებს შორის საკმაოდ სერიოზულ მოლაპარაკებებს. მაშინ ეს დამოუკიდებელი გამოძიება არ შედგა, იმიტომ რომ ჩვენმა მხარემ არ მისცა თანხმობა, თორემ ოჯახი ყოველთვის მოვითხოვდით. თუ იქნება საჭირო ცხედრის ექსჰუმაცია, ეს მოხდება“. – განაცხადა ნინო ქადაგიძემ. მისი განმარტებით, არავისთვის უთხოვია, მასალები არ გასაჯაროებულიყო, რადგან გამოძიების ინტერესების გამო ეს მასალები ისედაც ვერ გასაჯაროვდებოდა. მასალებში დელიკატური მომენტების შესაძლო არსებობის შესახებ კი ქადაგიძემ განაცხადა: „ეს დელიკატური ნაწილი რომ ის ნაწილია, რომლის გამოც სულ შანტაჟის ქვეშ ვართ და სულ ტრავმირებულები, იცით“.

გოგლა ჟვანიას თქმით, დელიკატური თემები საყვარელი მეთოდი იყო საბჭოთა უშიშროების, რომელიც ყოფილმა ხელისუფლებამ გააგრძელა.

„ამ დელიკატურ მომენტებზე მხოლოდ ისინი საუბრობენ. დელიკატური თემები არსებობდა თავიდან. ეს საყვარელი მეთოდი იყო საბჭოთა უშიშროების და შემდეგ ჩვენი სპეცსამსახურების, რომ ადამიანებს ნაკლები ექქათ ამ საქმეში და ნაკლები ინტერესი გამოეჩინათ ამ საქმის მიმართ. ჩემთვის პირიქით, ეს სტიმული გახდა. ერთ ბინაში დავიბადეთ, ერთ ბინაში გავიზარდეთ. როდესაც ასეთი ხმები დაირხა, ჩემთვის დამატებითი არგუმენტი გახდა იმისა, რომ სულ სხვა რაღაცასთან გვქონდა საქმეზე“, – აღნიშნა ჟვანიამ.

მისივე ინფორმაციით, უმოკლეს დროში, საქმესთან დაკავშირებით საერთაშორისო ექსპერტები ჩამოვლენ.

„არსებობს „ეფბიაის“ დასკვნა. ეს არის ტექნიკური ექსპერიმენტი, რომელიც „ნიკალას“ მუშაობასთან დაკავშირებით ჩატარდა. მათ ასევე გამოკვლეული აქვთ სისხლი და დაადგინეს სისხლში კარბოქსი-გემოგლობინის ოდენობა. ეს ორი კონკრეტული დასკვნაა ამ საქმეში. გარდა ამისა, „ეფბიაის“ რამდენიმე ნივთმტკიცებაზე შესწავლილი აქვს დნმ-ის არსებობა, რომელიც არანაირ სურათს არ იძლევა, რადგან არასრული შესწავლა – ბევრად მეტი ნივთმტკიცება არსებობს და ეს სრულ სურათს არ იძლევა. რაც შეეხება დაწერილ დასკვნებს, დასკვნები ჩვენ გასაჯაროებული გვაქვს ცხრა წლის წინათ. ეს დასკვნები პირადად მე გავასაჯაროვე. ტექნიკურ დასკვნაში შავით თეთრზე წერია, რომ ექსპერიმენტის დროს გამათბობელი აბსოლუტურად გამართულად მუშაობდა და არანაირი სასიკვდილო გარემოება არ შექმნილა. ამაზე ქართულ თარგმანში ეწერა, რომ „ცეო“-ს დონემ ოთახში უმოკლეს დროში მიაღწია და გადააჭარბა სასიკვდილო დონეს, რაც იყო ტყუილი და შემდეგ ეს თარჯიმნის შეცდომას დააბრალეს. მთავარი პრობლემა ის არის, რომ გამოძიებაში ბევრი ახალი მტკიცებულებაა. ის მასალები, რომელმაც ინტერნეტით გაჟონა, ბევრისთვის მოულოდნელი იყო, რადგან იქ დაფიქსირებულია ისეთი დაზიანებები და ის კადრები, რომელიც, როგორც ჩანს, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მათმა ბელადებმა არ იცოდნენ. დაზიანებები დაფიქსირებული იყო ვიდეოკასეტაზე, რომელიც, როგორც ჩანს, მათ ყურადღებით არ გააანალიზეს და არ ნახეს. გამოქვეყნებული კადრები ვერანაირად ვერ ხსნის იმ სულელურ ვერსიებს, რაზეც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები საუბრობენ“, – განაცხადა ჟვანიამ. მან სააკაშვილსა და მის ძმას შორის არსებულ დაპირისპირებაზეც ისაუბრა.

„ზურასა და სააკაშვილს შორის დაპირისპირება მუდმივად იყო. ეს არავისთვის დამალული არ ყოფილა. ამის უამრავი ფაქტი არსებობს. ზურამ მოიყვანა სააკაშვილი პოლიტიკაში. ამის მიუხედავად, სააკაშვილმა შექმნა ცალკე პარტია და გამოეყო ზურას პარტიას. სააკაშვილი აქტიურად იბრძოდა ზურას წინააღმდეგ. 2003 წლის ოქტომბრის არჩევნები, რომელსაც მოჰყვა „ვარდების რევოლუცია“, ძალიან მწვავე დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა ამ ორ გუნდს შორის და უმეტესწილად ეს დაპირისპირება და აგრესია მოდიოდა სააკაშვილის გუნდიდან. თუ გახსოვთ, ოქრუაშვილი ბარამიძის დაჭერას აპირებდა. ოქრუაშვილი მაშინ სააკაშვილის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი იყო ძალისმიერ ქმედებებში და ბარამიძე იყო ზურას გუნდის წევრი. ეს ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი იყო, როგორი ურთიერთობა არსებობდა ამ ორ გუნდს შორის“, – განაცხადა გოგლა ჟვანიამ.

გარდაცვლილი პრემიერის დედამ, რემა ჟვანიამ, საზოგადოებას თხოვნით მიმართა.

„მე მესმის, როდესაც იყო ჟურნალისტური გამოძიებები 7-8 წლის წინათ, როდესაც არ იყო დასკვნა დადებული, მაგრამ, ახლა, როდესაც ყველამ ვიცით, რომ მიდის ინტენსიური გამოძიება, ვაცალოთ ამ გამოძიებას, ნუ შევუშლით ხელს. როდესაც იქნება დასკვნა, თუ რომელიმე პოლიტიკური პარტია ან პიროვნება იქნება ეჭვქვეშ, რომ არ არის ობიექტურად გამოძიებული, მათ შეეძლებათ, გაასაჩივრონ სტრასბურგში. გთხოვთ ყველს, ნუ გააგრძელებთ ამ კამპანიას, ეს საშინელი ტრავმაა ოჯახისთვის, ზურას შვილებისთვის“, – განაცხადა რემა ჟვანიამ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბოგდან ხმელნიცკისა და კიკვიძის პარკის ტერიტორიაზე მედიათეკები მოეწყობა



საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება – თბილისელების“ თავმჯდომარის გულიკო ზუმბაძის ინიციატივით, საკრებულოს დეპუტატები ვაკის პარკში მდებარე მედიათეკას ეწვივნენ და მისი მუშაობის პრინციპები განიხილეს.

პრეზენტაციაში თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა და მერიის სხვა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

„2013 წლიდან „თბილისის მედიათეკების გაერთიანება“ ბიბლიოთეკების ასოციაციის საერთაშორისო ფედერაციის წევრია და ხელმისაწვდომი ხდება ასოციაციის წევრი ქვეყნების ბიბლიოთეკებში დაცული ლიტერატურა, სამეცნიერო ნაშრომები. გაერთიანება უმაღლეს სასწავლებლებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობს და უამრავ საგანმანათლებლო და კულტურულ პროექტს ახორციელებს. აბონენტების რაოდენობამ 2000-ს გადააჭარბა“, – განაცხადა გულიკო ზუმბაძემ.

მამუკა ქაცარავას განმარტებით, ახალი სამკითხველო სივრცეების შექმნა თბილისში უკვე ორი წელია, რაც დაიწყო და მათ პირობითად მედიათეკა დაერქვათ. მისივე ინფორმაციით, ეს არის განახლებული ბიბლიოთეკები ელექტრონული წიგნებით, რომელმაც საკმაოდ კარგი და პოზიტიური გამოხმაურება ჰპოვა მოსახლეობაში.

„დედაქალაქში ორი მედიათეკა ფუნქციონირებს და სამომავლოდ კიდევ ორის გახსნაა დაგეგმილი – ბოგდან ხმელნიცკისა და კიკვიძის პარკის ტერიტორიაზე, რისთვისაც დედაქალაქის ბიუჯეტში 5 მილიონი ლარია გამოყოფილი“. – აღნიშნა ქაცარავამ. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველოში ნატო-ს შემფასებელთა ჯგუფი იმყოფება



საქართველოში ოთხდღიანი ოფიციალური ვიზიტით ნატოს შემფასებელთა ჯგუფი იმყოფება. ვიზიტი მიზნად ისახავს დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის ფარგლებში არსებული პარტნიორობის მიზნების გადახედვასა და განახლებას. აღნიშნული სამუშაო ორ წელიწადში ერთხელ სრულდება და მიღწეული პროგრესი ნატოს ექსპერტების მიერ ყოველწლიურად ფასდება.

შემფასებელთა ჯგუფი შსს-ს სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე პარტნიორობის მიზნები და შსს-ს კომპეტენციაში შემავალი, ნატოსთან თანამშრომლობის სფეროების გაფართოების საკითხები განიხილეს.

აღნიშნული თანამშრომლობის ფორმატი ნატოსთან თავსებადობის ამაღლებასა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანების პროცესის დაჩქარებას უწყობს ხელს. დელეგაციის ხელმძღვანელმა ფრენკ ბოლანდმა შს მინისტრის მოადგილე დავით ხუციშვილთან ორმხრივი შეხვედრა გამართა. (ნიუპოსტი)



# ქვანიას საქმის ახალი დეტალები ვახო კომახიძისგან

**„ლევან ჩაჩუამ დამიდასტურა, რომ უსუპოვის ცალი ფეხსაცმელი შემთხვევის ადგილზე არ იყო. ვფიქრობ, ეს საინტერესო მასალა შემომიგდო, ოღონდ თავი დამენებებინა და ექსპერტიზაზე არ მელაპარაკა. მაშინ ეს არ მქონდა გამჟღავნებული, რადგან საშიში იყო, რომ ჩაჩუასთვის მაშინ ხელისუფლებას რამე არ დაეშავებინა", — ამბობს ფილმის „ტყვიის გარეშე" ავტორი, ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე.**

**— კადრები, რომელიც ვინმე ფაშას სახელით გავრცელდა, ნანახი გქონდათ? გოგლა ქვანია ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ თქვენ უთხარით მას, რომ არსებობდა კიდევ კადრები. ეს ის კადრებია, რომლის არსებობის შესახებ თქვენ გქონდათ ინფორმაცია?**

– ამ კადრების შესახებ, ძალიან დიდი ხნის წინათ მითხრა უშიშროების სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირმა. ზურაბ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებული ფოტოები უშიშროების სამინისტროს ტექნიკურ დეპარტამენტში მიიტანეს და მიიტანეს ისე, როგორც უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლების ნამუშევარი. ანუ, ეს გამოძიების მასალები კი არ იყო, არამედ, ეს იყო უშიშროების მასალები, რომელიც ჰქონდა ტექნიკური დეპარტამენტის უფროსს, კოტარიას, რომელიც, ფაქტობრივად, დათა ახალაიას გავლენის ქვეშ იყო. შეიძლება, მასალები მათგან წაიღეს გამოძიებაში. აღწერილობით ეს არის ერთი და იგივე კადრები, თუმცა არაა გამორიცხული, რომ პროკურატურამ ცალკე გადაიღო კადრები. ამ ფოტოების გარდა, იყო სხვა ფოტოები და მისი აღწერილობის შესახებაც ვიცი.

**— რომელი ფოტოები?**

– იქ უნდა ყოფილიყო ჟვანიას ტალახიანი პიჯაკიც. იყო ამის ფოტო და ისიც უნდა ყოფილიყო ფოტოებში. თუმცა, უსუპოვის დათხვრილი ტანსაცმელი ჩანდა, ხოლო ჟვანიასი არ ჩანდა.

**— სხვათა შორის, არ არსებობს ზურაბ ჟვანიას პიჯაკი, ის უბრალოდ დაიკარგა...**

– ეს ტანსაცმელი დაკარგულია იმიტომ, რომ მტვრიან ტანსაცმელზე დამატებითი კვალის აღმოჩენის შესაძლებლობა არსებობდა და ამიტომ გაქრა ეს ტანსაცმელი საქმიდან. ტანსაცმლის გაქრობა უკავშირდება ექსპერტიზის ბიუროს უფროსის საქმიანობას. სწორედ მისი უშუალო მონაწილეობით გაქრა ტანსაცმელი. თუმცა, საინტერესო იყო მეორე დეტალი – პერანგის არასწორად შეკრული ღილები. ნახეთ, ალბათ, ჟვანიას არასწორად ჰქონდა პერანგი შეკრული. ეს არის მნიშვნელოვანი დეტალი. ეს არის შემთხვევის ადგილის ფალსიფიცირებული სურათი.

**— რის თქმა უნდათ ამ ფოტოთი?**

– ამ ფოტოთი იმის თქმა უნდათ, რომ იქ რაღაცა ისეთი მოხდა, აი, „დელიკატურს", რომ ეძახიან. შემდეგ ამ თანამშრომლებმა, იმის გამო, რომ ეს რაღაცა „დელიკატური" საკითხი დაეფარათ, ჩააცვეს ამ ადამიანებს ტანსაცმელი და ისე გადაუღეს ფოტოები, რომ თითქოს, მთავრობა მოუფრთხილდა ამ ადამიანების ღირსებას და პირადი ცხოვრება რაღაცნაირად დამალა. არასწორად შეკრული ღილებით გადაუღეს ფოტოები და ეს ფოტოები ჩადეს საქმეში. თუ ისინი ცდილობდნენ, რომ შეენიღბათ ეს ყველაფერი, რატომ ვერ დაინახეს, რომ არასწორად იყო შეკრული ღილები? ვერ შეუკრეს სწორად ღილები, თუ რა იყო? ადამიანს შეგნებულად არასწორად შეუკრეს ღილები და გადაიღეს ეს ფოტო, სწორედ იმისთვის, რომ შემდეგ გაევრცელებინათ. შემდეგ, არა მხოლოდ უშიშროების სამინისტრო, არამედ სპეციალური დაცვის სამსახურიც ამას აკეთებდა, ანუ შიგნითვე დაიწყეს პროპაგანდა, თითქოს, იქ იყო რაღაცა „დელიკატური" საკითხები. ეს არის თავიანთი მოგონილი და ეს „მტკიცებულებაც" მათ წინააღმდეგ მუშაობს. არასწორად შეკრული პერანგი პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ მათ შექმნეს ეს ვერსია. ეს იყო ამ ფოტოების არსი.

რაც შეეხება ინტერნეტით გავრცელებულ ფოტოებს, არ ვიცი, ვინ გამოაქვეყნა, ძნელია ახლა ამაზე მსჯელობა. მე ვვარაუდობ, რომ ეს ისევ ყოფილი ხელისუფლების მიერ გავრცელებული ფოტოებია. სწორედ ეს არასწორად შეკრული პერანგის ღილებია მათთვის მნიშვნელოვანი, რომ კიდევ ერთხელ განახორციელონ შანტაჟი, რომ გაჩერდით, თორემ ჩვენ ამაზე დავიწყებთ ლაპარაკს. არავინ იცის, არასწორად შეკრული ღილების გარდა, კიდევ რა აქვთ მათ გადაღებული და რა შეიძლება, რომ ოდესღაც თქვან, რომ აი, ეს იყო და ჩვენ დავფარეთ. პირველივე წუთებიდან დაიწყო ამაზე ხელისუფლებამ ლაპარაკი, რომ იქ რაღაც მოხდა – „მეგობარ ბიჭთან ერთად ღამე გაათია", „მეგობარ ბიჭთან ერთად კონიაკს სვამდა" და ა.შ.

**— ანუ შესაძლებელია ყოფილ ხელისუფლებას კიდევ ჰქონდეს სხვა კადრებიც?**

– არავინ იცის, კიდევ რა ჰქონდათ გადაღებული, რა სცენები ჰქონდათ დადგმული. ვარაუდის დონეზე იყო საუბარი, რომ შეიძლება იქ კიდევ სხვა რამეც გადაიღეს. გარდაცვალებიდან ექსპერტიზის ჩატარებამდე, პროცედურების დაწყებამდე საკმაოდ დიდი დროა გასული. ძაძამია, თითქოს, სადღაც დადის, მიდის-მოდის. ძალიან დიდი პერიოდია შუაში, ამ პერიოდში ყველაფერი მზადდება, სცენა ლაგდება. ამ პერიოდში კიდევ რა გააკეთეს, არავინ იცის.

ცოცხები გააკეთეს და ვინ იცის, სადამდე შეიძლებოდა მათი ფანტაზია წასულიყო. თუმცა, წყარო იმისი, რომ ასეთი რაღაცა შეიძლება გადაღებული ჰქონდეთ, მე არ მაქვს.

**— რაც შეეხება იმ სისხლჩაქცევას, რომელიც ჟვანიას ტუჩის არეში ჰქონდა. ეს ჭრილობა შესაძლებელი იყო ხელოვნურ სუნთქვას გამოეწვია, როგორც ამას დაცვის უფროსი ამბობს?**

– ეს, ალბათ, უფრო ექსპერტებთან არის გასარკვევი. სისხლჩაქცევა ვითარდება მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ცოცხალია და სისხლი მოძრაობს. მიცვალებულ ადამიანს სისხლჩაქცევა არ განუვითარდება. ამიტომ, მას რადგან ჰქონდა ქვედა ტუჩზე სისხლნაჟღენთი, ეს იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლისდროინდელი იყო. დაცვის უფროსი კი ამბობდა, რომ მან უკვე გვამს ჩაუტარა ხელოვნური სუნთქვა. გვამზე ჩატარებული ხელოვნური სუნთქვის კვალი არის ეს სისხლნაჟღენთი რაც მას ტუჩზე ჰქონდა როგორც გარეთ, ისე შიგნით? ტუჩის ქვედა ნაწილზეა საუბარი, იქ ხელოვნურ სუნთქვას რა უნდა? საერთოდ, იქ რატომ უნდა შეხებოდა ხელოვნური სუნთქვის დროს? არანაირი მიზანშეწონილი კავშირი, ხელოვნურ სუნთქვასა და ამ ჭრილობას შორის არ შეიძლება, რომ არსებობდეს. რა თქმა უნდა, ამას შეფასებას ექსპერტი უნდა აძლევდეს. არაფერს ვამბობ მეორე სისხლნაჟღენთზე, არადა ფაქტია, რომ არის მეორე სისხლნაჟღენთიც.

**— ლევან ჩაჩუა დაკითხვისას ამბობს, ვიცოდი ჟვანიას სხეულზე არსებული დაზიანების შესახებ, თუმცა ეს საბოლოო დასკვნაში არ შევიტანეო. როგორ ფიქრობთ, რა ან ვინ უშლიდა ექსპერტს ხელს, რომ აესახა ეს დაზიანება?**

– საერთოდ, ჩაჩუა დიდი ხნის განმავლობაში იყო სამედიცინო ექსპერტიზაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე. მას მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ძალიან საკამათო საქმეებში. მისი კვალიფიკაციისადმი ყველას აქვს ნდობა, მაგრამ მისი კეთილსინდისიერებისადმი იყო კითხვის

*გაგრძელება მეთორმეტე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრემიერ-მინისტრი საერთაშორისო კონფერენციას გახსნის



თბილისში საერთაშორისო კონფერენცია და ბიზნესფორუმი – „ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირთან – პერსპექტივები და შესაძლებლობები" გაიმართება, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გახსნის.

ღონისძიება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდება.

მისი მიზანია, ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის, საინვესტიციო შესაძლებლობებისა და ბიზნესგარემოს შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება. ასევე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისა და ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით განხორციელებული წარმატებული რეფორმების გამოცდილების გაზიარება პარტნიორ სახელმწიფოებთან.

კონფერენციის ფარგლებში, 28 მარტს, ბიზნესფორუმი გაიმართება, რომელზეც ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების ბიზნესწრეების წარმომადგენლები საქმიანი კონტაქტების დამყარებას შეძლებენ.

კონფერენციაზე მიწვეულნი არიან ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი სახელმწიფოების მთავრობებისა და ბიზნესწრეების, ევროკომისიის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. (ინტერპრესნიუსი)

## სოფელ შავშვებს მგლები შეესივნენ



მგლებმა სოფელ შავშვებში წკრიალაშვილების ცხვრის ფარა მთლიანად გაანადგურეს.

დაზარალებულები ერთადერთი შემოსავლის გარეშე დარჩნენ.

„1 ბატკანი და 12 დედა ცხვარი შეგვიჭამეს მგლებმა. დილით ექვს საათზე გავიგეთ. ჩვენი ერთადერთი შემოსავალი ეს იყო. იქნებ რამით დაგვეხმაროს მთავრობა. დღეს გამგებელიც იყო ამოსული, დახმარებას დაგვპირდა, მაგრამ რა ვიცი აბა, რა იქნება" – ამბობს დაზარალებული ხათუნა წკრიალაშვილი.

გორის რაიონში მგლების შინაურ ცხოველებზე თავდასხმის ეს პირველი შემთხვევა არ არის. (ნიუპოსტი)

## ქუთაისში სოციალურად დაუცველი მოხუცი გაძარცვეს




ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა №2-ში მცხოვრები, სოციალურად დაუცველი, 88 წლის გოგი გრძელიძე გაძარცვეს და ფიზიკური დაზიანება მიაყენეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, დამნაშავე შემთხვევიდან რამდენიმე წუთში დააკავეს.

„დანაშაულის ჩამდენი პირი სამართალდამცველებმა რამდენიმე წუთში დააკავეს. თუმცა, იგი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე განთავისუფლდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ექსპერტიზა, რათა დადგინდეს, რა სახის დაზიანებები აქვს დაზარალებულს. ექსპერტიზის დასკვნის დადების შემდეგ მოხდება ბრალის წაყენება. ფაქტზე გამოძიება 178-ე, ძარცვის მუხლით მიმდინარეობს", – განაცხადეს სამინისტროში. (ნიუპოსტი)

*მეთერთმეტე გვერდიდან*

ნიშნები. ამ შემთხვევაშიც, ფაქტია, რომ მან დამალა, მაგრამ რატომ დამალა, ეს გამოძიებამ უნდა თვის სახიფათო ყოფილიყო.

**— რაც შეეხება დაცვას, ისინი ამბობენ, რომ უშუალოდ ჟვანიას გადაწყვეტილებით დატოვეს ობიექტი. ისევე, როგორც ჩაჩუას, დაცვასაც სამსახურებრივ გულგრილობას ედავება გამოძიება**

**— გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ვანო მერაბიშვილი ამბობს, რომ დილით გაზის გაგუდვის შესახებ იმიტომ გააკეთა განცხადება, ოთახში გაზის სუნი ვიგრძენიო...**



– არ ვიცი, ვანო მერაბიშვილი ამ საქმეში ექვმიტანილად არის თუ არა ცნობილი, მაგრამ პოტენციური ექვმიტანილი და პოტენციური ბრალდებული არის. ის არაა ვალდებული, რომ თავისი თავის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება. მას შეუძლია, ყველანაირი სისულელე თქვას და ამას გაგებით უნდა მოვეკიდოთ. მთავარია, ამ სისულელეს გამოძიებამ არ დაუჯეროს. შეუძლებელია, ეს ასე ყოფილიყო, რადგან „ცეო"-ს სუნი არ აქვს და იქ ვანო მერაბიშვილი ვერანაირ სუნს ვერ იგრძნობდა.

**— რაც შეეხება ლევან სამხარაულს, ის მონაწილეობდა ჟვანიას გვამის გაკვეთაში და ასევე გამათბობლის ექსპერტიზაში. მისი მკვლელობა უკავშირდება ჟვანიას**

სიცოცხლე საფრთხეს შექმნიდა პოტენციურად იმისას, რომ გამჟღავნებულიყვნენ ის ადამიანები, ვინც ავალებდა ლევან სამხარაულს, ზემოქმედება განეხორციელებინა ექსპერტებზე, ეს ფაქტია. ეს იქნებოდა ძალიან სერიოზული ხიფათის მატარებელი ზურაბ ადეიშვილისთვის და იმ ჯგუფისთვის, ვინც ფალსიფიკაციას ახდენდა ზურაბ ჟვანიას საქმეზე და ვინც იყო ჩარეული. შესაბამისად, ჩემი ვარაუდით, გაჩნდა იმის საფრთხე, რომ ჟვანიას საქმე ასე ფალსიფიცირებული ფორმით თავს ვერ დაიმაგრებდა და ამის შემდეგ ლევან სამხარაული მოიშორეს.

**— საინტერესოა, რატომ ინახებოდა ეს კადრები მურთაზ ზოდელავას სეიფში, მით უმეტეს, რომ საქმეს გრიფი „საიდუმლო" არ ედო?**

– „ნაციონალურმა მოძრაობამ" დაიწყო საუბარი იმაზე, რომ გამოსაძიებელია, ვინ გაავრცელა ეს კადრები. ეს არის სისულელე. მაგის გამოძიებას არავინ არ დაიწყებს და იცით რატომ? შენ რომ გქონოდა ეგ კადრები, შენ არ გაავრცელებდი? რომელი ადამიანი არ გაავრცელებდა? ეს არ ხელისუფლება და გამოძიება. გასაიდუმლოებული რომ იყოს, მაშინ ვერც ოჯახის წევრები და ვერც გოგორიშვილი ვერ ნახავდა იმ კადრებს. გასაიდუმლოებული ეს არაა. გამოძიებას აქვს უფლება, გაასაჯაროოს ან არ გაასაჯაროოს რაღაცა ინფორმაცია. შესაბამისად, ხელისუფლება გამოძიებას ვერ დაიწყებს, ვინ გაავრცელა მასალა. დანაშაულის შემადგენლობა ამაში არაა. უფრო მნიშვნელოვანია ამის შინაარსი. ჩემი ვარაუდით, ეს კადრები ხელისუფლების საწინააღმდეგოდ არის გავრცელებული. შანტაჟის ელემენტის შემცველელია იმ უსწორმასწოროდ შეკრული პერანგის საშუალებით. სწორედ ეს არის საეჭვო, რატომ უნდა ჰქონოდათ სეიფში. უამრავი საქმე ჰქონდათ. ბევრი საქმე იყო ძალიან მნიშვნელოვანი და ეს საქმეები არ უდევთ სეიფებში. თუმცა, ეს საქმე ედოთ იმიტომ, რომ იმ ხელისუფლებას ყოველთვის ჰქონდა შიში ამ საქმისადმი და ალბათ, ამით იყო განპირობებული, რომ ეს საქმე სეიფში ინახებოდა. მაგრამ, თუ ეს ის ფოტოებია, რომელიც არაა პროკუ-

# ჟვანიას საქმის ახალი დეტალები ვახო კომახიძისგან

გაარკვიოს. როდესაც ვცდილობდი ამ კითხვებზე პასუხის მოპოვებას მისგან, ლევან ჩაჩუამ როცა დაინახა, მას პირდაპირ უწევდა, აერიდებინა კითხვებისთვის თავი, ერთგვარი სცენა გაითამაშა მაშინ – კერძოდ, მან მითხრა, რომ ექსპერტიზასთან დაკავშირებით ყველაფერი სწორია, არაფერი საეჭვო ამაში არაა, თუმცა, მე გეტყვი ერთ რამესო და მან დამიდასტურა, რომ უსუპოვის ცალი ფეხსაცმელი შემთხვევის ადგილზე არ იყო. ვფიქრობ, ეს საინტერესო მასალა შემომიგდო, ოღონდ თავი დამენებებინა და ექსპერტიზაზე არ მელაპარაკა. მაშინ ეს არ მქონდა გამჟღავნებული. საშიში იყო, რომ ჩაჩუასთვის მაშინ ხელისუფლებას რამე დაეშავებინა. მისთვის არანაირი პირობა არ მიმიცია, რომ ამას არ გავამჟღავნებდი. მორალურად არ ვარ ვალდებული, რომ ეს საიდუმლო ბოლომდე შევინახო. ეს არ ვთქვი მაშინ, როდესაც შეიძლებოდა ეს მის-

**ბა, რამდენად ადეკვატურია ჟვანიას დაცვის წევრების მიმართ წარდგენილი ეს მუხლი?**

– აშკარაა დაცვის წევრების ბრალეულობის საკითხი. გულგრილობასთან დაკავშირებით შეიძლება საკამათო იყოს. დაცვის წევრი ამბობს, რომ ჟვანიამ მიბრძანა, რომ არ მივსულიყავი. როცა იგრძნო, რომ ძალიან მომატებული იყო ხიფათი, ამის მერე იგრძნო და შევიდა. მანამდე მიდიოდა, მოდიოდა. დაცვის წევრებმა განზრახ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები მისცეს გამოძიებას. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ცრუ ჩვენებები მისცეს. დადასტურებულია მათი ეს ცრუ ჩვენებები. ეს უფრო სერიოზული დანაშაულია მათი მხრიდან. იმიტომ, რომ ეს შეიძლება პირდაპირ იყოს დაკავშირებული მკვლელობაში თანამონაწილეობასთანაც. გულგრილობა უფრო მსუბუქი ბრალეულობაა ამ შემთხვევაში.

**საქმეს? სამხარაული იყო ზურაბ ადეიშვილის კადრი...**

– სამხარაული ზურაბ ადეიშვილის მეგობარი და ინტერესების გამტარებელი იყო ჯერ უშიშროების სამინისტროში. გენერალური პროკურორი რომ გახდა, ის გადაიყვანა ექსპერტიზის ბიუროში. ძალიან დამოკიდებული იყო ადეიშვილზე. ადეიშვილის დავალებებს ის თვალდახუჭული შეასრულებდა. წავიკითხე, რომ თითქოს, მან რაღაცა დასკვნა დადო და ამ დასკვნის გამო არის ვარაუდი, რომ მოიშორეს. არა მგონია, რომ ეს ახლოს იყოს საღ გონებასთან. ვერანაირ დასკვნას სამხარაული ვერ დადებდა, იმიტომ, რომ დასკვნას ექსპერტები აკეთებენ. სამხარაული ცდილობდა, რომ ექსპერტებს დაეწერათ ხელისუფლებისთვის სასარგებლო დასკვნები. ის არ იყო ადამიანი, ვინც სიმართლის დადგენას ცდილობდა. მაგრამ, ის, რომ ლევან სამხარაულის



ყოფილა გრიფით „საიდუმლოთი" დაცული საქმე. სისხლის სამართლის საქმეა, რომელსაც არ ასაჯაროებდა რატურის საავტორო უფლებით გაკეთებული, მაშინ ეს ფოტოები, წესით, უნდა ეკუთვნოდეს უშიშროების სამინისტროს. (ფორ.ჯი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ევროკავშირი რუსეთს 2008 წელს აღებული ვალდებულებების შესრულებას სთხოვს



ევროკავშირი-საქართველოს სხდომაზე მიღებულ დოკუმენტში მკაცრად დაგმობილია რუსეთის მიერ წარმოებული ბორდერიზაციის პროცესი ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარშემო.

„მისასალმებელია, რომ მიუხედავად ამისა, საქართველო მიმართულია, ჰქონდეს პრაგმატული და მოქნილი მიდგომები ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, შეასრულოს მის მიერ 2008 წელს აღებული ვალდებულებები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და დაუშვას ევროკავშირის მონიტორინგის მისია ოკუპირებულ ტერიტორიებზე", – ნათქვამია დოკუმენტში. (პირველი)

## კანადისა და ირანის მოქალაქეებს საქართველოში ნარკოტიკი შემოჰქონდათ



საბაჟო გამშვებ პუნქტ „ვალეში" თურქეთის მხრიდან შემოსულ კანადის მოქალაქეს, ხელბარგის დათვალიერებისას ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი პრეპარატი „ტრამადოლი" (14,5 აბი) აღმოაჩნდა.

10 აბი ფსიქოტროპული პრეპარატი „დიაზეპამი", 20 აბი ნარკოტიკული საშუალება „დიფენოქსილატი" და 10 აბი ფსევდოეფედრინის შემცველი პრეპარატი „კოლდაქსი", ირანის მოქალაქის ბარგში აღმოჩნდა. ირანის კიდევ ერთ მოქალაქეს 7 აბი სამედიცინო პრეპარატი „კოლდაქსი" (ფსევდოეფედრინი) და 8 აბი ნარკოტიკული საშუალება „დიფენოქსილატი" შემოჰქონდა მალულად.

ასევე, ნარკოტიკის შემოტანისთვის, „სარფის" კონტროლის ზონაში დააკავეს ირანის მოქალაქე, რომლის ბარგის დათვალიერებისას მებაჟე ოფიცრებმა მედიკამენტი კოდეინი 300/10 (10 აბი) აღმოაჩინეს.

ყველა საქმეს პოლიცია იძიებს. (პირველი)

## შემოსავლების სამსახური კომპანიის ანგარიშებს გაუფრთხილებლად ყინავს?



საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარის, ფადი ასლის განცხადებით, ხელისუფლება კომპანიების დევნას ახორციელებს.

„ჩემი პალატის სამმა წევრმა-კომპანიამ მომმართა ჩივილით, რომ შემოსავლების სამსახურმა გაფრთხილების გარეშე გაყინა მათი ანგარიშები და უფრო მეტიც, მათი ანგარიშებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართა გარკვეული სახსრები", – განაცხადა ფადი ასლიმ.

სავაჭრო პალატის ხელმძღვანელი არ ასახელებს კომპანიებს, რომლებიც, მისი მტკიცებით, მთავრობიდან ზეწოლას განიცდიან, რადგან შიშობს, რომ ისინი უარეს მდგომარეობაში არ ჩავარდნენ.

ფადი ასლი ვარაუდობს, რომ იმ კომპანიათა რიცხვი, რომელსაც შემოსავლების სამსახურმა ანგარიშებიდან თვითნებურად „ჩამოაჭრა" ფინანსური სახსრები, გაცილებით მეტია. (ბპნ)

## ჯავახეთის ეთნიკურ სომხებს რუსეთის ფედერაციის პასპორტებს ურიგებენ



ყოფილი პარლამენტარის კონსტანტინე გამსახურდიას ინფორმაციით, თბილისში რუსეთის საელჩოში, ჯავახეთის ეთნიკურ სომხებს რუსეთის ფედერაციის პასპორტებს ურიგებენ.

„სხვადასხვა წყაროს მონაცემებიდან ირკვევა, რომ თბილისში, რუსეთის საელჩოსთან, უფრო ზუსტად ფუნქციონირებად საკონსულოსთან დგას ჯავახეთის ეთნიკურად სომეხი მოქალაქეების რიგები. მათ ურიგებენ რუსეთის ფედერაციის პასპორტებს. ქართული სახელმწიფო 1993 წლის შემდეგ არ მდგარა ასეთი საფრთხის წინაშე, როგორც დღეს. იმედია, გესმით, მეგობრებო, ეს რას უნდა ნიშნავდეს: (ცხადია, თუ საქართველოს გეოგრაფიაში ერკვევით) საუკეთესო შემთხვევაში აწყურთან აღდგება რუსული ბლოკპოსტი, უარეს შემთხვევაში, სადმე, ბორჯომსა და ახალციხეს შორის, ხოლო ყველაზე საზარელი ვარიანტისას საერთოდ არ იქნება ბლოკპოსტი – შუაზე გაგვჭრიან. არიან ასეთი განვითარებისთვის მზად ქართული არმია, სამხედრო დაზვერვა, შინაგანი ჯარი, სპეცსამსახურები? არიან ამ სცენარისთვის მზად ჩვენი პარტნიორები? დაე, იცოდნენ, რომ მხოლოდ განცხადებები, ლაყაფი, შეშფოთება და „ჰუმანიტარული" ტვირთის გამოგზავნები ჩვენ მიერ მხოლოდ სუსტ მხარდაჭერად ჩაითვლება. მაინც გავმხნევდეთ. გვახსოვდეს რუსთაველი, როგორ უნდა გამაგრება „ჭირსა შინა", – წერს კონსტანტინე გამსახურდია „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე.

## 17 მაისს „ლგბტ" მსვლელობა არ იგეგმება



17 მაისის მოახლოებასთან ერთად, აქტუალური ხდება კითხვა – იგეგმება თუ არა ამ დღეს „ლგბტ" მსვლელობა საქართველოში. ორგანიზაცია „იდენტობის" დირექტორის, ირაკლი ვაჭარაძის განცხადებით, საზოგადოებისთვის მათი „ღიაობა რთული მოსანელებელია".

„უკანასკნელ წლებში თბილისში განვითარებულმა მოვლენებმა გვაჩვენა, რომ საკუთარი არსებობისა და საკუთარი პრობლემების შესახებ ხმამაღლა გაცხადება, ხილვადობის ეს ბაზისური აქტიც კი, თავისთავად უკვე რადიკალურია. ხილვადობა მძაფრ კულტურულ (სინამდვილეში უკულტურო) წინააღმდეგობას იწვევს. ქართული პატრიარქალური, მასკულინური, მოქალაქეების მიერ ერთმანეთის ჩაგვრაზე დაფუძნებული კულტურა რადიკალიზმად მიიჩნევს არა მხოლოდ სისტემის შეცვლის ან დანგრევისკენ მოწოდებას, არამედ სრულიად უვნებელ უბრალოდ ღიაობის ფაქტს". – აცხადებს ვაჭარაძე.

ორგანიზაცია 17 მაისს ღონისძიების ჩატარებას არ გეგმავს.

„ახლა კი 2014 წლის 17 მაისს საჯარო ღონისძიების ორგანიზებაზე უარს ვამბობთ. ვაცნობიერებ, ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ, გულშემატკივრებისა და მეგობრების შესაძლო იმედგაცრუებას. ზოგი იტყვის, რომ ეს კაპიტულაციაა. შესაძლოა, ეს ჟესტი მრავალმა მათგანმა თვითგამოხატვის უნივერსალურ უფლებაზე უარის თქმადაც კი მიიჩნიოს, მაგრამ მე მათ მინდა ვუთხრა: „იდენტობა" ყოველდღე, წლის ნებისმიერ დროს, არც ერთი წამით არ მორიდებია და არ მოერიდება ხილვადობასა და ღიაობას, მათ შორის ქუჩის საპროტესტო თუ საქველმოქმედო აქციების ორგანიზებასა და თანამონაწილეობას „ლგბტ", ქალთა თუ სხვათა უფლებებისთვის", – აღნიშნავს ირაკლი ვაჭარაძე. (ამბები.ჯი)

# რა სამი კითხვა გაუგზავნა „ალიამ" შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრს



როგორც კი მთავარმა პროკურატურამ სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც სააკაშვილი მთელ რიგ საქმეებთან დაკავშირებით მოწმის სახით დაკითხვაზე იყო დაბარებული, უცხოელთაგან ერთ-ერთი პირველი ვინც ეს საკითხი დააკომენტარა, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, კარლ ბილდტი იყო, რომელმაც განაცხადა, რომ ექსპრეზიდენტის პროკურატურაში დაბარება შეიძლება პოლიტიკურ დევნად იქნას აღქმული.

სააკაშვილის მხარდამჭერი განცხადებები ბილდტს არაერთხელ გაუკეთებია და „ალია"-„ქრონიკა" იმასაც წერდა, რომ კარლ ბილტს სააკაშვილთან მიმართებაში კერძო ინტერესები ამოძრავებდა და ამის შესახებ რამდენიმეჯერ შვედეთის პრესაშიც დაიწერა, ამიტომ მე თავს უფლება მივეცი და „ფეისბუკის" საშუალებით მას 25 მარტს წერილი გავუგზავნე (გთავაზობთ ინგლისურ ვარიანტს):

`Dear Mr. Bildt,

My name is Gela Zedelashvili, columnist from the Georgian Newspaper „Alia". In my latest newspaper article, I mentioned your name; could you please be kind and comment on that?

Here is part of the article:

„Neither US Department of State, nor the European Union are worried about that Sweden's Minister for Foreign Affairs Mr. Carl Bildt is bribed by Mikheil Saakashvili and that's why he is making protective statements for Saakashvili's guilty regime. Nobody worries that Carl Bildt's lobbying company, which is registered under Bildt's wife, is one of those lobbying companies that were hired and financed by Mikheil Saakashvili, and nowadays those ties still continues. Incognito sources say, that Mr. Bildt has mentioned couple of times within his close circle, that he is well informed about Saakashvili's criminal and suspicious activities, but because of the financial interests he is supporting Saakashvili. By the way, Mr. Bildt is among those European High ranking officials, to whom Saakashvili is having compromises, to whom, where and when are transferred money. And that is why, when Saakashvili would push on the red button, Mr. Bildt is making Saakashvili's protective statements~.




რაც ქართულ ვარიანტში ასე იკითხება:

„ბატონო კარლ, მოგმართავთ გაზეთ „ალიას" ჟურნალისტი, გელა ზედელაშვილი.

ჩვენ გამოვაქვეყნეთ სტატია იმის თაობაზე, რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდშიც და ახლაც ხშირად აკეთებთ მიკერძოებულ განცხადებებს. არსებობს ეჭვები და ბევრს ლაპარაკობენ ქართველ საზოგადოებაში, თითქოს თქვენ მოსყიდული ჰყავხართ სააკაშვილს. გაგაცნობთ ამონარიდს ჩვენი სტატიიდან:

„კარლ ბილდტის ლობისტური კომპანია, რომელიც ცოლის სახელზე აქვს გაფორმებული, იმ ლობისტურ კომპანიებს შორისაა, რომელთაც აფინანსებდა სააკაშვილი და ეს კონტაქტები დღესაც გრძელდება. ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, კარლ ბილდტს არაერთხელ აღუნიშნავს კულუარებში, ანუ ახლო მეგობრების წრეში, რომ მან კარგად იცის სააკაშვილის არაერთი დანაშაულის შესახებ, მაგრამ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე, მაინც მხარს უჭერს. სხვათა შორის, კარლ ბილდტი იმ ევროპელი ჩინოვნიკების სიაშია, რომელთა შესახებაც სააკაშვილს გააჩნია კომპრომატები... კერძოდ, ვის, სად და როდის ერიცხება თანხები. ამიტომ, როგორც კი სააკაშვილი წითელ ღილაკს თითს დააჭერს, ბილდტი მის მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებს".

ბატონო მინისტრო, გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ზემოჩამოთვლილ ბრალდებებს და გვიპასუხოთ, რამდენად შეეფერება ის სიმართლეს? წინასწარ გიხდით მადლობას".

ეს ტექსტი მისტერ ბილდტს „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზეც დავუდე და პირადშიც გავუგზავნე. მე ეს წერილი არ გამიგზავნია ვარაუდზე, გარკვეული წრეებიდან მქონდა დასტური, რომ ის მიპასუხებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, შეკითხვები ისეთი მწვავე (და ალბათ, მისთვის მიუღებელიც) აღმოჩნდა, რომ 26 მარტს თავისი გვერდიდან საერთოდ გააქრო.

აი, ასეთია ბილდტის ევროპული დემოკრატია, რაც თავად აწყობს, მხოლოდ იმას ლაპარაკობს. ალბათ, ბილდტსაც და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სიკორსკისაც, რომელიც ასევეა შემჩნეული მსგავს ქმედებებში, ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში ორივეს სერიოზულ ბრალდებებს წაუყენებდნენ მხოლოდ ერთი რამის გამო: როგორც კი ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრი ხდება, ისინი ჩამოდიან საქართველოში, ხვდებიან მას და იწყებენ შანტაჟს, თუ სააკაშვილის წინააღმდეგ რამეს გაბედავ, დასავლეთიდან მხარდაჭერა აღარ გექნებაო. სინამდვილეში ბილდტი და სიკორსკი ცდილობდნენ, სააკაშვილისთვის ხელშეუხებლობის გარანტია მოეპოვებინათ, მაგრამ რაკი ეს გარანტია ვერ მიიღეს, ამის შემდეგ დაიწყეს ღია განცხადებების გაკეთება. არადა, წესით, სააკაშვილის დაკითხვა თუ დაკავება არც ბილდტის საქმეა, არც სიკორსკისა და არც ბიძინა ივანიშვილის, არსებობს პროკურატურა, არსებობს სასამართლო.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ჯანდაცვის სამინისტრო ჩვილ ბავშვთა სახლში არსებულ მდგომარეობას კრიტიკულად აფასებს



ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული მონიტორინგის დასკვნის თანახმად, თბილისში, ნუცუბიძის ქ. №53-ში მდებარე ჩვილ ბავშვთა სახლში პროდუქტის შენახვის ნორმები დარღვეულია.

„მიუხედავად იმისა, რომ მალფუჭებადი საკვები მაცივარში ინახება, პროდუქტის შენახვის ნორმები დარღვეულია. ბავშვთა სახლის პერსონალი იცნობს ბავშვთა დაცვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურებს, თუმცა მომსახურებაში არ არსებობს ძალადობის ფაქტებისა და პასუხად გატარებული ღონისძიებების წერილობითი აღრიცხვა. ბავშვთა სახლში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი „მოძრავი" სამუშაო გრაფიკით 24-საათიან მეთვალყურეობას ახორციელებს ბენეფიციარებზე. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია ბენეფიციარებისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა როგორც ბავშვთა სახლში, ისე სტაციონარში, თუმცა სამედიცინო პროფილაქტიკური შემოწმების ჩატარებას რეგულარული ხასიათი არ აქვს. ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა ნაწილს დაგვიანებით, ან საერთოდ არ აქვს ჩატარებული (25 აღსაზრდელიდან 9 ბენეფიციარს) ასაკის შესაბამისი იმუნიზაცია", – ნათქვამია დოკუმენტში.

დასკვნის თანახმად, „მომსახურებაში ჩართული პერსონალის უმრავლესობას გავლილი არ აქვს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით შემუშავებული სატრენინგო კურსი, 65 აღსაზრდელიდან მხოლოდ 19 მათგანს აქვს სერტიფიკატი. მომსახურებაში არ ხორციელდება რეგულარული მონიტორინგი თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით". (ფრონტნიუსი)

# სკანვორდი

ავტორი ლალი ზანდუკელი 2 23-11-28



1. ხვავი
2. ჰიპოკრატეს ...
3. ციხე-სიმაგრე პარიზში
4. მსახიობი ანტონიო ...
5. სამზარეულოს ჭურჭელი
6. დიზაინერი ჯორჯო ...
7. რუსი დევგმირი ილია ...
8. სივრცეში მოძრაობის გზა
9. გაზაფხულის თვე
10. „ნატვრის ხე“ დაუშვილი
11. ტყემლის შავი საწებელი
12. ქალაქი შიდა ქართლში
13. მწერალი ტომას ... რიდი
14. მსახიობი ... ლონგორია
15. ვიოლინოს ჯოხი
16. პური ლობიოს გულით
17. ყმაწვილი ცვილის ფრთებით
18. თოვლზე სასრიალო ფიცარი
19. ტენორი ბენიამინო ...
20. კანცლერი ოტო ფონ ...
21. სიტყვიერი დამშვიდება
22. ქალაქი იტალიაში
23. რობინ უილიამსი ფილმში
24. ტივი „...-ტიკი“
25. რუსი მხატვარი
26. გამის ნოტი
27. დიეგო არმანდო ...
28. ... მარაბდელი
29. იაზონის გემი
30. ქალაქი იტალიაში
31. შემოდგომის თვე
32. კუთხეში გავლებული ხაზი
33. მ/ფ „... მდივანი“
34. არქიტექტურული სტილი
35. მწვრვალი კავკასიონზე
36. რუს მეფეთა დინასტია
37. ლაგერლოფი. „საგა ... ბერლინგზე“
38. გეოგრაფიაში: პარალელი და ...
39. მსახიობი ... ნილი
40. უქორწინო თუთიყუში
41. სამხედრო ხომალდი
42. მსახიობი ... გიბსონი
43. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
44. პატარა სამკაული ძეწკვზე
45. წყალქვეშა კლდე
46. მომღერალი თამარ ...
47. ბავშვის კბილი
48. ხის ჯიში
49. მომღერალი ... სპირსი
50. სემი, ... და იაფეტი
51. საათის მრგვალი ფირფიტა
52. ტარზანის როლში ჯონი ...
53. პორტუგალიის დედაქალაქი
54. სამიანი ნარდში
55. ქვის კედელი
56. მსახიობი ... ტაილერი
57. სანთლის მასალა
58. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
59. ფეხბურთელი ანრდეს ...
60. მსახიობი ... წულაძე
61. მსახიობი ალბერტო ...
62. აირი დედამიწის ირგვლივ
63. ჭაობის ფრინველი
64. ქიმიური ელემენტი
65. ქალაქი ქვემო ქართლში
66. მსახიობი ... ბესინჯერი
67. დღესასწაული ესპანეთში
68. გარეული ფრინველი
69. ... ჭრის და ... კერავს
70. პირის ღრუს თაღი
71. ქალაქი საფრანგეთში
72. ტოლჩა
73. სახლის გადასახურავი მასალა ძველად
74. ჩეხოვი. „ძია ...“
75. მისტერ ბინი- როუენ ...
76. მომღერალი მირეი ...
77. არანამდვილი, ანუ ...
78. კომპოზიტორი ... კალმანი
79. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება
80. ანოდი და ...
81. უსაფუვროდ გამომცხვარი პური
82. ხორბლის ჯიში
83. „20000 ... წყალქვეშ“
84. მგალობელი ფრინველი
85. ბოჭკოვანი მცენარე
86. კბილის რბილი ქსოვილის ანთება
87. გამქროლი ქარი
88. ადამიანის ბიოველი
89. კარებში გატანილი ბურთი
90. პოეტი ... ფოცხიშვილი
91. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
92. ბერძ. ანბანის პირველი ასო
93. ტყის ფრინველი
94. კავშირებითი სიტყვა
95. სამკურნალო დაწესებულება
96. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
97. მ/ფ „...-ძა-ძა“
98. დიდი ვულკანური ღრმული
99. ელვის ... პრესლი
100. პურის კიდე
101. მომღერალი ... მჟავია
102. მამითადი
103. დოლის გასამართი ადგილი
104. ხმამაღალი სიცილი
105. ... იქა, ლხინი აქა
106. ..., იგივე კოკო შანელი
107. მონათა აჯანყების ხელმძღვანელი
108. პატარა მარხილი
109. ფაიფურის თეთრი თიხა
110. მამათა დიდი მონასტერი
111. ... არიან მორწმუნენი
112. „მატრიცა“ კერი-ენ მოსი
113. კენიის დედაქალაქი
114. პიერ რიშარის კინოროლი
115. მეტამორფოზის ბოლო სტადია
116. ეპოქა
117. ქვანახშირის აუზი გერმანიაში
118. ბრიუს უილისი ფილმში
119. მხატვარი ... ახვლედიანი
120. მსახიობი ... ჰოპკინსი
121. სამშენებლო მასალა
122. სახელი და ...
123. ხის ჯიში
124. სიმებიანი საკრავი
125. ძვ. რომაული სამოსი
126. ამფიბია
127. მსახიობი ... მიდლერი
128. „ბეჭდების მბრძანებ.“ ჰობიტი
129. გერმან. ფულის ერთეული
130. „...-კარენინა“
131. ბრინჯის კერძი
132. მწერალი ... ბულიჩოვი
133. ვილჰელმ ჰაუფის ზღაპრის გმირი ბიჭუნა მფრინავი ქოშებით
134. მსახ. ... მაკგრეგორი
135. „დორიან გრეის პორტრეტი“ ავტორი ... უაილდი
136. ენის გასატეხი: ბებიას ბიას ... აბია
137. მწერალი ... როდარი
138. ჯარისკაცის სამოსი
139. სირაქლემას სახეობა
140. მიმართვა ქალისადმი იაპონიაში
141. ყვავილი
142. აკვიატება
143. სახედარი
144. შინაური ცხოველი

პასუხები: 1. ბარაქა; 2. ფიცი; 3. ბასტილია; 4. ბანდერასი; 5. ქვაბი; 6. არმანი; 8. ტრაექტორია; 9. მაისი; 10. ციციკორე; 11. კვანარახი; 12. რუსთავი; 13. მაინ; 14. ევა; 15. ხემი; 16. ლობიანი; 17. იკაროსი; 18. სნოუბორდი; 19. ჯილი; 20. ბისმარკი; 21. ნუგეში; 22. ნეაპოლი; 23. „ჯუმანჯი“; 24. კონ; 25. კრამსკოი; 26. რე; 27. მარადონა; 28. არსენა; 29. „არგო“; 30. მილანი; 31. ნოემბერი; 32. ბისექტრისა; 33. რაიკომის; 34. ბაროკო; 35. შხარა; 36. რიურიკი; 37. იოსტა; 38. მერიდიანი; 39. სემ; 40. არა; 41. კრეისერი; 42. მელ; 43. ომეგა; 44. ბრელოკი; 45. რიფი; 46. გვერდწითელი; 47. კიჟი; 48. ჭადარი; 49. ბრიტნი; 50. ქამი; 51. ციფერბლატი; 52. ვაისმიულერი; ლისაბონი; 54. სე; 55. ყორე; 56. ლივ; 57. ცვილი; 58. სერ; 59. ინიესტა; 60. ბაადურ; 61. სორდი; 62. ატმოსფერო; 63. ყარყატი; 64. იოდი; 65. დმანისი; 66. კიმ; 67. ფიესტა; 68. ნერო; 69. თან; 70. სასა; 71. მარსელი; 72. კათხა; 73. ყავარი; 74. ვანია; 75. ატკინსონი; 76. მატიე; 77. ყალბი; 78. იმრე; 79. ასო; 80. კათოდი; 81. ხმიადი; 82. იფქლი; 83. ლიე; 84. იადონი; 85. სელი; 86. პულპიტი; 87. ორპირი; 88. კარმა; 89. გოლი; 90. მორის; 91. ნიკარაგუა; 92. ალფა; 93. როჭო; 94. რომ; 95. ამბულატორია; 96. ინდიგო; 97. ქინ; 98. კალდერა; 99. აარონ; 100. ყუა; 101. ანანო; 102. ნადი; 103. იპოდრომი; 104. კისკისი; 105. ჭირი; 106. გაბრიელა; 107. სპარტაკი; 108. ციგა; 109. კაოლინი; 110. ლავრა; 111. ნეტარ; 112. ტრინიტი; 113. ნაირობი; 114. პინიონი; 115. იმაგო; 116. ერა; 117. რური; 118. „არმაგედონი“; 119. ელენე; 120. ენტონი; 121. გაჯი; 122. გვარი; 123. ტირიფი; 124. არფა; 125. ტოგა; 126. ტრიტონი; 127. ბეტ; 128. ფროდო; 129. მარკა; 130. ანა; 131. ფლავი; 132. კირ; 133. მუკი; 134. ევან; 135. ოსკარ; 136. ბია; 137. ჯანი; 138. ფარაჯა; 139. ნანდუ; 140. ტიან; 141. ია; 142. მანია; 143. ვირი; 144. თხა. იკითხება: ქეით ბლანშეტი.

## ყველაზე საინტერესო ფაქტები



– საფრანგეთის ნაციონალური ოპერის ფუძემდებლის, წარმოშობით იტალიელი კომპოზიტორის, ჟან-ბატისტ ლიულის (1632–1687) სიკვდილის მიზეზი „დირიჟორის ჯოხი“ გახდა. თურმე, ძველ დროში დირიჟორის ჯოხის ფუნქციას ჩვეულებრივი ყავარჯენი ასრულებდა. 1687 წლის 8 იანვარს, როცა ჟან-ბატისტ ლიული ორკესტრს დირიჟორობდა, ყავარჯენი, ანუ „დირიჟორის ჯოხი“ ფეხში იმდენად ძლიერად გაირტყა, რომ სულ მალე განგრენა განუვითარდა და ფატალური შედეგიც უმოკლეს დროში დადგა.

– XX საუკუნის დასაწყისამდე მამაკაცები ქალებზე დიდხანს ცოცხლობდნენ. ყოველ შემთხვევაში, სტატისტიკა სწორედ ამაზე მეტყველებს. 1920 წლისთვის მშვენიერი სქესის სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი უკვე გაიზარდა. დღეს კი სხვაობა მართლაც საგრძნობია – ქალები დაახლოებით 7 წლით მეტხანს ცოცხლობენ. აღნიშნულის მიზეზი გახლავთ მნიშვნელოვანი წინსვლა მშობიარობის მხრივ – დაიხვეწა ჰიგიენა, გაჩნდა უფრო მეტი მედიკამენტი და რაც მთავარია – ტექნიკა.



– აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ შემდეგი ტიპის სასმელის მუდმივი მიღება სასტიკად აკრძალულია: ლუდის; არომატიზებული ჩაის; დისტილირებული წყლის; გაზირებული წყლის, ხსნადი ყავის, მინერალური წყლის...

– ბოსტონში დგას ვინმე სემუელ ადამსის ძეგლი, რომელიც თავის დროზე ლუდის ჩამომსხმელ საწარმოს ფლობდა. მის ძეგლზე წარწერაა: „ლუდის მწარმოებელი, პატრიოტი“.

– ნებისმიერ ადამიანს თავზე 90 ათასიდან 150 ათასამდე ღერი თმა ეზრდება. საშუალოდ, თმის სიგრძე დღეში 0,33 მილიმეტრით მატულობს, წელიწადში 12 სანტიმეტრით, მთელი ცხოვრების განმავლობაში კი თმის სიგრძე 7,6 მეტრამდე აღწევს. ყოველდღე ადამიანს 30-დან 120-მდე თმის ღერი სცვივა. მას შემდეგ, რაც ადამიანი 50 წელს აბიჯებს, თმის სიგრძეში ზრდის ტემპი საგრძნობლად მცირდება. ზაფხულის პერიოდში თმა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ზამთარში.



– ყავის მოყვარული ადამიანები სექსით უფრო ხშირად კავდებიან და უფრო მეტ სიამოვნებასაც იღებენ, ვიდრე ისინი, ვისაც ეს სასმელი დიდად არ ხიბლავს.

– 1938 წლის 30 ოქტომბერს ნიუ-ჯერსის შტატის ერთ-ერთი რადიოს ეთერში ჰერბერტ უელსის რომანის, „ცივილიზაციების ომის“ რადიოდადგმის ტრანსლაცია მიმდინარეობდა – თითქოს, შემთხვევის ადგილიდან კორესპონდენტი ერთვებოდა, რომელიც მომხდარზე დეტალურად საუბრობდა. აღმოჩნდა, რომ რადიოდადგმას დაახლოებით 6 მილიონი ადამიანი უსმენდა, რომლიდანაც 1 მილიონს ყველაფერი სიმართლე ეგონა და მაშინვე თავშესაფარს მიაწყდა. პანიკის შედეგად, გზებზე საშინელი საცობები წარმოიქმნა, ხალხი სასოწარკვეთილი იყო და უცხოპლანეტელებისგან განამადგურებელი დარტყმის მოლოდინში კანკალებდა. შტატის ხელისუფლებას შეშინებული მოქალაქეების დასამშვიდებლად 6 კვირა დასჭირდა, რადიოდადგმის გაშვება კი სამუდამოდ აიკრძალა.

– „ლადა კალინას“ საექსპორტო სახელი ფინეთის ბაზრისთვის „ლადა 119“ გახლავთ, რადგან ფინურად „კალინა“ მტვრევას, მსხვრევასა და ხმაურს ნიშნავს.



– უნივერსიტეტში სწავლისას, ცნობილმა ამერიკელმა მათემატიკოსმა, ჯორჯ დანციგმა ერთ დღეს ლექციებზე მისვლა დააგვიანა. აუდიტორიაში შესულს, მას აღარავინ დახვდა, ხოლო დაფაზე დატოვებული ნაწერი საშინაო დავალება ეგონა. დანციგს ძალიან გაუჭირდა „დავალების“ ამოხსნა, თუმცა რამდენიმე დღეში სასურველ შედეგს მაინც მიაღწია. მოგვიანებით გაირკვა, რომ მან ორი ისეთი საკითხი ამოხსნა, რომლებსაც რამდენიმე ქვეყნის მეცნიერთა ჯგუფი წლების განმავლობაში ვერაფერს უხერხებდა.

– 1979 წლის 1-ელ აპრილს ინგლისელმა ასტრონომმა, პატრიკ მურმა „ბი-ბი-სი“-ს ეთერში განაცხადა, რომ საღამოს 21:47 საათზე უიშვიათესი ასტრონომიული მოვლენა უნდა დაფიქსირებულიყო: თითქოს, პლუტონს იუპიტერის უკან უნდა დაეხია, რაც დედამიწის გრავიტაციაზე გავლენას მოახდენდა და ვინც ზუსტად 21:47 საათზე ჰაერში ახტებოდა, გარკვეულ მანძილზე ფრენას შეძლებდა. აღნიშნული დროის მოახლოებისთანავე „ბი-ბი-სი“-ში არ წყდებოდა მოქალაქეების ზარები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მათ... ფრენა შეძლეს!

– გელია მარკიზოვას მშობლები, ბავშვის, რომელიც ცნობილ პლაკატზე: „მადლობა ამხანაგ სტალინს ჩვენი ბედნიერი ბავშვობისთვის“, „დიდ ბელადთან“ ერთად არის აღბეჭდილი, რეპრესირებულები იყვნენ.

*factroom.ru*

## დივნის ქვეშ მოყოლილი მამაკაცი მხსნელს 3 დღე ელოდა




ისე, ერჩია, ალბათ, ჯო გალიოტის მდივანი დასცემოდა ზემოდან, თანაც 3 დღით, და არა დივანი, მაგრამ უმუშევარი რომ იყო, ამიტომაც მოუვიდა ასეთი გაუგებრობა.

ჰოდა, იწვა დაახლოებით 65 საათი დიდი ბრიტანეთის სომერსეტის საგრაფოს მკვიდრი უზარმაზარი დივნის ქვეშ და მოთმინებით ელოდა მხსნელს.

ერთადერთი, რაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ჯო გალიოტიმ შეძლო, ვისკის ბოთლის მაგიდიდან ჩამოგდება იყო, რამაც გადაატანინა კიდეც ხანგრძლივი ლოდინი.

– დივანს სიბნელეში შევეჯახე, წავიქეცი და ის ზემოდან დამეცა. მოძრაობა არ შემეძლო, ტელეფონი კი ძალიან შორს იყო. ვისკის გარდა, მთელი დღეების განმავლობაში, არაფერი ჩამსვლია პირში, – ყვება ჯო გალიოტი, რომელიც, საბოლოო ჯამში, სიკვდილისგან მეზობლის შვილიშვილმა იხსნა და 5 დღით ახლა საავადმყოფოში წოლამ მოუწია, თუმცა ის მაინც ბედნიერად გრძნობდა თავს – ყველა თვალებში შესციცინებდა და რაც მთავარია, საწოლის ზემოდან იყო მოთავსებული...

*mainfun.ru*

## კატალონიელი შეუჩერებლად 124 საათი ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა...




სააკაშვილის გადამკიდე, ხანგრძლივი და უაზრო საუბარი, წესით, არ უნდა გვაკვირვებდეს, თუმცა...

არსებობს საფრანგეთის სამხრეთით ერთი ასეთი ქალაქი, რომელსაც პერპინიანი ეწოდება და სადაც 62 წლის კატალონიელი, ვინმე ლუი კოლე ცხოვრობს.

ჰოდა, ადგა ბიძია-ბაბუა და გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრა გადაწყვიტა – ლიუ კოლემ 124 საათის განმავლობაში შეუჩერებლად ილაპარაკა.

რეკორდის დამყარებისთვის, საერთო ჯამში, კოლეს 5 დღე დასჭირდა, რითიც მან წინა რეკორდი – 120-საათიანი შეუჩერებელი ლაპარაკი გააუმჯობესა, რომელიც ინდოეთის მკვიდრს ეკუთვნოდა.

სხვათა შორის, რეკორდის დამყარების შემდეგ, კატალონიელმა ჟურნალისტებისთვის კომენტარის მიცემაც არ დაიშურა და ამაყად განაცხადა:

– ეს არის ყველაზე დიდი დღე ჩემს ცხოვრებაში, რომლისთვისაც წლების განმავლობაში ვემზადებოდი.

*vesti.ru*

## ფრანგებმა შორი განათების უსაფრთხო მაშუქები გამოიგონეს



ქართველი მძღოლების ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილი – შორი განათების სინათლის გამოყენება არაერთი უსიამოვნების მიზეზი გამხდარა, რადგან თავის დროზე თვალის მომჭრელ მაშუქებს ძალიან ცოტა თუ თიშავს და პრინციპში, ასეთივე პრობლემა დანარჩენი მსოფლიოს თავის ტკივილიცაა, რომელსაც იმედია, ფრანგების გამოგონილი ტექნოლოგია ერთხელ და სამუდამოდ მოაგვარებს.

ფრანგებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ცნობილი ხდება, რომ ისინი მზად არიან, დაიწყონ ავტომობილების მაშუქების ახალი სისტემის მასობრივი წარმოება, რომელიც საშუალებას იძლევა, დღე-ღამის ბნელ დროს შორი განათების მაშუქები მძღოლმა გათიშვის გარეშე გამოიყენოს და არ იდარდოს, რომ ამით შემხვედრი ტრანსპორტის მძღოლის მხედველობას ხელს შეუშლის.

ეს მეტად საჭირო სისტემა კომპანია „ვალეომ“ გამოიგონა და მისი გამოყენება უკვე მიმდინარე თვიდან უნდა დაიწყოს. ტექნოლოგიის მუშაობის პრინციპი ასეთია: ავტომობილზე ყენდება მომცრო კამერა, რომლის მიერ მიღებული გამოსახულება ციფრული სისტემით მუშავდება. თავის მხრივ, სისტემას მაშუქების კონკრეტული ნაწილების დამჩრდილავი მექანიკური მოწყობილობები აქვს მიღებული, რომელსაც სწორედ იმ ადგილების დაბლოკვა შეუძლია, რომელშიც შემხვედრ გზაზე მოძრავი ავტომობილი მოხვდება. გარდა ამისა, სისტემა შუქის ვერტიკალურად მიმართვასაც ახერხებს. კერძოდ, იმ მომენტში, როცა ავტომობილი მთის წვერზე ან დაღმართის ბოლო წერტილზე ექცევა, მაშუქები ავტომატურად იწევა ზევით ან ქვევით ისე, რომ გზა გაანათოს და არა ცა ან ბამპერის წინ პატარა მონაკვეთი.

ცნობილია, რომ „ვალეოს“ ტექნოლოგიით დასაწყისისთვის იაპონური ავტომობილები აღიჭურვება, თუმცა რომლები, არ კონკრეტდება.

*autonwes.ua*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ოთახში გაფითრებული მოახლე შევარდა:

– ქალბატონო, თქვენი ქმარი შემოსასვლელში გდია, არ სუნთქავს და თან ხელში რაღაც ქვითარი უჭირავს...

– ააა, ეტყობა, ქურქი რომ შევუკვეთე, ის მოიტანეს...

*****

– პატარაობაში ძალიან ჭკვიანი ვიყავი – 8 თვიდან უკვე სიარული შემეძლო!

– და შენ ეგ გგონია ჭკვიანობა?! მე 4 წლამდე არ ვამხელდი, სიარული რომ ვიცოდი – სხვისი ხელით ტარება უფრო მომწონდა!

*****

პატარა ნიანგი კითხულობს:

– მამიკო, ოდესმე ბევრი ფული მეც მექნება?

– გექნება, შვილო, გექნება?

– და როდის, მამიკო?

– როდის და საფულე რომ გახდები...

*****



ეკლესიიდან ახლად ჯვარდაწერილები გამოდიან. ამ დროს იქვე ორი ბავშვი თამაშობს.

– მოდი, შევაშინოთ, – მოიფიქრა ერთმა.

– ახლავე – თქვა მეორემ, მივიდა წყვილთან და:

– ვაა, შესანიშნავი არჩევანია, მამიკო!!!

*****

– წინა კვირას ჩემს ცოლს თვალში ხის ნაფოტი მოხვდა, 100 ლარი დამიჯდა ექიმებში სირბილი...

– ეგ რა არის – ჩემს ცოლს წინა კვირას თვალში ქურქი ჩაუვარდა – 5 ათასი დამიჯდა ყიდვა!..

*****

სასულიერო პირმა ქადაგება დაამთავრა და მრევლს მიმართა:

– ვისაც სამოთხეში მოხვედრა სურს, ფეხზე წამოდგეს!

ყველა ადგა, ერთის გარდა.

– შენ რა, არ გინდა სამოთხეში?!

– კი მინდა, ოღონდ ჯერ არა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ეკა კვალიაშვილს მძიმე სენი დაუდგინეს



ცნობილ მომღერალ ეკა კვალიაშვილს ექიმებმა მძიმე დიაგნოზი, ნეიროვირუსი დაუდგინეს. მედიკოსთა განმარტებით, დაავადება მის სიცოცხლეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

ეკა კვალიაშვილს სრულყოფილი მკურნალობისთვის საზღვარგარეთ გამგზავრება სჭირდება. მის დასახმარებლად ცნობილი სახეები გაერთიანდნენ, საჭირო თანხის შესაგროვებელი ფონდი შექმნეს და ვიდეოკლიპიც გადაიღეს. ასევე, ტელეწამყვან ეკა ხოფერიას ტოქშოუში შეიკრიბნენ და დახმარებისთვის საზოგადოებას მიმართეს.

„ძალიან მინდა, რომ ვნახო ჩემი შვილის წარმატებები მსოფლიოს სცენებზე, ძალიან მინდა, რომ ჩემი პატარა ბიჭი ვნახო, როგორ გაიზრდება და როგორი წარმატებული იქნება და როგორი ბედნიერები იქნებიან ჩემი შვილები“, – აცხადებს ეკა კვალიაშვილი. (პირველი)

## ვის რამდენს უხდიან კორპორაციულ საღამოებზე?



საქართველოში კონცერტები ძალიან იშვითად იმართება. შესაბამისად, მომღერლები ძირითადად შემოსავალს კორპორაციულ ღონისძიებებზე, ქორწილებსა და დაბადების დღეებზე გამოსვლისას იღებენ. ზოგჯერ მათ უცხოეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები იწვევენ ღონისძიებებზე, სადაც ანაზღაურება გაცილებით მეტია. თბილისში კორპორაციულ ღონისძიებებზე ყველაზე მოთხოვნადი ჯგუფი „დუეტი ჯორჯიაა“. შესაბამისად, მათი ანაზღაურება გაცილებით დიდია და არსებული ინფორმაციით, საშუალოდ, 7000 დოლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ დუეტი ყველა შემოთავაზებას არ თანხმდება. ჰონორარი ძირითადად იმის მიხედვით განისაზღვრება, რამდენი სიმღერა უნდა შეასრულოს მომღერალმა ქორწილში ან კორპორაციულ ღონისძიებაზე.

ემიგრანტებში ყველაზე მოთხოვნადი შემსრულებელი ლელა წურწუმიაა. მას ყველაზე ხშირად ამერიკასა და ისრაელში მცხოვრები ქართველები იწვევენ. თუმცა რა თანხას შეადგენს წურწუმიას ჰონორარი, უცნობია. ხშირად იწვევენ ისრაელში მომღერალ ნინა წკრიალაშვილს. ემიგრანტებს სკანდალური ნინა განსაკუთრებით უყვართ. ნინა ქორწილებში მხოლოდ ისრაელში მღერის, საქართველოში – არა, რადგან, როგორც ამბობს, არც რეპერტუარი უწყობს ხელს და იმდენსაც არ იხდიან, რომ ნასვამი ადამიანები აიტანოს.

ქორწილებში, როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ, ხშირად ეპატიჟებიან გია სურამელაშვილს. როგორც თავად ამბობს, თბილისში, 8 სიმღერაში 2000 ლარს უხდიან, მაგრამ თუ ახლობლებს ჩარევენ, ამაზე ნაკლებადაც მღერის. რაც შეეხება საზღვარგარეთ სიმღერას, იქ მთელ პროგრამას წარმოადგენს. გზისა და სასტუმროს ხარჯებს მასპინძელი ანაზღაურებს, მისი ჰონორარი კი 7000 დოლარს შეადგენს. მომღერლის თქმით, ხალხს ისე ართობს, რომ ხშირად სიძე-პატარძალი ავიწყდებათ.

კერძო თავყრილობებზე არც ისე ხშირად იწვევენ მომღერალ ვერიკო ტურაშვილს, თუმცა საზღვარგარეთ ხშირად ეპატიჟებიან. აპრილშიც, ერთ-ერთ დახურულ ღონისძიებაზე მიემგზავრება. მომღერალი ამბობს, რომ ქორწილებშიც უმღერია, თუმცა ჰონორარის შესახებ საუბარს გაურბის.

ქორწილებში ანრი ჯოხაძესაც იწვევენ, თუმცა თანხმობის მიცემამდე მომღერალს პირობებში კარგად გარკვევა სჩვევია. ჰონორარის ოდენობას არც ის ასახელებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივი კონცერტის ჰონორართან შედარებით, კორპორაციულ ღონისძიებებსა და ქორწილებში გაცილებით ბევრს, რამდენიმე ათას დოლარს უხდიან. (ამბები.ჯი)

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

ვაკანსიები!!!

გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს.

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი



**ვერძი 21.03-21.04**

**27 მარტი:** დღეს ახლობელზე ზრუნვაში საკმაო დროსა და ენერგიას დახარჯავთ. დამღლელი საქმეა, მაგრამ კეთილშობილური.



**კურო 22.04-21.05**

**27 მარტი:** დღეს წარმატებული და სასიამოვნო იქნება ლომის, ტყუპებისა და მერწყულის ნიშნის მქონე ადამიანებთან ურთიერთობა. დანარჩენებს თავს ნუ მოაბეზრებთ, სახეიროს ვერაფერს მიიღებთ.



**ტყუპები 22.05-21.06**

**27 მარტი:** თქვენმა მოუსვენრობამ შეიძლება დაგაზარალოთ. საჭირო არ არის ერთდროულად რამდენიმე საქმეზე წაპოტინება.



**კირჩხიბი 22.06-22.07**

**27 მარტი:** შეეცადეთ, დღეს სხვათა ის შეცდომები შეისწავლოთ, რომლებიც თქვენს სიტუაციაში მყოფებმა ჩაიდინეს. ამით საკუთარი შეცდომებისგან დაიზღვევთ თავს.



**ლომი 23.07-22.08**

**27 მარტი:** დღეს ყველა კითხვაზე გეცოდინებათ პასუხი. ნუ იქნებით წუწურაქი, ნუ დამალავთ თქვენს ცოდნას.



**ქალწული 23.08-22.09**

**27 მარტი:** კარგი შანსი გაქვთ, თქვენს გონებაში არსებულ ქაოსში რაღაც სასარგებლო ცოდნა აღმოაჩინოთ. ფურცელზე დაწერეთ, რომ აღარ დაივიწყოთ.



**სასწორი 23.09-22.10**

**27 მარტი:** შეეცადეთ, პირველ შთაბეჭდილებას მიენდოთ და იმ სქემით იმოქმედეთ, რომელიც პირველი მოგივათ თავში. ერთიც და მეორეც იდეალურ ვარიანტთან მიახლოებული იქნება.



**მორიელი 23.10-21.11**

**27 მარტი:** მეგობრობა კარგი რამ არის, მაგრამ ზოგიერთი მეგობარი ზოგჯერ მომაბეზრებელია. დღეს რომელიღაც მათგანისგან დამალვა მოგიწევთ.



**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**27 მარტი:** დღეს ნუ შეეცდებით ამა თუ იმ ადამიანის თვისებებზე წარმოდგენა შეიქმნათ. თქვენი პირადი გრძნობები, ალბათ, თქვენს გამჭრიახობას დაჩრდილავს და შეიძლება შეცდეთ.



**თხის რქა 22.12-19.01**

**27 მარტი:** გარშემომყოფნი შეიძლება თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არ იყვნენ მხოლოდ იმის გამო, რომ მოღუშული იქნებით. შეეცადეთ, თქვენი გრძნობები სახეზე არ აისახოთ.



**მერწყული 20.01-18.02**

**27 მარტი:** მაქსიმალური ყურადღება გმართებთ ნებისმიერი ფინანსური საკითხის მიმართ. რჩევებს ყურადღება მიაქციეთ, ზოგიერთი მათგანი სასარგებლო იქნება.



**თევზები 19.02-20.03**

**27 მარტი:** შეეცადეთ, ეს დღე ბავშვების გარემოცვაში გაატაროთ. მათი გართობისთვის გაწეულ ძალისხმევას სათანადოდ დაგიფასებენ.

## ევროპის ყველაზე-ყველაზე ქალაქები



იმედია, ახლა თუ არა, სულ მალე მაინც გექნებათ იმის საშუალება, რომ მთელი მსოფლიო შემოიაროთ.

ჰოდა, თუკი ამას მართლაც შეძლებთ, იქნებ, ევროპის ქალაქების ახალ სტატუსებსაც მიაქციოთ ყურადღება, რაც ვფიქრობთ, შესანიშნავ დახმარებას აღმოგიჩენთ და შეცდომების დაშვებისგანაც დაგაზღვევთ.



ერთგვარი რეიტინგი ბრიტანულმა ონლაინ-გზამკვლევმა შეადგინა, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

მაშ ასე, ევროპის ყველაზე რომანტიკული ქალაქებია: 1. პარიზი; 2. ვენეცია; 3. რომი.

ყველაზე სუფთა ქალაქი: 1. ციურიხი; 2. კოპენჰაგენი; 3. სტოკჰოლმი.

ყველაზე იაფი ქალაქი: 1. პრაღა; 2. ბუდაპეშტი; 3. ლისაბონი.

ყველაზე ძვირი ქალაქი: 1. ლონდონი; 2. პარიზი; 3. რომი, ვენეცია, ოსლო, მოსკოვი (თითოეულმა ქალაქმა ერთნაირი ქულები მოაგროვა).

ყველაზე ბინძური ქალაქი: 1. ლონდონი; 2. პარიზი; 3. რომი, ათენი.

ყველაზე მოსაწყენი ქალაქი: ბრიუსელი; 2. ციურიხი; 3. ოსლო, ვარშავა, ზაგრები.

ყველაზე საუკეთესო რესტორნებს შეხვდებით: 1. პარიზში; 2. რომში; 3. ფლორენციაში.

ყველაზე საუკეთესო მაღაზიები: 1. პარიზი; 2. ლონდონი; 3. რომი.

ყველაზე საუკეთესო კლუბები: 1. ლონდონი; 2. ამსტერდამი; 3. პარიზი.

ყველაზე საუკეთესო პარკები: 1. ლონდონი; 2. პარიზი; 3. ბარსელონა, ამსტერდამი, კოპენჰაგენი.

ყველაზე უფრო სიმპათიური ადგილობრივები: 1. რომი; 2. პარიზი; 3. სტოკჰოლმი.

ყველაზე უფრო მეგობრულად განწყობილი ადგილობრივები: 1. დუბლინი; 2. ამსტერდამი; 3. ლონდონი.

ყველაზე უფრო აგრესიული ადგილობრივები: 1. მოსკოვი; 2. პარიზი; 3. ლონდონი.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**mainfun.ru**



ერთხელ მეფემ ხალხში გავლა გადაწყვიტა და ერთ-ერთ სოფელს ეწვია. გზად გლეხი შეხვდა, რომელიც გარეგნულად მას წარმოუდგენლად ჰგავდა.

მეფემ ორაზროვნად ჰკითხა:

– მითხარი, გლეხო კაცო, შემთხვევით, დედაშენი სასახლეში ხომ არ მსახურობდა?

– არა, თქვენო აღმატებულობავ, დედაჩემი არა, სასახლეში მამაჩემი მსახურობდა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ≫211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.45